„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ქართული სიტყვა

№6 (270)

ფასი 1 ლარი

11 – 17 თებერვალი, 2015 წ.

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

გაბმული თეთრებიანთაგან

„არ ვთვლი ჩემ თავს კლასიკოსად!“

>>> მე-4 გვ.



ფაბუა ამირეჯიბის ჩანაწერი, რომელიც პირველად ეკითხება

„ნაციონალების“ პირველი მტრები ვართ!“

>>> მე-10 გვ.

ნინო ბუჩუკური „თავისუფალი თაობის“ ხელისუფლებასთან კავშირს უარყოფს

სკანდალი – ვის დაკითხვას სთხოვენ ამერიკელები მთავარ პროკურატურას

>>> მე-2-3 გვ.

არჩილ კბილაშვილის საბედისწერო შეცდომა

„ნაცმოძრაობის“ პარტიული კლანები ერთმანეთს დაერივნენ – ალექსანდრე ნინუას დაჭერის რეალური მიზეზი

ახალი დეტალები აფრასიძეების საქმის გამოძიებაში

სად არის პატიმროებიდან გათავისუფლებული ვოვა მურავიოვი, რომელმაც აფრასიძეები „ჩაუშვა“

>>> მე-14-15 გვ.

>>> მე-11-12 გვ.

აშშ-ის მოქალაქე „ნაციონალური ოცნების“ პროკურატურის წინააღმდეგ აქციებს იწყებს – „ლაით ჰაუსის“ სკანდალი!

ვინ არის ვალ ირელი, რას ედავება ვაჟა გორდიაშვილს და რატომ ფიგურირებენ საქმეში ზვიად ჯანყარაშვილი, გენინსპექციის უფროსი სოსო გოგაშვილი, ამირან მესხელი და სოდ-ის ყოფილი შეფი

2 | № 6 (270) | 11-17 თებერვალი 2015

ქართული სიტყვა

ლიტერატურული, ენერგეტიკული, პოლიტიკური

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სკანდალური ექსკლუზივი

ახალი სკანდალი – ვის დაკითხვას სთხოვენ ამერიკელები მთავარ პროკურატურას

„ნაცმოძრაობის“ პარტიული კლანები ერთმანეთს დაერივნენ – ალექსანდრე ნინუას დაჭერის რეალური მიზეზი და არჩილ კბილაშვილის საბედისწერო შეცდომა

„შესაძლოა, „ოცნებაში“ არსებობს ადამიანების გარკვეული სეგმენტი, რომელსაც კეზერაშვილისა და სხვებისთვის იარაღით უკანონო ვაჭროობაზე ბრალის წაყენება არ აწყობს. შეიძლება, საუბარი იმაზეც მიდიოდეს, რომ თუკი ამ ბრალს არ წაუყენებენ, სანაცვლოდ, კეზერაშვილი ბიზნესწილებს ვიღაცების სასარგებლოდ დათმობს“.

მთავარმა პროკურატურამ იური ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმე გახსნილად გამოაცხადა – აფეთქებაში ეჭვმიტანილი მოქმედი პოლიციელი გია სოსიაშვილია, რომელზეც გამოძიება დნმ-თა და სატელეფონო ზარებით გავიდა. საგულისხმოა, რომ ძალოვანებს მკვლელობის მოტივი ჯერ არ დაუსახელებიათ, თუმცა მთავარი პროკურატურის წარმომადგენელმა მიანიშნა, რომ გამოძიება იური ვაზაგაშვილის აფეთქების ერთ-ერთ ვერსიად ე.წ. „კორტების საქმეს“ განიხილავს... მოკლედ, სახელმწიფოში დიდი აჟიოტაჟია. როგორ განვითარდება მოვლენები და გამოიყენებენ თუ არა „ნაციონალები“ მათი მმართველობის დროს ჩადენილ გახმაურებულ დანაშაულებს ერთმანეთის წინააღმდეგ? – „ქართული სიტყვა“ აგრძელებს სკანდალური ინტერვიუების ციკლს უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკთან, უსაფრთხოების ექსპერტ კონსტანტინე ფორჩხიძესთან.

– ბატონო კონსტანტინე, „ნაციონალთა“ მაღალჩინოსნების დაჭერები რას ემსახურება, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა, ვთქვათ, შს მინისტრის ყოფილი მოადგილის, ამირან მესხელის პასუხისმგებლობა ისევ არ დგება? არადა, ნებისმიერ სპეცოპერაციას ვიზირებას სწორედ მესხელი აძლევდა და ამაზე „ქართულ სიტყვაში“, რამდენიმე თვის წინ, ვრცლადაც ვისაუბრეთ...

– 11 პოლიციელის დაჭერა იური ვაზაგაშვილის მკვლელობაზე ერთგვარი პასუხია.

– ესე იგი, მამა შვილის საფლავზე რომ არ აეფეთქებინათ, ზურა ვაზაგაშვილის საქმე არ გაიხსნებოდა?

– ამბობენ, რომ საქმე მაინც გაიხსნებოდა, მაგრამ ამ პოლიტიკურმა ტერაქტმა პროცესები დააჩქარა. საერთოდ, ასეთი მასშტაბის საქმის გახსნა ორ დღეში შეუძლებელია. მაშასადამე, გამოძიება ბოლომდე იყო მიყვანილი და სწორედ ამ დროს იური ვაზაგაშვილი ააფეთქეს. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ზურა ვაზაგაშვილის საქმის გახსნის პოლიტიკური ნება არ არსებობდა.

– ეს გასაგებია, მაგრამ სხვა რამ გკითხეთ.

– რა მკითხეთ?

– თქვენი ნებართვით, შეკითხვას განვაცხადებ: დააკავეს სპეცრაზმელები. ბატონო კონსტანტინე, ცხადია, გეცოდინებათ, სპეცრაზმელი ცეცხლის გახსნის გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად, ავტონომიურ რეჟიმში იღებს თუ ბრძანების შესაბამისად მოქმედებს?

– სპეცრაზმს მოქმედების მკაცრად გაწერილი ინსტრუქცია აქვს, რასაც შიდაუწყებრივ აქტს ეძახიან. სპეცრაზმი სწორედ ამის შესაბამისად მოქმედებს, მაგრამ ამით ადვოკატები რატომღაც არ აპელირებენ.

– ვერ ვიგებ, რას ამბობთ...

– გაუგებარი რა არის? – პირველ რიგში, ის უნდა გაირკვეს, სპეცრაზმელმა უფლებამოვალეობას გადაამეტა თუ არა. სპეცრაზმი მკაცრად განსაზღვრული მოქმედების სპეციალური დანაყოფია, რომელიც სპეციალური დებულებით მოქმედებს.

– კანონით, ცეცხლის გახსნაზე სპეცრაზმის უფროსი დავალებებს ვისგან იღებს?

– ცეცხლის გახსნაზე ნებართვას ის ადამიანი გასცემს, ვინც შსს-ში სპეცრაზმებს კურირებს. ასეთი პიროვნება იმ დროს, როცა ე.წ. „კორტების სპეცოპერაცია“ ჩატარდა, შალვა ჯანაშვილი იყო, ანუ ჯანაშვილის ვიზირების გარეშე ეს სპეცოპერაცია ვერ ჩატარდებოდა.

– ჯანაშვილს რა თანამდებობა ეკავა?

– შს მინისტრის მოადგილე იყო.

– გამორიცხულია, შს მინისტრის მოადგილემ, ამ შემთხვევაში, ჯანაშვილმა, სპეცოპერაციასა და, შესაბამისად, ცეცხლის გახსნაზე უარი განაცხადოს და სპეცრაზმის უფროსმა გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღოს?

– დიახ, გამორიცხულია.

– ბატონო კოტე, მოდით, შეკითხვა სხვანაირად დავსვათ: კორტების სპეცოპერაციის ჩატარების აუცილებლობა დღის წესრიგში რატომ დადგა? გამოძიების ვერსია, რომ ირაკლი ფირცხალავამ ძმის „ჩაშვების“ გამო ხუბულოვზე შური იძია, რეალობასთან ახლოსაა? ისე, დაპატიმრების მერე, ფირცხალავამ განაცხადა, ხუბულოვი კაცი იყოო...

– გამორიცხული არაფერია, მით უმეტეს, როგორც ვიცი, არსებობს სოდ-ის მაღალჩინოსნების ჩვენებები, რომლებიც ხუბულოვისა და სოდ-ის კავშირს ეხება, თუმცა, თუკი ირაკლი ფირცხალავას ძმა, ლევან ფირცხალავა, მართლაც, დააკავეს, ამაზე შსს-ს არქივში დოკუმენტაცია უნდა არსებობდეს.

რაც შეეხება ირაკლი ფირცხალავას განცხადებას, ხუბულოვი კაცი იყოო, ესე იგი, კრიმინალური პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილე თვლის, რომ პოლიციასთან თანამშრომლობა არაკაცობაა თუ როგორ გამოდის?!

– ასეა თუ ისე, მამა-შვილ ვაზაგაშვილის საქმეები პოლიტიკურ ჭრილში გადავიდა...

– დიახ, ასეა...

– ყველაფერი ეს სადამდე მივა?

– სასამართლო, ალბათ, შესაბამის სამართლებრივ გადაწყვეტილებას მიიღებს.

– კი ბატონო, მაგრამ პოლიტიკურ ასპექტებზე რას იტყვით? სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ, ყოფილმა პრეზიდენტმა განაცხადა, დროა, მე და ჩემი გუნდი საქართველოში დავბრუნდეთო...

– სააკაშვილი და მისი გუნდი საქართველოში, ანუ ხელისუფლებაში რომ დაბრუნდნენ, საამისოდ საზოგადოებაში დასაყრდენი უნდა ჰქონდეთ. ასეთი დასაყრდენი კი არ არსებობს.

– შეიძლება, მაგრამ ნინო ბურჯანაძე „მაიდანს“ არ გამორიცხავს.

– ბურჯანაძეს აწყობს, რომ ქვეყანაში სიტუაცია აირიოს – ეს წყალს მის წისქვილზე დაასხამს.

– ქართული „მაიდანი“ მხოლოდ ბურჯანაძეს აწყობს თუ კიდევ სხვა პოლიტიკურ ძალასაც, მაგალითად, „ნაცმოძრაობას“?

– ორივეს.

– მათი ინტერესები ერთმანეთს რატომ ემთხვევა?

– მართალია, ამომრჩევლის რაღაც პროცენტი ბურჯანაძეს მხარს უჭერს, მაგრამ არჩევნების გზით ხელისუფლებაში ვერასოდეს მოვა. „ნაციონალების“ საქმეც ასეა...

– ესე იგი, უშვებთ ალბათობას, რომ ამ ორმა ძალამ შესაძლოა, არაოფიციალური კოალიცია შექმნას?

– ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ ჩანს, რომ ამ კუთხით მათ ინტერესთა თანხვედრა აქვთ...

ვანო, ახლა ისეთ რამეს გეტყვით, რომელიც ყველაფერ ზემოთქმულს გადაფარავს.

– ასეთი რა იცით?

– 2013 წლის 2 ივლისს, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის შუამდგომლობა მიიღო.

– ამერიკელები რას ითხოვდნენ?

– რას და, მათ წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე სამართლებრივი დახმარების აღმოჩენას.

– ანუ, სისხლის სამართლის საქმე აშშ-შია აღძრული?

– დიახ, სისხლის სამართლის საქმე აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტშია აღძრული და სწორედ ამიტომ, ამერიკულმა მხარემ ჩვენს მთავარ პროკურატურას მიმართა შუამდგომლობით, რომ ფედერალური ბიუროს თანამშრომლებს საქართველოს ტერიტორიაზე გარკვეული საგამოძიებო პროცესუალური მოქმედებები განეხორციელებინათ.

– ოკეანისგაღმა სისხლის სამართლის საქმე ვისზე ან რაზეა აღძრული?

– ლაპარაკია სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს თავდაცვის კუთხით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებზე.

– ესე იგი, ისევ იარაღის ბინზესზე ვლაპარაკობთ?

– დიახ... ამ საქმეში ფიგურირებენ შუამავალი კომპანიები და ფედერალური ბიურო სწორედ ამ კომპანიებით დაინტერესდა.

– სახელდობრ, რომელი კომპანიებით?

– „პაზ ლოჯისტიკით“ და ყველა იმ კომპანიით, რომელიც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იარაღით მოვაჭრე ამერიკულ კომპანიებთან შუამავლად უდგებოდა... მართალია, ამ საკითხზე წინა ინტერვიუებში ვრცლად ვილაპარაკეთ, მაგრამ შეგახსენებთ, რომ „პაზ ლოჯისტიკი“ ისრაელის მოქალაქე ოფერ რაზის კომპანიაა, რომლის წინააღმდეგაც აშშ-ში სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. ამასთან, ამ კომპანიაში დავით კეზერაშვილის ინტერესებიც იკვეთება.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტმა საქართველოს მთავარ პროკურატურას შუამდგომლობით პირველად 2012 წლის 19 ოქტომბერს მიმართა.

– ამ დროს ხელისუფლებაში უკვე „ოცნება“ იყო, არა?

– დიახ, თუმცა ახალი მთავარი პროკურორი ჯერ დანიშნული არ იყო...

– ბატონო კოტე, ეს ოფიციალური ინფორმაციაა?

– დიახ, თუმცა ამის თაობაზე საჯაროდ არავის უთქვამს... მოკლედ, ჩემს ხელთარსებული გადამოწმებული ინფორმაციით, ამერიკელების შუამდგომლობის საფუძველზე, 2013 წლის 30 ივნისს, მოწმის სახით, ალექსანდრე ნინუა დაკითხეს. იცით, ეს ვინ ნინუაა?

– ვინ?

– ვინ და, თავი რომ დააჭერინა.

– რას ნიშნავს, დააჭერინა?

– არ გახსოვთ, იარაღის უკანონო შენახვის გამო რომ დაიჭირეს? მე თუ მკითხავთ, ამ დაჭერით ნინუამ საკუთარი უსაფრთხოება უზრუნველყო. სხვათა შორის, დაკითხვის შემდეგ, დაჭერამდე, ნინუამ საქართველოს საზღვრები ხუთჯერ გადაკვეთა.

– ნინუა ქართველებმა დაკითხეს?

– არა, აშშ-ის ფედერალური ბიუროს წარმომადგენლებმა.

– თბილისში?

– დიახ.

– შეკითხვები რას შეეხებოდა?

– ჩემი ინფორმაციით, შეკითხვები დავით კეზერაშვილზე, შუამავალი კომპანიების საქმიანობასა და თანხებზე დაუსვეს.

– ამერიკელები მაინცდამაინც ნინუას პერსონით რატომ დაინტერესდნენ?

– იმიტომ, რომ თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა და ხელშეკრულებებზეც ხელს

გაგრძელება მე-3 გვ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

11-17 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ 2015

№ 6 (270)

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲕᲘ

ᲛᲔ-2 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ძირითადად ის აწერდა. ნინუა კეზერაშვილის კადრია...

— წეღან თქვით, რომ ნინუამ დაკითხვის შემდეგ საქართველოს საზღვარი ხუთჯერ გადაკვეთა. თუ იცით, რომელ ქვეყნებში, ან ქვეყანაში იმყოფებოდა?

— ამის შესახებ ინფორმაცია არ მაქვს, თუმცა ის, რომ საზღვარი გადაკვეთა, წესით, ოფიციალურად უნდა იყოს დაფიქსირებული.

მოკლედ, თითქმის წელიწადია, ამ თემებზე ვლაპარაკობ, მაგრამ საქართველოს მთავარი პროკურატურა ქმედით ნაბიჯებს არ დგამს: გსმენიათ, ნინუას ან კეზერაშვილის წინააღმდეგ იარაღით უკანონო ვაჭრობის ან, სულაც, თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯვის ბრალდება გაეჟღერებინოს? ჩნდება შეკითხვა: თუკი ამ თემატიკას აშშ-ის ფედერალური ბიურო იკვლევს, „ოცნების“ ხელისუფლება რატომ არ ინტერესდება? საერთოდ, თუკი გინდა, რომ ძველი ხელისუფლების სისტემური დანაშაული გამოავლინო, მხოლოდ ზოგადად არ უნდა ილაპარაკო და კონკრეტიკას შეეხო. ამ საქმეში კი, კონკრეტიკის გამოაშკარავება დიდ სირთულეს სულაც არ უკავშირდება, მაგრამ ეტყობა, პოლიტიკური ნება ამ საქმეშიც არ არსებობს.

— ნინუა ეგებ, იმიტომ დაიჭირეს, რომ ინფორმაცია „ამოქაჩონ“?

— კარგი, რა... ნინუა იარაღის უკანონო შენახვა-შეძენისთვისაა ციხეში და ეს მაშინ, როცა სახელმწიფო დეპარტამენტმა მოწმის სტატუსით უფრო სერიოზულ დანაშაულზე დაკითხა...

— რატომ გამორიცხავთ, რომ ნინუა სწორედ ამერიკელების მითითებით დაიჭირეს?

— ვიმეორებ: ნინუამ თავი თვითონ დააჭერინა.

— ამის თქმის საფუძველს რა გაძლევთ?

— დაჭერით მან სიცოცხლე შეინარჩუნა, ანუ ვიღაცას მისი სიცოცხლე ხელს არ აძლევს.

— ეს ვიღაც ვინ შეიძლება იყოს?

— შეიძლება, ის ჯგუფი, რომელიც იარაღის უკანონო ბიზნესშია გარეული...

— ვთქვათ, ასეა, მაგრამ იმ პოლიტიკურ მოცემულობაში, რომელიც დღეს ქვეყანაშია, აქცენტს ნინუაზე რატომ აკეთებთ?

— ვიდრე უბედურება არ მოხდა, კორტების საქმე არ გახსნეს. ესე იგი, რღაც კიდევ უნდა მოხდეს, რომ იარაღის უკანონო ბიზნესის გამოძიება დაიწყოს? ეს საქმე ქართული მხარისთვის არსებითად მნიშვნელოვანია — საზოგადოება დაინახავს, თუ საიდან, როგორ შოულობდნენ „ნაციონალები“ ფულს. ისიც გამოჩნდება, იარაღით უკანონო ვაჭრობიდან შემოსული ფული სადაც ჩაიდო.

— სად ჩაიდო?

— ნავთობის ბიზნესსა თუ ლატარიის კომპანიაში...

მოკლედ, პროკურატურის მისამართით არაერთი შეკითხვა არსებობს. ბოლოს და ბოლოს, ორი წელია, აშშ-ის ფედერალური ბიუროსა და იუსტიციის დეპარტამენტის შუამდგომლობა გაქვს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული ოფიციალური თუ არაოფიციალური შესყიდვები გამოიკვლიო და შენ გარკვეულ სამართლებრივ მოქმედებებს არ ანხორციელებ, ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა: რატომ? არ გინდა, საზოგადოებას „ნაციონალების“ დანაშაულებრივი საქმიანობა დაანახო თუ რაღაც ინტერესი შენც გაქვს?

— რა ინტერესს გულისხმობთ?

— არ გამოვრიცხავ, რომ ყველაფერი გაჩერებული კეზერაშვილის ბიზნესსაქმიანობის გამოა.

— ანუ, ეჭვობთ, რომ კეზერაშვილს ბიზნესპარტნიორები ახალ ხელისუფლებაშიც ჰყავს?

— შესაძლოა, „ოცნებაში“ არსებობს ადამიანების გარკვეული სეგმენტი, რომელსაც კეზერაშვილისა და სხვებისთვის იარაღით უკანონო ვაჭრობაზე ბრალის წაყენება არ აწყობს. შეიძლება, საუბარი იმაზეც მიდიოდეს, რომ თუკი ამ ბრალს არ წაუყენებენ, სანაცვლოდ, კეზერაშვილი ბიზნესწილებს ვიღაცების სასარგებლოდ დათმობს.

— ხელისუფლება აცხადებს, რომ ბიზნესი პოლიტიკური ზეწოლისგან თავისუფალია...

— კი ბატონო, მაგრამ დააკვირდით, რა ხდება: კეზერაშვილის ბიზნესის ნაწილი დავით იაკობაშვილთან, ასე ვთქვათ, მიდის, „როსნეფტი“ შემოდის...

— სხვათა შორის, საქართველოში მოქმედ შვიდივე ნავთობინპორტიორში, მათ შორის, „გალფშიც“, რომელიც კეზერაშვილთან ასოცირდება, როგორც ვიცი, საგამოძიებო ორგანოები შევიდნენ...

— ეს, ალბათ, იმით აიხსნება, რომ მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის ვარდნის მიუხედავად, საქართველოში საწვავი არ იაფდება...

მოკლედ, კეზერაშვილს, როგორც ისრაელისა და საქართველოს მოქალაქეს, საქართველოს ტერიტორიაზე ყველაზე დიდი დანაშაული, რაც შეიძლება ჰქონდეს ჩადენილი, იარაღის უკანონო შესყიდვებია.

— ბატონო კოტე, ხელისუფლებამ გახმაურებული მკვლელობების გახსნა დაიწყო და ამ ფონზე რა დროს კეზერაშვილია?

— ასეთი შედარება რა შუაშია? ლაპარაკია მილიარდზე მეტი რაოდენობის იარაღის შესყიდვაზე. ამასთან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხები ოფშორულ ზონებში მიდიოდა, სადაც კეზერაშვილი თავის კომპანიებს აარსებდა. დიახ, კეზერაშვილს, თავის სიმძიმით, არანაკლები დანაშაული აქვს ჩადენილი, ვიდრე ე.წ. „კორტების სპეცოპერაციაა“. ბოლოს და ბოლოს, კეზერაშვილის ამ მოქმედებას აგვისტოს ომი მოჰყვა, ანუ ის შეიარაღება, რაც ფურცელზე არსებობდა, 2008 წლის აგვისტოში ჩვენს შეიარაღებულ ძალებს არ აღმოაჩნდათ, შესაბამისად, ოკუპანტს წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს, რის შედეგადაც ხალხი დაიღუპა და ტერიტორიები დავკარგეთ. ქვეყნის წინააღმდეგ ამაზე დიდი ძირგამომთხრელი საქმიანობა რაღა უნდა იყოს?! მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ამერიკული და უკრაინული დოკუმენტი არსებობს, ეს უმნიშვნელოვანესი თემატიკა სამართალდამცავებს არ აინტერესებთ და მათ მიმართ შეკითხვებიც ამიტომ ჩნდება.

— ისე, შეკითხვებს, მგონი, ისიც ბადებს, სპეცრაზმელები, რომლებსაც კორტების საქმეზე იჭერენ, დაკავებამდე ერთი დღით ადრეც ძალოვან უწყებაში რომ მუშაობდნენ...

— ცხადია, ესეც საინტერესო თემაა.

— ამის გამო ვისი პასუხისმგებლობა უნდა დადგეს?

— ხელმძღვანელობის...

— სხვათა შორის, კორტების საქმეზე ბრალდების ერთ-ერთი მოწმე სოდ-ის უფროსის ყოფილი მოადგილე, მისირელია. ეს იმას ნიშნავს, რომ „ნაციონალებმა“ ერთმანეთის „ჩაშვება“ დაიწყეს?

— შეიძლება, ასეც ითქვას. საერთოდ, როცა გემი იძირება, ყველა გადარჩენაზე ფიქრობს. „ნაციონალების“ გემის ჩაძირვა კი, მოახლოებულია...

— რას ატყობთ, რომ „ნაცმოძრაობის“ გემი იძირება? — წეღანაც გითხარით, მიშა საქართველოში დაბრუნებას აპირებს.

— სააკაშვილს შეიძლება, საქართველოში დაბრუნების განზრახვა აქვს, მაგრამ ეს საზოგადოებაზე კი არა, თავის გუნდზე გათვლილი განცხადებაა, ანუ მიშა ცდილობს, რომ „ნაცმოძრაობა“ საბოლოოდ არ ჩამოიშალოს, თორემ, როგორც კი, უკრაინის ანტიკორუფციული უწყების ხელმძღვანელი გახდება, ავტომატურად საქართველოს მოქალაქეობას და ამასთან, „ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარეობის პოსტსაც დაკარგავს.

— ...ბატონო კოტე, წეღან „როსნეფტი“ ახსენეთ...

— „როსნეფტიც“ კეზერაშვილის თემას უკავშირდება. საერთოდ, ყველაფერი ერთმანეთთან კავშირშია, ანუ „როსნეფტი“ საქართველოში სწორედ კეზერაშვილის ხელშეწყობით შემოვიდა — კეზერაშვილი „ჩენელ ენერჯში“ 50-პროცენტიან წილს ფლობდა. ერთი წლის წინ, „ჩენელ ენერჯისთან,“ რომელიც გიბრალტარშია რეგისტრირებული, „როსნეფტის“ გენდირექტორმა, იგორ შეჩინმა მოლაპარაკებები დაიწყო და ამ კომპანიის გარდა, ხელში შპს „ფოთი ტერმინალ ჰოლდინგის“ 32 პროცენტიც ჩაიგდო. როცა დავით იაკობაშვილი ხარ, ძებნილისგან აქციებს რატომ იყიდი და ახალ ხელისუფლებასთან საქმეს რატომ გაიფუჭებ? ესე იგი, გარკვეული გარანტიები გაქვს.

რაც შეეხება საქართველოში „როსნეფტის“ შემოსვლას, საზოგადოებამ ნაკლებად იცის, რომ ფოთის პორტი „როსნეფტს“ სომხეთისთვის სჭირდება, სადაც ნახევარმილიარდიან ინვესტიციას დებს — ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას აშენებს.

— უცნაურია: სომხეთში ნავთობი არაა და „როსნეფტი“ ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას რა მიზნით აშენებს?

— სომხეთი ნავთობპროდუქტების შიმშილს განიცდის და „როსნეფტი“ საქართველოში სწორედ ამ პრობლემის გადასაწყვეტად შემოვიდა, ანუ რუსეთიდან, კერძოდ, ნოვოროსიისკიდან ტრანსპორტირებულ ნავთობს, ფოთის გავლით, სომხეთის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში შეიტანს. ასევე, არაა გამორიცხული, სომხეთში აფხაზეთის ნავთობიც მოხვდეს — „როსნეფტი“ აფხაზეთში ნავთობს მოიპოვებს. მოკლედ, ამ სქემით მხოლოდ სომხეთის კი არა, საქართველოს ნავთობპროდუქტებით დაკმაყოფილების ახალი გზა გაჩნდება, რაც პირდაპირ აზერბაიჯანის ინტერესებს დაარტყამს. ასევე, საქართველოდან შეიძლება, ნავთობის ამერიკული კომპანიებიც წავიდნენ. სწორედ ამიტომაც, „როსნეფტი“ საშიშია. არც იმას გამოვრიცხავ, რომ რუსებმა ბათუმის პორტის ყიდვაც მოიწადინონ. რუსეთს საქართველოში ტერმინალი სჭირდებოდა და ეს ტერმინალი მიიღო. ამასთან, სომხეთში დისლოცირებულ თავისი საჯარისო ნაწილებისთვის ნავთობპროდუქტები სჭირდება და ამიტომაც, იქ ქარხანას აშენებს და ეს პროექტი სომხეთის მთავრობასთანაა შეთანხმებული.

— საიდან იცით?

— ამის თაობაზე საქართველოში არაფერს ამბობენ, თორემ რუსული მედია დიდი ხანია, ლაპარაკობს.

— ბატონო კოტე, რა ამის პასუხია და, ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა დაიწყო?

— იური ვაზაგაშვილი რომ არ აეფეთქებინათ, „კორტების საქმე“ კიდევ დიდი ხანი ბოლომდე მიყვანილი არ იქნებოდა.

საერთოდ, სამართლიანობის აღდგენა მხოლოდ გახმაურებული მკვლელობების გამოძიებასა და წართმეული ბიზნესის დაბრუნებას არ ნიშნავს. შელახული ღირსებაც სამართლიანობის აღდგენის კატეგორიას განეკუთვნება, მაგრამ მაგალითად, ჩემნაირი ადამიანებისთვის, ანუ ყოფილი საჯარო მოხელეებისთვის, ვინც ხელფასზე იყო დამოკიდებული, სამართლიანობის აღდგენა სამსახურში დაბრუნება და მორალური ზიანისთვის კომპენსაციის გადახდაა. სახელმწიფო ამაზე რატომ არ ფიქრობს? არადა, ეს ხომ უფრო მარტივი გასაკეთებელია.

— პროკურატურაში ამ კუთხით საგანგებო დეპარტამენტი შეიქმნა და სახელმწიფომ მეტი რაღა უნდა გააკეთოს?

— მოიცათ, რა! ეს დეპარტამენტი მხოლოდ მილიონერებისთვის იმუშავებს. სინამდვილეში კი, ღირსებაშელახულთა 90 პროცენტი სწორედ რიგითი ადამიანები ვართ. ჩვენთვის სამართლიანობის აღდგენა როდის დაიწყება — ღირსებას როდის დაგვიბრუნებენ?! იცით, სამართლიანობის აღდგენა როდის იქნება? — როცა მთელ სისტემას გასასამართლებენ!

— ...ქვეყანა სახიფათო ზღვარზეა?

— დიახ, ასეა...

ისე, თუ დააკვირდით, ნინუაზე „ნაცმოძრაობა“ ხმას არ იღებს...

— ამერიკელებმა ნინუას დაჭერაზე რა თქვეს?

— არ ვიცი...

— საგულისხმოა, რომ 11 პოლიციელის დაპატიმრებაზე განცხადება გიგა ბოკერიას არ გაუკეთებია...

— გიგა ჭკვიანი ადამიანია და, ბუნებრივია, ამ პროცესებში არ ჩაერევა. საერთოდ, „ნაცმოძრაობაში“ ძალიან რთული ვითარებაა და, წეღანაც გითხარით, თუკი მიხეილ სააკაშვილი „ნაცმოძრაობას“ ჩამოშორდება, პარტიაში გარკვეულ დაჯგუფებებს შორის გავლენისთვის ბრძოლა წავა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ „ნაცმოძრაობა“ დაფინანსებადი პოლიტიკური ძალაა — სხვა თუ არაფერი, ფულს სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს. საერთოდ, ყველაფერი ფულსა და პოლიტიკურ ავანსცენაზე დარჩენას უკავშირდება. ამიტომ, „ნაცმოძრაობის“ პროამერიკული და პრორუსული ჯგუფები ერთმანეთს დაერევიან. პროამერიკულ ჯგუფს სათავეში გიგა ბოკერია უდგას...

— იგივე ე.წ. „კორტების სპეცოპერაციის“ გამოძიებაც ნაცდაჯგუფებებს შორის არსებული დაპირისპირების კონტექსტში ხომ არ უნდა განვიხილოთ, ანუ ამ ტრაგედიას „ნაციონალები“ ერთმანეთის წინააღმდეგ ხომ არ იყენებენ?

— ასეა და, ვანო, ამას, ალბათ, თქვენც ამჩნევთ, თორემ ამ შეკითხვას არ დამისვამდით.

სხვათა შორის, შთამბეჭდავი განცხადება არც გივი თარგამაძეს გაუკეთებია.

— სპეცოპერაციის არგამოძიება რომელი კლანის ინტერესშია?

— ვანო მერაბიშვილის... ფირცხალავა სწორედ მერაბიშვილის კლანია.

— გივი თარგამაძე „ნაცმოძრაობის“ რომელ კლანს განეკუთვნება?

— სოდ-ის ყოფილი შემადგენლობა გივის კლანია.

— „ნაცმოძრაობაში“ ახალაიების მიმართულებაც არსებობს?

— არა...

მოკლედ, დღეს „ოცნებაც“ უყურებს, „ნაცმოძრაობის“ ელიტაში რა მოხდება და კომპრომატების „დალაგებას“ სწორედ ამის მიხედვით დაიწყებს.

— ისე, ბატონო კოტე, ფირცხალავამ, რომელიც პროფესიონალი პოლიციელია, ქვეყანა რატომ არ დატოვა — ვერ ხვდებოდა, რომ დაიჭერდნენ?

— ქვეყანა რომ დაეტოვებინა, ეს დანაშაულის უპირობო აღიარების ნიშანი იქნებოდა, თან იმასაც მნიშვნელობა აქვს, რომ ფირცხალავას პოლიტიკური ლობი, ანუ მერაბიშვილი ციხეშია...

— მიხეილ სააკაშვილი მთელი „ნაცმოძრაობის“ ლობია თუ კონკრეტული ფიგურების?

— მაგალითად, გიორგი ვაშაძის... ყოფილ მმართველ გუნდში ერთადერთი ამერიკული ფრთა გიგა ბოკერიაა...

— ვინაიდან დღის წესრიგში აფრასიძეების საქმის გამოძიება დგას, გია ბარამიძე ვისი კლანია?

— ბარამიძე პირდაპირ „ნაცმოძრაობის“ რუსული ფრთის წარმომადგენელია და ამაზე თავს დავდებ!

— ამას რითი ამტკიცებთ?

— როცა საჭირო გახდება, დავამტკიცებ. გახსოვთ, ადრე „ზერკალა ნედელიასთვის“ მიცემულ ინტერვიუზე გელაპარაკეთ, რომელიც უკრაინას ეხებოდა და რომლითაც ბარამიძემ წყალი პირდაპირ რუსულ წისქვილზე დაასხა. ბარამიძეს თუ ჰგონია, მისი კონტაქტების შესახებ საქართველოში არავინ იცის, ძალიან ცდება.

— თქვენი მონაცემებით, თუკი პროკურატურა მოითხოვს, პარლამენტი ბარამიძეს დეპუტატის იმუნიტეტს მოუხსნის?

— ეს „ქართული ოცნებისთვის“ ტესტი იქნება, ანუ თუკი ბარამიძეზე დარტყმა არ წავიდა, ყველაფერი გასაგები გახდება...

სხვათა შორის, იმ დროს, როცა აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტმა მთავარ პროკურატურას რეკომენდაციით მიმართა, მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი იყო, რომელიც იცით, ვის ინტერესებსაც გამოხატავდა.

— არ ვიცი, მითხარით...

— არ გახსოვთ, ვისი ადვოკატი იყო?

— ვისი?

— შაქრო კალაშოვის, რომელიც რუსული სპეცსამსახურების გავლენის ქვეშაა და ამის თაობაზე წინა ინტერვიუებში ვისაუბრეთ.

მაინტერესებს, მთავარი პროკურორი რომ ხარ და სახელმწიფო დეპარტამენტი წერილობით ორჯერ მოგმართავს, გამოძიება არ უნდა დაიწყო? ამ წერილებში საუბარი, ცხადია, მიხეილ სააკაშვილსა და „ნაციონალების“ თავდაცვის თითქმის ყველა მინისტრზე იქნებოდა...

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲕᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

(თემის გაგრძელება იქნება)

4

№ 6 (270)

11-17 თებერვალი 2015

ქართული ენა

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲕᲘ

ᲭᲐᲑᲣᲐ ᲐᲛᲘᲠᲔᲯᲘᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ – ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲥᲕᲔᲧᲜᲓᲔᲑᲐ

„ᲐᲠ ᲕᲗᲕᲚᲘ ᲩᲔᲛ ᲗᲐᲕᲡ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲝᲡᲐᲓ!“

განგებამ მაჩუქა ბედნიერება დიდ ჭაბუა ამირეჯიბთან შეხვედრებისა და მასთან თანამოაზრეობაზე დაფუძნებული თბილი ურთიერთობისა. ერთი ხანგრძლივი შეხვედრის დროს, ჩვენი საუბარი უნებლიეთ გადავიდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. ვთხოვე, პასუხები ქაღალდზე გადაეტანა. გავიდა ხანი და ჭაბუას მეუღლემ, ძვირფასმა ქალბატონმა თამარმა მითხრა, შენთვის ჭაბუას ხელნაწერი მაქვს გადმოსაცემიო. წავიკითხე და შევინახე. ახლა კი, ათი წლის შემდეგ, გადავიკითხე და მომეჩვენა, რომ ამ ხელნაწერის გამოქვეყნება გამართლებული იქნება.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ

1) როგორ ვწერ მე – ჭაბუა ამირეჯიბი.

– კარგი კითხვაა იმდენად, რამდენადაც მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ მწერლის შრომა მძიმე, აუტანელი გარჯაა და თუ არა დადებითი შედეგი, მას იქნება აღარც როდისმე აეღო ხელში კალამი.

ცხადია, სანამ წერას დავიწყებდე, კარგად უნდა მქონდეს მოფიქრებული, რის თქმას ვაპირებ და რა ხერხებით უნდა განხორციელდეს ჩანაფიქრი. მიუხედავად ამისა, ბარემ, აქვე ვიტყვი, წერის პროცესში განხორციელების ხერხებმა შესაძლოა ცვლილებები განიცადონ. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან ბოლომდე მაქვს გააზრებული წიგნი, არასოდეს ვიწყებ წერას თავიდან, არამედ, ვიწყებ იმ ნაჭრის წერას, რომელიც უფრო „მეწერება“ ამ მომენტსა და დროს. დამთავრებულ ნაწყვეტს გადავდებ გარკვეული დროით (ათი დღე, ორი კვირა, ხანდახან თვე) და ვიწყებ სხვა ნაწყვეტს და ა.შ. მერე უკვე დაწერილს მივუბრუნდები. თუ მაკმაყოფილებს – ჩავასწორებ, თუ არა – თავიდან დავწერ და ეს პროცესი გრძელდება მინამ, სანამ მივიჩნევ, რომ წიგნი დაწერილია, დაწერილი და არა – დამთავრებული. მთავარი სამუშაო ახლა იწყება – მთავარი და ურთულესი კომპოზიცია, ანუ მასალის ყველაზე მომგებიანად, გამომსახველობითად განლაგება! ამ სამუშაოს, ზოგ შემთხვევაში, წერაზე მეტი დრო მიაქვს, რადგან ზოგი ნაწყვეტის თავიდან დაწერა ან გადაკეთებაა საჭირო: სხვებისა არ ვიცი, მაგრამ მე რვა წელიწადზე ნაკლები არც ერთი ჩემი რომანისათვის არ დამჭირვებია. სწორი იქნებოდა, ამ კითხვებზე პასუხი ასე დამეწყო – ვწერ ნელა და დიდხანს.

2) რა არის ჩემთვის, როგორც ადამიანისათვის პროზა, როგორ შეიქმნა ჩემი სტრუქტურა და დღევანდელ პროზას რა თავისებურება აქვს.

– ვშიშობ, მაღალფარდოვანობად არ ჩამომერთვას, მაგრამ რახან მეკითხები, პატიოსნად უნდა გიპასუხო. პროზა კი არა, რაც მიკეთებია სიცოცხლეში, ყველაფერს ერთი მისამართი აქვს – ქართველი ერი, მამული, სამშობლო, მისი აწმყო და მომავალი. ღმერთის წინაშე ვამბობ, დავისაჯო თუ ვიტყუები, პწკარი არ დამიწერია პატივმოყვარეობისა და ლუკმა პურისათვის. რა ვქნა, ასე აღმზარდეს, მოვალეობას ჩამჩიჩინებდნენ და მადლობელი ვარ ჩემი აღმზრდელებისა, რომ სამშობლოს ჩემი შესაძლებლობების თანახმად გამოვადექი – ავიც ვიწვნიე, კარგიც. მტერიც მყოლია და მოყვარეც. აგერა, პროზაში გამოვდექი და მამულსაც დავუტოვე, მგონია.

3) ჭაბუა ამირეჯიბს, როგორც კლასიკოსს, როგორ უყურებს მკითხველი ჭაბუა ამირეჯიბი?

– არც როგორ! არ ვთვლი ჩემ თავს კლასიკოსად და მეტიც, არ მიყვარს, ასე რომ მახსენებენ. კლასიკოსობა მომავალმა უნდა მაჩვენოს. ჯერჯერობით პოპულარულობას ვიკმარებ.

4) რა არის შენთვის ფოტოების ნახვა, რა როლი აქვს შენს ცხოვრებაში ფოტოს ანდა კინოს, სადაც თავად ხარ?

– თითქმის არაფერი მაქვს სათქმელი. ფოტო დროს ასე თუ ისე უძლებს. კინოფირი, როგორც უნდა შეინახო, დროთა ვითარებაში ფუჭდება. კინოში რამდენჯერმე გადამიღეს რაღაც ეპიზოდებში – ვერ შეინახება. ფოტოსურათები გაძლებენ ასიოდე წელს. ჩემს ნაგრამ-ნაშიერს ჩემი გარეგნობა ფერწერული პორტრეტებითაც შემორჩება. მრავლად არის და სხვადასხვა ავტორებისა.

5) რა არის შენთვის ქალი და მამაკაცი, რა არსია ამ ორ ცნებაში, დღევანდელ უტრირებულ შეხედულებებთან შედარებით?

– არ ვიცი რას გულისხმობ „უტრირებულ შეხედულებებში“. ბილწმეტყველთა, ან რეგვენთა შეხედულებებს, რა თქმა უნდა, ვერ დავეთანხმები და, მით უმეტეს, ვერც გავაანალიზებ. რაც შეეხება ჩემ აზრს, ასე მოგახსენებ: ქალი და მამაკაცი ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლის, სულიერების, კაცობრიობის საწყისი, არსი და მომავალია. ქალს უპირატესობას ვანიჭებ, როგორც ყოველივე ზემოთქმულის სხეულით მატარებელს, გამჩენსა და აღმზრდელს.

6) ორი ხელოვანი ხართ ოჯახში, როგორ ხდება ბალანსირება თქვენს შეხედულებებში ხელოვნებაზე, მწერლობაზე. თვალსაზრისები?

– დიდად განსხვავებული შეხედულებები, თვალსაზრისი და სამყაროსადმი დამოკიდებულება რომ გვქონდეს, ხომ მეგობრები და ცოლ-ქმარი არ ვიქნებოდით? თამარ ჯავახიშვილი (ჩემი მეუღლე) ღრმადგანსწავლული და განათლებული ქალია. მიაქციე ყურადღება – „განათლებული“, ცალკე ვთქვი – ნათელი გონების ადამიანია. რასაც ვწერთ, უპირველესად, ერთმანეთს ვაკითხებთ და, წარმოიდგინე, შენიშვნები იშვიათად გვაქვს. მეუღლეს, რა სათქმელია, რასაც ვწერ, მაგიდაზე დევს და მეგობრებისთვისაც არ ვმალავ. პირიქით, მინდა, რომ წაიკითხონ ხოლმე და აზრი გამოთქვან.

7) როგორი ბედი აქვს წიგნს, პროზას, რა მოელის მათ დღევანდელ ვითარებაში, ელექტროწიგნების ეპოქაში? როგორ მოერგება დღევანდელი წიგნი მომავალს და რა როლს ითამაშებს ტრადიციული წიგნი?

– კაცობრიობის მომავალმა, მიუხედავად იმისა, ელექტრო იქნება თუ დასტამბულ-აკინძული წიგნი, არა მგონია, მოიკლოს. მიუხედავად ჩემი შეხედულებისა, რომ ადამიანთა მომავალი საზოგადოება უფრო გაპროფესიულდება, ანუ ვიწრო სპეციალობის საზოგადოებად ჩამოყალიბდება, ნასწავლობა, ლიტერატურისა და ხელოვნებათა ზიარების წყურვილს არ დაკარგავს. პირიქით, მგონია, მოიმატებს და უფრო ფაქიზი თუ არა, ძველი ნიმუშების მიმართ ისეთივე დამოკიდებულება მაინც ექნება, როგორც ჩვენ ახლა გვაქვს.

8) „დათა თუთაშხია“, „გორა მბორგალი“, „გიორგი ბრწყინვალე“ რაიმე სამკუთხედს ხომ არ გულისხმობს, ერთ მთლიანობაში ხომ არ არის მოაზრებული, თუ ცალ-ცალკე, დამოუკიდებელი ქმნილებებია?

– ცალ-ცალკე თხზულებებია, მაგრამ სამკუთხედად გააზრებისთვისაც გამოდგება, თუ მათი ავტორის ბუნებასა და შინასამყაროში ჩახედვისათვის გამოიყენებს ვინმე.

9) ადრეული ნაწარმოებები – მოთხრობები, სცენარები, ზღაპრები – არის თუ არა კავშირში რომანებთან, როგორია კავშირი?

– თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩემი რომანების წელთაღრიცხვა მანდედან იწყება, მანდ ვისწავლე მწერლობა.

ᲭᲐᲑᲣᲐ ᲐᲛᲘᲠᲔᲯᲘᲑᲘ
თბილისი, 21. II. 2005



ᲡᲢᲝᲞᲙᲐᲓᲠᲘ

ᲔᲠᲗᲘᲐᲜ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲖᲔ ᲐᲠᲩᲔᲕᲘᲗ ᲡᲐᲒᲜᲔᲑᲡ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲔᲛᲐᲢᲐ

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, უმაღლესი სასწავლებელი თავად წყვეტს, რომელი იქნება მეოთხე სავალდებულო გამოცდა, თუმცა 1 227 საკონკურსო ადგილზე უმაღლესმა სასწავლებლებმა სამოქალაქო განათლება სავალდებულო საგნად გამოაცხადეს.

აქამდე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტები სამ სავალდებულო გამოცდას აბარებდნენ – ქართული ენა და ლიტერატურა, უნარები და უცხო ენა, არჩევითი საგნების რაოდენობა კი, რვას შეადგენდა.

არჩევითი საგნების ჩამონათვალი ასეთი იყო: ისტორია, გეოგრაფია, მათემატიკა, ლიტერატურა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ხელოვნება. წელს კი, არჩევით საგნებს მეცხრე - სამოქალაქო განათლება დაემატა.

კიდევ ერთი სიახლე უკავშირდება გეოგრაფიის გამოცდას, კერძოდ, ტესტირებისათვის განკუთვნილი დრო, 3 საათის ნაცვლად, 2.30 საათი იქნება. ტესტის მაქსიმალური ქულა კი, 70-ის ნაცვლად, – 60.

ამასთან, ისტორიის ტესტი 80-ის ნაცვლად 70-ქულიანი იქნება, არ შეიცვლება გამოცდის ხანგრძლივობა.

ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და სტუდენტთა საგრანტო კონკურსისთვის რეგისტრაცია 10 თებერვალს დაიწყო. პროცესში მონაწილეობს 64 აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებელი, გამოცხადებულია 44 635 საკონკურსო ადგილი, თუმცა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში განმარტავენ, შეიძლება, ყველა ადგილი არ შეივსოს.

„ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ“

ᲮᲘᲠᲮᲘᲡᲞᲘᲠᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

11-17 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ 2015

№ 6 (270)

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲢᲣᲤᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲞᲠᲝᲖᲐ

ᲕᲐᲟᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐ

ᲑᲐᲮᲢᲠᲘᲝᲜᲘ

VIII

სიზმრის თქმით ყველა ჩაფიქრდა,
დაბლა ჩაჰკიდა თავია
გამოერკვივნენ მალედვე,
გაჩნდა სხვა სანახავია:
ქვიშის ჩხრიალი მოისმა,
თან ფეხის ჩქამი ცხენისა
ეს ვინ-ღა მოდის, ნეტარა,
ჩუმად, უძრავად ენისა?
დადუმდნენ, ზოგნი წამოდგნენ,
იქით მიაპყრეს თვალია
თამამად, ვაჟკაცურადა
თავს წამოადგათ ქალია.
ცხენს ივჯდა მამაცურადა,
წელთ თუმც არ ერტყა ხმალია;
ხელთ ეპყრა შუბი წვერ ბასრი,
მამისთვის მონაპარია.

ᲣᲪᲮᲝ ᲥᲐᲚᲘ

ხელ მოგიმართოსთ, მხედარნო!
მადლი ხატ-ღმერთის თქვენზედა!
გწყალობდესთ ლაშარის ჯვარი
გასულებს ბრძოლის ველზედა! —
ღიმილითა სთქვა ლელამა,
შუქი გამოჰხდა პირისა. —
საამურია საცქერლად
ვარდზე ცვარები დილისა! —
ქალი ჰგავს სამოთხის ყვავილს,
ნარწყავსა უკვდავებითა;
ხორცშესხმულს სიყვარულსა ჰგავს,
აუწყველს უწყავებითა.

ᲚᲣᲮᲣᲛᲘ (ᲚᲔᲚᲐᲡ)

ვისი ხარ, შვილო, რას დახვალ?
მტრობა გგულავდეს იქნება?!

ᲚᲔᲚᲐ

სამოყვროდ მოველ, მამილამ,
თუკი უფალმაც ინება.
შანშეს ქალი ვარ ბაჩლითა,
მენაც თქვენს კვალზე დამდგარი;
ავად თუ კარგად, ღმერთმ იცის,
დედათ ჯარზეით ამდგარი.

ᲮᲝᲨᲐᲠᲔᲣᲚᲘ

ეს სწორედ მოჩვენებაა,
ეშმაკეული ხმა არი!..
ახლა რო ასდეგ, დიაცო,
ადგომის მიზეზ რა არი?

ᲚᲔᲚᲐ

სხვა არა მინდა, გენაცვლეთ,
თქვენს მტერს გულსა ჰხვდეს ლახვარი
და ჩაეყაროს უსურმაგს
ბოროტს თვალებში ნაცარი!
(ლაშქარში ჩოჩქოლი ისმის:
„ეს სადაური, რა არი?!“)
ვერ მიჰხვდით? პირდაპირ გეტყვით:
თათრებთან ომი მწადიან,
მინდა რო ჯავრი ვიყარო,
ბევრს სამ ავს საქმეს სჩადიან:
იკლებენ საქართველოსა,
მუმბარეზობით დადიან.
რად გიკვირსთ, ფშაველ-ხევსურნო,
იქნებ მიწუნებთ ქალობით?
ჩემთ ძმათ ცხონებამ, გარგებდით,
ჩვენთა სალოცავთ წყალობით!
ხმლის ქნევით ვერ გაგაკვირვებთ,
ფარ-შუბის დაგელებითა,
მაგრამ ჩემს საცდელს მაინცა
ვეცდები გამგელებითა.
ნუ გავიწყდებათ, ბახტრიონს
ციხე სამ უდგათ მაგარი,
შიგითაც მოწყობილი აქვთ
სანგალ-საყუჩებ-საფარი;
კარებსა, მაგრა დაკეტილს,
ათას მხრივ უდგა ჩაფარი.
ნეტავ იქ დედასთან მომკლა,
თათრებისაა საპყარი!
მაგ ძალთ ძმათ სისხლიც მიმართებს,
უნდა ვიძიო იგია.
სისხლის აღება, ხო იცით,
მუდამ წესი და რიგია.
ან უნდა თათრის ხმლით მოვკვდე,
მე თავი გადამიდვია.

ᲚᲣᲮᲣᲛᲘ (ᲚᲔᲚᲐᲡ)

მამა სადა გყავ, სულ-კრული?
ქალს რადა გგზავნის ომშია?
რაკი არ გვიჭირს მხედარი
ამ სულის მხუთავს დროშია!

ᲮᲝᲨᲐᲠᲔᲣᲚᲘ (ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲜ)

დიაცს უყურეთ, სულელსა,
უნდა გაგვრეკოს ფონშია
კაცჩი დედაკაცს რა უნდა?
რად არა ფიქრობს გონშია?

ᲚᲣᲮᲣᲛᲘ (ᲚᲔᲚᲐᲡ)

მაშ, არა თქვაა შანშემა,
ჩამეეშველოს ლაშქარსა?
მაშ, არ თუ ჰკმაზავს ლურჯასა,
ტანთ არ ისხამსა აბჯარსა?

ᲚᲔᲚᲐ

რაკი არ უნდა ბეჩავსა,
რაკი არ ერჯის გულია!
ლოგინშია წევს საბრალოს
მრავალივა სჭირს წყლულია.
თქვენი პირის-ქნა გაიგო,
ცა გაუწითდა სნეულსა,
მაგრამ რას იზამს, რო სული
ვეღარ ერევა სხეულსა.
აბჯარნი მიმატანინა,
შამაკმაზვინა ცხენია;
ზედ შაჯდა, მაგრამ დასუსტდა,
დაბლავე გადმეერია.
თქვენს მტერს, რო იმის ყოფნაა,
მე ვშველ, გვერდს უქცევ ხელითა;
მკლავშიაც ხომ სჭირს ნაჭრევი,
ვეღარ მუშაობს წელითა.
რა ეს სთქვა, ლელას ცრემლები
წამოუვიდა ხშირადა:
„ვინ იცის, იქნებ მამიკვდეს,
გამიხდეს დასატირადა!“

ᲡᲣᲛᲔᲚᲯᲘ (ᲚᲔᲚᲐᲡ)

შენ, ჩემო დაო, გირჩევნავ,
მამასვე ჰყვანდე გვერდითა:
ან წყალს მიაწვდი, ან წყლულებს
შაუხვევ ნაკუწებითა.
ჩვენაც ვეყოფით თათრებსა,
ჯავრს არ შეგაჭმევთ მტრისასა;
უერთოდ აღარ დავლახავთ
ბილიკებს ჩვენის მთისასა,
ჩვენ ვიძევთ სისხლსა, ნუ სწუხარ,
შენი დედის და ძმისასა.

ᲚᲐᲨᲥᲐᲠᲘ

სუმელჯიმ კარგი გირჩია,
წასვლა გირჩევნავ, ქალაო,
შენის ყოლით და არყოლით
არ გვიბედენებს ძალაო.
ჩვენაც ვგვიანობთ, გზა გველის,
ეს საუბარიც კმარაო,
ზოგი ხო დღეს ვიუბენით,
ზოგიც ვიუბნოთ ხვალაო.

ᲚᲣᲮᲣᲛᲘ (ᲚᲔᲚᲐᲡ)

ჩემს ძმას უთხროდი, შანშესა,
ყოჩაღად იყოს, ფხიანად,
ყველაად ვკმარვართ მტრისადა
სადავლოდა და ზიანად.
ლუხუმმა დამაბარაო,
კარგა უამბე, ჭკვიანად.

ᲚᲔᲚᲐ

როგორ წავიდე? ვერ წავალ,
სიზმრებსა ვსინჯავ ავებსა
კაცი რამ მოდის კუპრივით,
დაათრევს კაცის თავებსა;
მოდის, წინ მიწყობს ღრეჭითა
ჩემთ ძმათ სისხლიანს მკლავებსა.
ის რო წავა და — სხვა მოვა
დიაცი მზისა ფერია;
მეტყვის: უთხარ რამ, ლელაო,
ეგ არის თქვენი მტერია!
ამ ტანჯვაში ვარ სულ მუდამ,
ძილი არაა ჩემთვინა —
ესა სთქვა განაცრებულმა,
ცრემლებიც ჩამეედინა.
ცხენი მოღრიჯა, გასწია,
ქვითინი გაჰყვა კვალადა;
წავიდა გულ-ჩათუთქვილი,
მივალის ძალი-ძალადა.
ქალის ქვითინსა მდუღარეს
მთანი იწერენ მკერდზედა;
ცრემლით ატირდენ წყარონი,
ჩამომდინარნი გვერდზედა;
დაბერებულა პირიმზე,
კუზი ეტყობა წელზედა
ოცნება ტანჯულის ქვეყნის
ქვითინებს მთისა წვერზედა.

IX

ღელეს ჩავიდა მწუხარე
ვარდი, ვარდის წყლით ნაბანი;
უძრავი ჰხურავ თავზედა
ყვავილიანი საბანი.
მოულოდნელი ხმა ესმის,
კაცის კივილი შორითა,
ჩამორბის, ჩამოუძრახნებს
კაცი ახადის გორითა:
— მოიცა, ქალო, და-ძმობას,
ცოტას იარე წყნარადა.
რა გაქვითინებს, ბეჩავო,
იყავი უწყინარადა!
ლელა ჩამოხდა ცხენიდამ,
ცხენი მიაბა ხეზედა,
ჩამოჯდა დაღონებული,
შუბი დაიდვა გვერდზედა.
აგერ გამოჩნდა ისიცა,
ვისიც ესმოდა ძახილი,
ქალთან პირდაპირ მივიდა,
ვით ამოწვდილი მახვილი.

ᲙᲕᲘᲠᲘᲐ

შენ და, და მე ძმა, ლელაო!
თუნდა მიმიღე მამადა.
ჩემს ესე დატევებასა
ნუ ჩამამართმევ ავადა.
მე კვირია ვარ, მიტირე,
თუშეთით მოსულ მზირია,
თუმცა-კი თქვენის წყლისა ვარ,
ფშაური მიდგა ძირია,
გოგოლაურთა დისწული,
მათურელ გივის შვილია
შენი პასუხი მესმოდა,
იქვე ლაშქარში ვერიე,
უფროსთა საუბარშია
მე ვეღარ ჩამოვერიე.
თუმც-კი დამიჯდა ჭკვაშია
შენი გაყოლა თანაო
აჩქარდენ, იუკადრისეს
დიაცის წამოყვანაო.
რო ხერხი ღონეს სჯობია,
ლაშქარი ჰფიქრობს განაო?
საცა ჰოს უნდა ამბობდენ,
იქ იძახიან: არაო!
როდი ჰფიქრობენ, — ბახტრიონს
ბევრი თათარი სტანაო;
ჯერ შასვლა არი საჭირო,
რო კაცმ იხმაროს დანაო.
საქმე ციხეა, უფრო-კი
მაგარი ციხის კარები,
რომ ლაშქარს ჰქონდეს მტრისაკე
გზა, ლაღად გასატარები.
მე და შენ, დაო, ესრე ვქნათ,
მეც თავს არ ვზოგავ, იცოდე:
ჩვენ ჯარზე უწინ წავიდეთ,
შენაც ჩემთანა ხვიდოდე.
ჩვენ ორნი წავალთ ერთადა, —
მივმართოთ თათრის ბინასა;
მივესალმები ყარაულს,
სხვებზე თავს მდგომს და წინასა.
თან ვეტყვი: ყეინს მოვართვი
ფეშქაშად ტურფა ქალიო;
გთხოვთ მანუგეშოთ მენაცა,
კაცი ვარ შესაწყალიო.
კარს გაგვიღებენ ციხისას,
მარჯვედ მოვხვდებით შიგითა.
შენ თუნდა ხელსაც ნუ გასძრავ,
ჩვენს ჯარს მე ვუშველ იქითა.
ჯარი ხვალემდე არ მოვა,
ჩვენ სრულ წინდაწინ ვიაროთ;
მზას ვიყვნეთ, ციხის კარითა
საქმე წაღმ დავატრიალოთ.
ცისკრის ხანს მოვა ლაშქარი,
ჩვენც იქ დავხვდებით მარჯვედა;
ვეცდები კარი გავუღო,
თუნდ დამკლან ციხის კარზედა.
შენ რაღას იტყვი ამაზე,
ვამბობ თუ არა ჭკვაზედა?

ᲚᲔᲚᲐ

მზადა ვარ, შენი ჭირიმე,
როგორც სჯობ, იცი უკედა;
მე-კი გონება არ მიჭრის,
გამხდარს დარდ-ბოღმის ბუდედა.
მტრის ჯავრი გულში მიდგია
შავს ალაზანის გუბედა.
ეგრ იყოს, როგორც შენ ამბობ,
უარს არ ვიტყვი მაგაზე,
ოღომც დააბას ჩვენმ ჯარმა
თათრები ვირის ბაგაზე.
იმოდენს როგორ არ შავძლებ,
რო დამკლან დედის კალთაზე
ამ პირობაზე დამდგარნი,
ორნი გორი-გორ ჩადიან;
ოღომც ეშველოს ჩვენს ჯარსა, —
ორსვე სიკვდილი სწადიან.

X

ცამ გადიბანა პირიდამ
მური, ნაცხები ღრუბლისა,
გადაეფინა სამყაროს
ლოცვა-კურთხევა უფლისა.
შუქი დაეცა ლაშქარსა
მთების ბრწყინვალის შუბლისა.
ლაშარის გორზე წავიდა
ლაშქარი დროშის ჟღერითა.
„შადეგით“, ჰყვირის ლუხუმი,
სამკლავიანის ხელითა:
„ვერა ჰნახეთა, ბატონი
წინ მიგვიძღვება ცხენითა!?“

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲔᲓᲐᲠᲘ

ვნახე, ცის ტატნად დავატყვე,
მთა გადალახა სწრაფადა;
გარს ევლო შუქი ბრწყინვალე,
ციდამ მოსული ძაფადა.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲮᲔᲓᲐᲠᲘ

ლურჯს ცხენზე ივჯდა, ლამაზი
სხივი თავს ედგა ღვთიური;
რო ვნახე, გულში ჩამიდგა
სიამოვნება ციური.

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲛᲮᲔᲓᲐᲠᲘ

მე ტრედის-ფერად მეჩვენა,
სხივი მისდევდა მზიური;
შორს გაანათა ელვასებრ
ასი ბარული დღიური.

ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲛᲮᲔᲓᲐᲠᲘ

ჯერაცა ვხედავ, მივალის
ტურფა, სიტურფით ქსოილი;
ისრ ჰშვენის ცხენზე, ვით ველზე
გაზაფხულისა ყოილი.

ᲚᲐᲨᲥᲐᲠᲘ (ᲔᲠᲗᲮᲛᲐᲓ)

იდიდოს შენი სახელი,
ჩვენო ბატონო, ძლიერო!
ჩაგვიძვეღ, მოგდევთ ჩვენაცა,
საყმოს საშველად მშიერო!
ადიდე ლაშარის ჯვარი,
ცისა და ქვეყნის იერო!
ნეტავ, რა მტერი იქნება,
ეხლა გაგვიძლოს, ბიჭებო,
ჩვენი კვალი ხარ დღეს შენა,
ლურჯაის დანაბიჯებო!
ლაშარის ჯვარის ცხენისა
ნატერფალია ელვარე;
აღტაცებულსა ლაშქარსა
გული გაჰხდია მღელვარე.

6

№ 6 (270)

11-17 თებერვალი 2015

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲜᲔᲑᲘ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲖᲐ

ᲒᲝᲒᲚᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲚᲝᲡᲘ

• • •

ქართლოს კასრაძეს, უბერებელი იუმორის ავტორს თავის დროზე იმდენი უხუმრია და დაუწერია, ალბათ, ტომეულებიც ვერ დაიტევს. ამიტომ, დღეს მხოლოდ იმას გავიხსენებ, რაც პირადად მომისმენია და შევსწრებივარ.

იმხანად სტუდენტი ვიყავი და რკინიგზის სადგურიდან ვაკეში მიმავალ ტრამვაის მივყვებოდი. ტრანსპორტში ტევა არ იყო. თერთმეტსართულიანთან, გაჩერებაზე, ქართლოსი ახალდაძრულ ტრამვაის შემოახტა (მაშინ ეს ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა). კართან მდგომი მილიციელი საქმეში უმალ ჩაერია.

– რატომ არღვევ წესრიგს, ახალგაზრდავ! – მიმართა მკვახედ მგზავრს.

– მე კი არა, წესრიგს თავად არღვევ, – იქით შეუტია ქართლოსმა.

– მე? – განცვიფრდა წესრიგის დამცველი.

– დიახ, შენ გაჩხირულხარ კარში და მგზავრებს ტრანსპორტში ამოსვლის საშუალებას არ აძლევ.

– ერთი ამას უყურეთ, – ხელები გაშალა მილიციელმა, – ტრამვაის შემოახტა, მგზავრებს გულები გაუხეთქა და შენიშვნაც აღარ უნდა მივცე? ხულიგანი ჩანხარ, შენ ვიღაცა ხარ!

– მე თუ ხულიგანი ვარ, შენ კიდევ ანტიფაშისტი ხარ!

– მე ვარ ანტიფაშისტი? – აილეწა მილიციელი.

– დიახ, შენ ანტიფაშისტი ხარ, აბა, ვინა ხარ?

– ახალგაზრდავ, ჭკუას მოუხმე, თორემ ახლავე განყოფილებაში მიგაბრძანებ.

– წამიყვანე, რა, – არ დაიბნა ქართლოსი, – იქაც ვიტყვი, რომ ანტიფაშისტი ხარ.

ამ საუბრის შემსწრე ხალხმა თავი ვეღარ შეიკავა და აფხუკუნდა. წესრიგის დამცველი გაოგნდა და სიმწრის ოფლმა დაასხა.

– აი, ხომ ხედავ, – მოუტრიალდა ქართლოსი, – ხალხმაც იცის, რომ ანტიფაშისტი და მავნებელი ხარ.

მილიციელმა იფიქრა, ჩემი საქმე ცუდად არისო (მაშინ ომი ახალი დამთავრებული იყო და სიტყვა ფაშისტი საშიშად ჟღერდა) და მორიგ გაჩერებაზე სასწრაფოდ ჩავიდა.

მგზავრები სიცილით იფხრიწებოდნენ...

მომდევნო წლებში, როცა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, სარაიონთაშორისო გაზეთ „სამგორში“ ვმუშაობდი, ქართლოსი რედაქციის ხშირი სტუმარი გახლდათ. მოჰქონდა ცინცხალი იუმორი, ზოგჯერ საქმიან წერილებსა და კორესპონდენციებსაც აქვეყნებდა.

ერთ-ერთი ასეთი კორესპონდენცია მაშინდელი ლოჭინის მეფრინველეობის ფაბრიკის საქმიანობას შეეხებოდა. ავტორი იწონებდა იქაურ მეფრინველეთა შრომა-გარჯას და წლიური გეგმა-დავალების დიდი გადაჭარბებით შესრულებას უწინასწარმეტყველებდა.

წერილის გამოქვეყნებიდან მეორე დღეს, რედაქციაში ტელეფონი აწკრიალდა. საწარმოს შეშფოთებულმა თავკაცმა გვამცნო, რომ კორესპონდენციაში საბედისწერო შეცდომა გაიპარა: ფაბრიკაში სულ 2 ათასი ქათამი გვყავს, წერილში კი 4 ათასი წერიაო. ეს რა გვიქენით, ბატონებო, სახელმწიფო კვერცხის დამზადების გეგმას აწი ამ ციფრის მიხედვით დაგვიწესებს და დავიღუპებითო.

გაზეთის რედაქტორი სილოვან ნარიმანიძე ამ ამბავმა ძალიან შეაშფოთა, ქართლოს კასრაძე რედაქციაში იხმო და უსაყვედურა:

– შე კაი კაცო, რა შარს გადამკიდე, ადგილზე იყავი, კარგად დაგეთვალა ის ოხერი ქათმები და წერილი ისე დაგეწერა.

– დავითვალე, აბა, არ დავითვალე? – იუკადრისა ქართლოსმა.

– თუ დაითვალე, კორესპონდენციაში 2-ის ნაცვლად, 4 ათასი ქათამი საიდან გაჩნდა?

– სილოვან, ძმაო, ერთ ქათამს ორი ფრთა ხომ ნამდვილად აქვს?

– აქვს.

– ჰოდა, მეც მაგიტომ დავწერე, 4 ათასი ფრთა ქათამი ჰყავთ-მეთქი. რა არის ამაში, ბატონებო, გაუგებარი?

რედაქტორს გაეღიმა. ქართლოსი მისი კაბინეტიდან გამარჯვებულის იერით გამოვიდა და რედაქტორის მოადგილეს, ისლამ ბაბაევს აზერბაიჯანულ ენაზე გაუბა მასლაათი. ჩვენ პირი დავაღეთ: ხედავთ, ქართლოსს ინგლისურთან, ფრანგულთან, ჩინურთან და იაპონურთან ერთად, აზერბაიჯანულიც სცოდნიაო.

– რას გეუბნებოდა? – ვკითხეთ ისლამს, როცა ქართლოსი წავიდა.

– ვერ გეტყვით, – განგვიცხადა თავადაც პირდაღებულმა ისლამმა, – თქვენც ისმენდით, თითქოს აზერბაიჯანულად ლაპარაკობდა, მაგრამ იქიდან ერთი სიტყვაც ვერ გავიგე...

ქართლოს კასრაძეს რამდენჯერმე თელავის რაიონულ გაზეთ „ალაზნის განთიადის“ რედაქციაში მუშაობის დროსაც შევხვდი. უფრო სწორად, თვითონ შემხვდა – ძველი და ახალი იუმორესკები დაეხვავებინა და გამოქვეყნება მთხოვა.

– ქართლოს, ამათი უმეტესობა ხომ უკვე წაკითხული გვაქვს? – ვუთხარი გაკვირვებით.

– კაცო, შენ წასაკითხად კი არ მოგიტანე!

– აბა, რისთვის მოიტანე?

– ჰონორარისთვის.

– დატოვე და როცა გამოქვეყნდება, ჰონორარს შინ გამოგიგზავნით.

– მასე არა, წინასწარ უნდა გადამიხადო, – განაცხადა კატეგორიულად.

– რატომ წინასწარ?

– რა ვიცი, კაცნი ვართ, ხომ შეიძლება, გადავიფიქრო და ჩემი ნაწერები სხვა გაზეთს შევთავაზო?

დავხარბდი და ჰონორარი წინასწარ გადავიხადე (ამის გამო რედაქციის ხანდაზმული ბუღალტერი, ქალბატონი მარო მთელ კვირას იცრემლებოდა), მერე, სხვა რაიონულ გაზეთებს რომ ვათვალიერებდი, მივხვდი, თურმე, არც იმათ რედაქტორებს აკლდათ სიხარბე(!).

• • •

გასული საუკუნის 60-იან წლებში გამომავალ სარაიონთაშორისო გაზეთ „სამგორის“ რედაქციასთან, რომელსაც საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი პოეტი სილოვან ნარიმანიძე ათეულობით წლები რედაქტორობდა, ყმაწვილკაცობა მაკავშირებს. მაშინ მე, ჯერ კიდევ შეუბუმბულავ ჟურნალისტს და სხვა თანამოკალმეთაც, რომელთაგან ზოგი უკვე ცნობილი პოეტი თუ პროზაიკოსი იყო, რედაქტორი დაბოხებული ხმით გველაპარაკებოდა და რატომღაც ვფიქრობდით, რომ გიორგი ლეონიძეს ბაძავდა. ასეთ მიმბაძველობაში, რა თქმა უნდა, ცუდი არაფერი იყო, მაგრამ როგორც ჩანს, ვცდებოდით. ცხოვრებაგამოვლილი სილოვანი სიცოცხლის ბოლომდე ბუხუნებდა და ზოგ-ზოგთა დაუოკებელი სიხარბის გამო (პოეტის თქმით, მათ „თავისთვის განიკუთვნეს ამა სოფლის სიამენი და მოძმენი გაწირეს“) ხშირად ბრაზობდა და მათი მისამართით ავსიტყვაობდა კიდეც.

რადგან გიორგი ლეონიძე ვახსენე, არ შემიძლია, არ გავიხსენო ის თბილი და გულითადი გამორჩეული ურთიერთობა, რაც მაშინდელ „სამგორის“ რედაქციის ჟურნალისტებსა და დიდ პოეტს შორის არსებობდა. სილოვან ნარიმანიძის წყალობით, რომელთანაც გიორგი ლეონიძეს შემოქმედებითი ძმობა და მეგობრობა აკავშირებდა (გოგლა სილოვანს თავის ბოკვრად თვლიდა), მგოსანი ჩვენს რედაქციას ხშირად სტუმრობდა.

ამოირბენდა იმხანად უკვე ჭარმაგი პოეტი კიბეს (კიბეზე ნელა ასვლა არ სჩვეოდა. ეტყობა, ამაშიც იყო რაღაც პოეტური, მხოლოდ გოგლასთვის დამახასიათებელი), შემოხსნიდა რედაქციის კარს და თავად მზითა დ სიყვარულით სავსე, ჩვენც მამულიშვილური და კაცთმოყვარული იდეებით დაგვმოძღვრავდა.

– გამარჯობა „ლოჭინოტაიმსელებო“ (ჩვენს გაზეთს ხუმრობით, „ლოჭინო ტაიმს“ ეძახდა)! – იტყოდა პოეტი, მერე სათითაოდ ხელს ჩამოგვართმევდა, შინაურულად მოგვიკითხავდა, ნაწერ-ნაღვაწს შეგვიქებდა და რედაქტორსაც „გაკენწლავდა“: ყოჩაღ სილოვან, ეს რა ტალიკ-ტალიკი (ეს სიტყვა გამორჩეულად უყვარდა) ბიჭებისთვის მოგიყრია თავიო. ჩვენ, პატარა „ტაიმსის“ წვრილფეხა ჟურნალისტები და მწერლები (იმხანად რედაქციაში მუშაობდნენ პროზაიკოსები – გიორგი პაპუაშვილი, სოლომონ დემურხანაშვილი, გურამ ბათიაშვილი, ჰენრი კობიძე, პოეტები – გივი ძნელაძე, გივი შეყილაძე, ოთარ შალამბერიძე, ნუგზარ ჭანტურია, ნოდარ ნარსია, უშანგი ბედია და სხვები) გაკვირვებულიც ვიყავით და აღფრთოვანებულიც – ამხელა პოეტი და ერისკაცი ასე ძმაკაცურად რომ გველაპარაკებოდა.

ისე, სილოვანის ხელში პურ-მარილებიც არ გვაკლდა და თუ გიორგი ლეონიძესაც დავპატიჟებდით, მგოსანი არც ამაზე გვეუბნებოდა უარს, წამოგვყვებოდა, თვითონაც მამაპაპურად მოილხენდა და ჩვენც ზეციურ მადლსა გვწევდა.

მახსოვს, ერთხელ, გიორგი პაპუაშვილმა, რომელიც გოგლასთან ძალზე შინაურულად იყო, ოჯახში მიგვიპატიჟა. თავანკარა კახურმა და შემწვარმა ინდაურმა, რომელიც პოეტს განსაკუთრებულად უყვარდა, გიორგი ლეონიძე ისე გაახალისა, სადღეგრძელოებში სულ ვარსკვლავებს წყვეტდა.

ყურებდაცქვეტილნი ვისმენდით, გვინდოდა, ყველა სიტყვა ჩაგვეყლაპა და დაგვემახსოვრებინა. ასეთ სიტუაციაში თავი ვერ შევიკავე, ეს რა ღვთისნიერი თამადა გვყავს-მეთქი, გადავულაპარაკე გვერდით მჯდომ ჰენრი კობიძეს. პოეტმა იფიქრა, არ მისმენენო და დაგვტუქსა: თუ ჩემი თამადობა არ მოგწონთ, მობრძანდით და თქვენ ითამადეთო. ესა თქვა, სადღეგრძელო შეწყვიტა და სკამზე მოსხლეტით დაეშვა.

მე და ჰენრის პირკატა გვეცა, სასწრაფოდ წამოვხტით და მოვუბოდიშეთ. სიტყვა დამთავრებული არ გვქონდა, რომ ტანბრგე პოეტი კვლავ ფეხზე იდგა. დასხედითო, დაგვამშვიდა, მე ის კაცი არა ვარ, ვინც თამადობას ასე იოლად შეელევაო, თქვა და დამაჯერებლობისთვის თავისი მოთხრობის გმირი ღვინჯუა დაიმოწმა, რომელიც გამორჩენილი საყველაწმინდიოს სათქმელად მასპინძლის ოჯახს უკვე შუაგზაგავლილი მოუტრიალდა.

იმ საღამოს საყვარელ პოეტთან ნადიმი გვიანობამდე გაგრძელდა, მით უფრო, რომ სიტყვამჭევრ თამადას ტრადიციული, მამაპაპური სადღეგრძელოებიდან ერთიც არ გამორჩენია და არც დავიწყებული საყველაწმინდოს სათქმელად მობრუნებულა შუა გზიდან....

ᲝᲗᲐᲠ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

11-17 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ 2015 | № 6 (270) | 7

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ახალი ლექსები

ოყრი კახნიაშვილი

სოფელს დაუბრუნდება?!

გევედრებით ყველას
ნუ აჩეხავთ ტირიფს,
საქართველოს ბედზე
იცრემლება, ტირის.
ვეღარ გამრთელდება
დაკოდილი გული,
მამულს არ ჭირდება
ყალბი სიყვარული.
თუ ყოველგვარ სიკეთეს
თესავს სარწმუნოება,
არ ყოფილა ყოველივე
მაშინ ამაოება.
ყოველ ფეხის ნაბიჯზე
ფიქრებით და მიზნებით,
ღვთის მადლით და შეწევნით
სულიერად ვიზრდები.
ლუციფერი სულში მოძვრება
ბავშვობიდან მწამს შენი მოძღვრება,
ღრუბლიანმა ცამ წვიმა გამოცრა,
უფალ, გეყოს ჩემი გამოცდა.

●

დრო გარბის სწრაფად როგორც ავაზა,
არავინ არის მისი დამწევი.
მე ვენაცვალე იმ მანდილოსნებს,
ვინც იყვნენ თქვენი აკვნის დამრწევნი,
ვკითხულობ მხოლოდ სევდიან ლექსებს,
ცისფერყანწელებს, გოგლას, ტიციანს
და უიმედოდ ვხვდები ახალ წელს,
ეს ჩემმა ძმებმა კარგად იციან.

●

ვერ გაიტაცა ნაყოფი ქარმა,
ვერ მოერია და მიატოვა,
მოულოდნელად ზამთარმა მკაცრმა
ყინვით დააზრო და მიათოვა.

●

მიედინება ცხოვრება ნაკადულივით ჩქარა,
ვეღარ გაუძლებ გამოცდებს, უფალო, უკვე კმარა,
მე მორწმუნე ვარ ოდით, ნაზიარები — არა,
მაინც სიმართლეს ვამბობ და ჩემს ცოდვებს არ ვმალავ.
ლექსიც ჩემია ყველა, რითმას არავის ვპარავ,
ჭმუნვას, კაეშანს, სევდას ჩუმი გალობით ვფარავ.

●

თქვენ ნუ იდარდებთ, თავს არ მოვიკლავ,
რადგან არ დავლევ შაბს და დარიშხანს,
ჯიქურ მივიწევ, არ ვუშინდები,
წვიმას და თოვას, ცეცხლს და ქარიშხალს.
ვიყო მამაცი, ვით ბაზიერი
ცალ მხარზე მეჯდეს ჟღალი მიმინო,
ჩემი ვალია, ვენთო კელაპტრად,
მამულს ცხრაჯერ რომ შემოვურბინო.

●

ცა იქუფრება თანდათან
და მგონი, წვიმას აპირებს,
ღვთის ნებითა და შეწევნით,
თავს ავარიდებ ვამპირებს.
ეს რამდენ ზაფხულს მოვესწარ
და რამდენ შემოდგომასა,
სუყველას გემუდარებით,
ნუ წამიკითხავთ მორალსა.
წუთისოფელი უნდოა,
რომ მგვრის შიშსა და ძრწოლასა,
ვიდრემდი „დავიბრიდები“,
გამოვუცხადებ ბრძოლასა.
ჯერ არ ვაპირებ საფლავში
გულაღმა წამოწოლასა.
კინაღამ გამათამამა
პატარა წარმატებებმა,
შთაგონების ქვეშ როცა ვარ,
სტრიქონი, სტრიქონს ებმევა,
ხანდახან თავს ვეკითხები:
სხვა ვინმეა თუ ეს მე ვარ?!

●

ლიახვი და ქსანი,
არაგვი და მტკვარი,
თითქოს სიმშვიდეა —
ამინდია წყნარი,
რასაც გვპირდებიან,
სიცრუეა მტკნარი,
წესიერი კაცი
დადის ცოცხალმკვდარი.
ვისთვის ავაჟღერო
გაბზარული ქნარი?!

●

წუთისოფელი უნდოა,
ტიალი და ოხერი,
უზნეობის ფიანდაზად
გაუფინეთ ნოხები.
სმენას ვიხშობთ —
არ გავიგოთ
ხმა თუშის და მოხევის.
გუდამაყრის ხეობამ
შვა გიდერძი ჩოხელი.
ვერ გაუძლო მისმა გულმა
ყოველდღიურ ვაებას,
ლაბირინთში გაიხლართა,
ინტრიგაში გაება.
ნიჭიერი კაცი იყო,
თვითნაბადი მწერალი,
ჰონორარით სულს ითქვამდა,
არ ჰყოლია „ფერარი“,
წავიდა და დაგვიტოვა
ფილმებისთვის სცენარი,
ზოგი მწიფე თავთავია,
ზოგი კიდევ ბზე არის.

ჯ. ექსარიანე ძმობიძე

სიზმრად ვიხილე, როგორ ვკვდებოდი...

სიზმრად ვიხილე, როგორ ვკვდებოდი,
სატრფოს ლოდინმა ძლიერ დამღალა
და მე ვტიროდი, როგორც ტერენტი,
დავწრიალებდი ჩრდილი... აბა, რა?!
ცხადად ვიყვირე, როგორ ვდნებოდი,
სევდის გაღება კალმით დამბალა,
გალაკტიონის მთვარე ვხვდებოდი
და ვტრიალებდი ცელქი ნამგალა!
ბევრი ვირბინე, ცისკენ ვწვებოდი,
მე გაორებამ ღმერთი მომგვარა,
შენ, გალაკტიონ, გრიფონს ხლებოდი,
ტერენტიმ სანთელს ფრთები მოპარა!
გულში ვიკბინე, მიზანს ვცდებოდი,
მე დაობლების ქერტლი მეყარა.
MEMENTO MORI — ასე ვხვდებოდი
ხოლო „INVICTUS“ ცეცხლით მებარა!
სულაც ვიძინე, მეფეს ჰკრეს წიხლი,
ეს სინანული ცრემლად ებანა,
სერაფიმს საფლავთ უყვარდა ფიქრი,
მთაწმინდას იწვა ღამის მემბრანა!
მოკვდავი ვიყავ და მე ვქრებოდი,
მორჩეს გენია... იყოს ეგ არა,
ტერენტი! მიწას მარად წყდებოდი,
ტაბიძე ვარდებს ზეწრად ეფარა!
სიზმრად ვიხილე, როგორ ვკვდებოდი,
გრანელი სულით ანგელს ედარა,
თურმე, რიონში დემონს ვხვდებოდი,
ჩემში განგებამ ორიც შეჰყარა!

გაზაფხულია... უშენოდ მტკივა

გაზაფხულია... უშენოდ მტკივა,
ცრემლი მიცურავს თვალთა აფრაზე,
ახლა ტყეებში გირჩები ცვივა
და მარტოობა დადის აცრაზე!
გაზაფხულია... უშენოდ მტკივა,
სული გაცვითეს ეულ ბაქანზე,
ახლა გზაშია ისეთი გმინვა,
ზეცა დასკდება გულის კანკალზე.
გაზაფხულია... უშენოდ მტკივა,
დარდი იწყება ქალის ტაფაზე,
ახლა ქარშია სიტყვების წვიმა.
ფიქრით დარწეულ ზღვების ტანტალზე.
გაზაფხულია... უშენოდ მტკივა,
ნუში იყოფა ქოლგის ფატაზე.
ახლა თოვლია ყვავილის ფინვა,
სისხლით აღვსებულ დადის კაბაზე!
გაზაფხულია... უშენოდ მტკივა,
ფეხი მიცოცავს სნეულ ბაწარზე,
ახლა სიცოცხლემ დაკარგა ბზინვა
და ექოდ იწევს მთებში გაჭრაზე!
გაზაფხულია... უშენოდ მტკივა,
ბედვამ დატოვა მარტი ვადაზე,
ახლა ცხოვრებამ დაიწყო ყინვა
და შემოდგომა დარბის ბაზარზე!
გაზაფხულია... უშენოდ მტკივა,
ხელდაკრეფილი ვწევარ არფაზე.
ახლა სიკვდილმა მაწოდა ხვრინვა.
რადგან ცოცხალი ვერ დამაფასე!

არ შემიყვარებს თუმცა არავინ

ვხედავ, ილევა ეს მოლოდინი,
წუთები წამებს როგორ ურტყამენ,
არ შემიყვარებს თუმცა არავინ,
ჩემი ლექსები მაინც სულს ნთქავენ!
წყდება, სველდება... ძველი საკრავი,
გულის სიმებიც ვეღარ უკრავენ,
არ შემიყვარებს თუმცა არავინ,
ჩემი ცრემლები მაინც სულ ხრავენ!
ხედავ?! იხევა ეს სიყვარული,
ნულები კვალებს როგორ მუსრავენ,
არ შემიყვარებს თუმცა არავინ,
ჩემი რითმები მაინს სულს კლავენ!
ცვდება, ისპობა... ბნელი საფლავი,
ბნელი სხივები ვეღარ მკურნავენ,
არ შემიყვარებს თუმცა არავინ,
ჩემი ლექსები მაინც სუნთქავენ!

8
№ 6 (270)
11-17 თებერვალი 2015

ქართული სიტყვა

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

რამაზ საყვარელიძე:

„ᲐᲖᲠᲖᲔ ᲐᲠ ᲕᲐᲠ, ᲠᲐ ᲢᲘᲞᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲨᲘ ᲕᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲗ!“

ეყოლება თუ არა მომავალ არჩევნებში „ქართულ ოცნებას“ სერიოზული კონკურენტი, რას მოასწავებს არასამთავრობოებზე შეტევა და როგორი უნდა იყოს ქართული სატელევიზიო სივრცე? – ამ და სხვა საკითხებზე „ქართული სიტყვა“ პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.

– „ქართულმა ოცნებამ“ გაღიზიანებული, პატივაყრილი ქვეყანა გადაიბარა – ყველა კუთხით პრობლემები გვაქვს. ბატონო რამაზ, საუბარი, მოდით, საგარეო პოლიტიკით დავიწყოთ: ორიენტაციას ვიცვლით, ანუ რუსეთისკენ მივექანებით?

– ამ ფორმულას დასაწყისში „ნაციონალები“ ახალ ხელისუფლებას აძახებდნენ, მაგრამ ახლა ისინიც აღარ ამბობენ და მიკვირს, ეს შეკითხვა საიდანღა ამოტივტივდება ხოლმე, რაღაც საფუძველი ხომ უნდა ჰქონდეს?!

– პარტია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელ მდივნად ნინო ბურჯანაძის ექსთანაპარტიელის შვილი, ირაკლი კობახიძე დაინიშნა. ბურჯანაძის პოლიტიკური ორიენტაცია, მგონი, საკამათო არაა და ამ ფონზე ქვეყანაში კობახიძის გარდა სხვა კადრი არ მოიძებნა?

– ივანიშვილმა ბურჯანაძე არ გაიკარა. კობახიძე კი, ვითომ ქვეყნის კურსის შეცვლის ნიშანი რატომაა? ეს იმას ჰგავს, ირაკლი ალასანიამ რომ გამოაცხადა, რადგან უწყებაში პროკურატურა შემოვიდა, ქვეყანამ კურსი შეიცვალაო.

– ალასანიას ამის გამო არ უთქვამს, ქვეყანა კურსს იცვლისო. ისე, არავინ იცის, „კაბელების საქმის“ გამოძიება რა ეტაპზეა...

– საქართველოს ევროპასთან ურთიერთობაში ამდენი წინგადადგმული ნაბიჯი ჯერ არ ჰქონია, რაზეც საერთაშორისო დონის ფაქტებიც ცალსახად მეტყველებენ და ეს იმ დროს ხდება, როცა რუსეთი ბევრ ხაფანგს გიგებს, მავთულხლართებს წევს, საზღვარს არღვევს. ამ ტიპის შეკითხვების გაჩენას რაიმე ლოგიკა ხომ უნდა ჰქონდეს?

– ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით, GDშ-ი „ნაციონალების“ მოღვაწეობაზე 200-სერიან ფილმს გადაიღებს, რომელსაც „9+1“ ერქმევა...

– არ მგონია, რომ ფილმები პოლიტიკურ სირთულეებზე პასუხის გაცემის საუკეთესო საშუალებაა.

– წინა ხელისუფლებასაც უყვარდა ფილმები...

– გეთანხმებით, მაგრამ იმ ფილმებმა ის შედეგი მისცა, რაც უნდოდა? მიზნის მიღწევა მხოლოდ სარეკლამო ნაბიჯებით ძნელია. მოსახლეობამ კარგად იცის, თუ რა ცუდები იყვნენ „ნაციონალები“, თუკი „ოცნება“ ოპოზიციასთან ურთიერთობას გაარკვევს, ფილმს რეზონანსი და შედეგი ექნება, სხვა შემთხვევაში, საზოგადოებას მხოლოდ გააღიზიანებს.

– რას ნიშნავს „ურთიერთობებს გარკვევს“?

– თუკი „ოცნებამ“ იცის, რომ „ნაციონალები“ ცუდები არიან, მაშინ იმას, ვინც დასაჭერია, რატომ არ იჭერს?! რატომ ნიშნავს მაღალ თანამდებობაზე მათ, ვინც ადრე დანაშაულს ჩადიოდა და ა.შ. ჩემი აზრით, ფილმის გამოსვლის მერე, ხალხი „ქართული ოცნების“ მიმართ უფრო კრიტიკული გახდება.

– მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ მისი არასამთავრობო ორგანიზაცია რამდენიმე ენ-ჯეო-ს ხელმძღვანელზე მონიტორინგს გამოაქვეყნებს, გაჩნდა მოსაზრება, რომ ეს დემოკრატიულ ინსტიტუტებზე შეტევაა, მით უმეტეს, იმ არასამთავრობოებზეა ლაპარაკი, რომელთაც აშშ მხარს ღიად უჭერს...

– არასამთავრობო ორგანიზაციები სიტყვის თავისუფლების ერთგული დამცველები არიან. დემოკრატიის ანაბანა სიტყვის თავისუფლებაა, რომლის უფლება პოლიტიკოსსაც აქვს და პოლიტიკაში ჩართულ ხალხსაც. ბიძინა ივანიშვილმა თქვა, რომ შენიშვნები აქვს და რაღაც არ მოსწონს. ეს ზეწოლა კი არა, მხოლოდ სიტყვის თქმაა, რასაც ცოტა ზედმეტი რეაქცია მოყვა, ანუ როგორ გაბედე და ჩემზე ცუდი თქვიო. ეს ხომ პარადოქსია – ის, ვინც სიტყვის თავისუფლებას პატივს სცემს, უცებ სიტყვას უმხედრდება!

– კონკრეტულ არასამთავრობოებს ხომ არაფრის ეშინიათ?

– არ ვიცი, ეს მათი სამზარეულოა, თავად იციან, მაგრამ ცოტა ღიმილიანი რეაქცია რომ გაჩენილიყო, უფრო ჯანსაღი იქნებოდა. ამ თემაში საზოგადოების ჩართვა, არ მგონია, სწორ ნაბიჯად შეფასდეს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში არასამთავრობოები დიდად არ უყვართ.

– თან, ძალიან ბევრი არასამთავრობოა....

– კი ბატონო, ბევრმა ფინანსურად ვერ შეძლო ფეხზე დადგომა. ცოტა ძლიერი არასამთავრობო კი, მთავრობის გავლენის ქვეშ აღმოჩნდება ხოლმე. ამას გარკვეული ლოგიკა აქვს. გავიხსენოთ „ვარდების რევოლუცია“, რომელიც არასამთავრობოებმა „სოროსის ფონდის“ დაფინანსებით მოაწყვეს. ამდენად, არასამთავრობოების მიმართ საზოგადოებაში კრიტიკული დამოკიდებულება გასაკვირი არაა. ჯობდა, საზოგადოება არ ჩაერთოთ დებატებში, მშვიდად გაეტარებინათ და გაეგრძელებინათ თავიანთი ის პოზიტიური საქმიანობა, რასაც აქამდე აკეთებდნენ.

– ან, სულაც, ანგარიშები გამოექვეყნებინათ, არა?

– ეგ, მგონი, პრობლემა არაა – ანგარიშები მათ საიტებზე დევს...

საზოგადოებას რეალური პრობლემები ეროვნულ ვალუტასთან, სამუშაო ადგილებთან დაკავშირებით აქვს და უცებ არასამთავრობოების პრობლემას სთავაზობენ, რაც ბუნებრივია, უკურეაქციას და გაღიზიანებას იწვევს.

– ...ნუკრი ქანთარიამ ტელეკომპანიები გააკრიტიკა და განაცხადა, ხშირად არაადექვატურნი არიან პრობლემების გაშუქებისას. მაგალითად, სასამართლოდან გაქცეულ პატიმარზე ყველა ტელეკომპანია ერთხმად გუგუნებდა, მაგრამ დაჭერილზე მხოლოდ ერთი მოკრძალებული ხმა გაისმაო. ამასთან, ქანთარიამ ისიც თქვა, საზოგადოებამ შეიძლება, ტელევიზიებში შევარდნა დაგვიკვეთოსო. ეს რას ნიშნავს?

– ნუკრი ქანთარიას გულწრფელობაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ამ პრობლემას სხვანაირი მიდგომა სჭირდება. კერძოდ, სახელმწიფოს აქვს „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, რომლის ორიენტაციებიც საკმაოდ ზომიერი და დაბალანსებულია, მაგრამ საზოგადოებრივი ტელევიზიის მაყურებელი პროცენტულად ცოტაა. ამდენად, დაბალანსებული ინფორმაცია საზოგადოების დაბალანსებას ვერ ახერხებს. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ მაყურებლისთვის ისეთი მიმზიდველი უნდა გახდეს, რომ პოლიტიკურ თემაში ინკასატორის აქცენტით შეტანილი პოლიტიკური თემა საზოგადოებაში გავრცელდეს. გვაქვს იმის მაგალითი, როგორ მოახერხა ანალოგიური პრობლემის გადაჭრა „რუსთავი 2“-მა. ამ ტელევიზიის ბიოგრაფიამ ჩემს თვალწინ გაიარა. პირველი ინტერვიუ მივეცი რუსთავში, პატარა ოთახში ჩაკეტილ ტელევიზიას, რომლის ანალოგი, შეიძლება უკეთესიც, დღეს უამრავია. დამფუძნებლები იმაზე ზრუნავდნენ, რაც შეიძლება, საინტერესონი ყოფილიყვნენ მაყურებლისთვის. სკანდალს ითხოვდა მაყურებელი? – ჰქონდათ სკანდალი. ფილმები უნდოდათ? – იმ ფილმებს ყიდულობდნენ, რაც ხალხს აინტერესებდა. მახსოვს, ერთმა ეროსის უსაყვედურა: რას გვიშვები, ღამეც არ მძინავს ისეთ ფილმებს უშვებო. „რუსთავი 2“ მაყურებელს თავის თავზე, თავის ტელეეკრანზე იბამდა, მერე ეს მაყურებელი იმ ინფორმაციასაც იზიარებდა, რასაც არხი მიაწოდებდა. მარტივი პრინციპია: რეკლამის მიმცემი თავის უინტერესო პროდუქციას პოპულარულ, საინტერესო გადაცემაში დებს, რათა რაც შეიძლება, მეტმა ადამიანმა ნახოს. მილიონები იხარჯება „საზოგადოებრივ არხზე“, თუმცა ქმედითი შედეგი პრაქტიკულად, არ აქვს. თუ სწორად დაიგეგმებოდა „საზოგადოებრივი ტელევიზიის“ ეთერი, ის შეძლებდა, გამხდარიყო მოდის დამდგენი ქართულ ტელესივრცეში ისევე, როგორც იყო და არის „რუსთავი 2“.

– ვიღაცები სწორედ ამ მოწინავე ტელევიზიას ვერ იტანენ...

– მოწინავე „რუსთავი 2“-ს სატელევიზიო პოლიტიკაში რეალური პოლიტიკური ინტერესი აქვს ჩართული და ამას არც თავად მალავს. თუკი ამის დაბალანსება გინდა, არაა ცოდვა, სხვა პოლიტიკური პლატფორმიდან, ანუ სხვა მაღალი ხარისხის ტელევიზიით დააბალანსო. საინფორმაციო სივრცე ხელისუფლების მხრიდან ხშირად კრიტიკას იმსახურებს, ამ საკითხს დეკლარაციული დამოკიდებულება-შეფასებები კი არა, მოვლა და პროფესიონალური მიდგომა სჭირდება.

– ივანიშვილმა, არჩევნების მერე, მოწინავე „რუსთავი 2“-ს კი არ დაუპირისპირა, არამედ, ასევე, წარმატებული „მეცხრე არხი“ დახურა...

– სიმართლე გითხრათ, ივანიშვილის ეს ნაბიჯი არ მესმის, მით უმეტეს, მერე გამოჩნდა, ტელევიზიის მიმართ ინტერესი ჰქონდა – GDS-ს ვგულისხმობ, მაგრამ უკვე ჩამოყალიბებულ ტელევიზიას ჩამოყალიბებული მაყურებლით რატომ ხურავდა?

– ისევ ნუკრი ქანთარიას განცხადებას უნდა დავუბრუნდე, შეიძლება, ხალხი ტელევიზიებში შეიჭრასო.

– ეს გამოსავალი ხომ არაა?! ვინმე შეიჭრება ტელევიზიებში და „ნაციონალებს“ და მათ მხარდამჭერებს დასავლეთში უფრო მეტი სალაპარაკო მიეცემათ. ტელევიზია მოსახლეობის განვითარებას უნდა უწყობდეს ხელს. დააკვირდით ჩვენს ქალაქებს, რომლებიც გაძეძგილია სასურსათო მარკეტებით და რა ცოტაა წიგნის მაღაზიები. კლიენტი სურსათისა და კვების ობიექტებს ჰყავს და ისინიც წარმატებით ვითარდებიან. ევროპასაც ჰქონდა განათლების პრობლემა, რომელიც ნაწილობრივ სატელევიზიო არხ „დისქავერით“ გადაჭრა. თავიდან არხი უფასო იყო, მერე კი, კომერციულად მომგებიანი გახდა.

– ...როგორ დაბრუნდება საკაშვილი საქართველოსა და ქართულ პოლიტიკაში? ბატონო რამაზ, ზოგს ამ შეკითხვაზე ეცინება, „ნაციონალები“ განა, სადმე წავიდნენ? – აქვე, ჩვენს გვერიდთ არიანო...

– კი, ასეც შეიძლება ითქვას – ისევ აქ არიან, მაგრამ მათი რაოდენობა საკმარისი არაა, რომ ხელისუფლებაში არჩევნებით დაბრუნდნენ. ეს გზა მათთვის გადაკეტილია. ერთადერთი საშუალება დესტაბილიზაციაა, თუმცა ესეც საეჭვოა, რადგან საქართველოში 90-იანი წლები აღარაა.

– „ოცნების“ რეიტინგი ეცემა და ამბობენ, რომ 2016 წლის არჩევნებში უმრავლესობის აღება გაუჭირდება...

– „ოცნებას“ ისეთი რეიტინგი, რა თქმა უნდა, აღარ აქვს, ანუ თავის დროზე უფრო დიდი მოლოდინი გააჩინა, ვიდრე შეასრულა. საერთოდ, არჩევნების წინ მოლოდინი ყოველთვის დიდია. კოალიციას გამოცდილებამ უღალატა – მთელი გუნდი ხელისუფლებაში ახლა მოვიდა.

– რას ნიშნავს, „გამოცდილებამ უღალატა“? კოალიციაში შემავალი პარტიები ხომ სულ პოლიტიკაში არიან?

– ისინი პოლიტიკაში იყვნენ, როგორც წაგებული პარტიები და არ იცოდნენ, თუ რა არის ხელისუფლება.

– ისე, საზოგადოება გამოუცდელი პოლიტიკოსების ხელში დაიღალა...

– დაღლა წინ გველოდება. ქართველი ამომრჩეველი იმპულსურია. ამიტომ ყუთთან მისული არჩევანზე არასოდეს ფიქრობს და გადაწყვეტილებას იმის მიხედვით იღებს, იმ წუთას რა განწყობა და ემოციაცაა. თუკი 2016 წლისთვის უკმაყოფილება დაგროვდა, ხალხის მხარდაჭერა შესაძლოა, სრულიად შემთხვევითმა ჯგუფებმა მოიპოვონ.

– მაინც, ვინ?

– შესაძლოა, „ნაციონალებმა“ გამოჩეკონ ახალგაზრდული მოძრაობები, პარტიე-

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ- 9 ᲒᲕ.

„ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲐᲥᲕᲡ „ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲔᲚᲘ“, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘᲪ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲖᲝᲛᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲑᲐᲚᲐᲜᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲣᲚᲐᲓ ᲪᲝᲢᲐᲐ. ᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ, ᲓᲐᲑᲐᲚᲐᲜᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲚᲐᲜᲡᲔᲑᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲐᲮᲔᲠᲮᲔᲑᲡ... ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲘ, ᲠᲝ�გᲝᲠ ᲛᲝᲐᲮᲔᲠᲮᲐ ᲐᲜᲐᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡ �გᲐᲓᲐᲭᲠᲐ „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ 2“-ᲛᲐ. ᲐᲛ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲑᲘᲝ�გᲠᲐᲤᲘᲐᲛ ᲩᲔᲛᲡ თვალწინ ᲒᲐᲘᲐᲠᲐ: ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲘᲛᲐᲖᲔ ᲖᲠᲣᲜᲐᲕᲓᲜᲔᲜ, ᲠᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲜᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲓᲐ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ? – ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲘ. ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲝᲓᲐᲗ? – ᲘᲛ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲡ ᲧᲘᲓᲣᲚᲝᲑᲓᲜᲔᲜ, ᲠᲐᲪ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲓᲐ... „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ 2“ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ ᲘᲑᲐᲛᲓᲐ, ᲛᲔᲠᲔ ᲔᲡ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲛ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡᲐᲪ ᲘᲖᲘᲐᲠᲔᲑᲓᲐ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲐᲠᲮᲘ ᲛᲘᲐᲬᲝᲓᲔᲑᲓᲐ... ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲑᲘ ᲘᲮᲐᲠᲯᲔᲑᲐ „ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲐᲠᲮᲖᲔ“, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲥᲛᲔᲓᲘᲗᲘ ᲨᲔᲓᲔ�გᲘ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ. ᲗᲣ ᲡᲬᲝᲠᲐᲓ ᲓᲐᲘᲒᲔ�გᲛᲔᲑᲝᲓᲐ „ᲡᲐᲖᲝᲗᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ“ ᲔᲗᲔᲠᲘ, ᲘᲡ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲓᲐ, ᲒᲐᲛᲮᲓᲐᲠᲘᲧᲝ ᲛᲝᲓᲘᲡ ᲓᲐᲛᲓᲒᲔᲜᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲢᲔᲚᲔᲡᲘᲕᲠᲪᲔᲨᲘ ᲘᲡᲔᲕᲔ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲐᲠᲘᲡ „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ 2“.

ᲘᲜᲢᲔᲠᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

11-17 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ 2015

№ 6 (270)

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ. ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ. ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ. ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

ᲛᲔ-8 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ბი, ახალი სახეები, რომლებიც იმაზე ილაპარაკებენ, რაც უკმაყოფილო საზოგადოებას ესიამოვნება...

— დღეს ეს ჯგუფები ჩანან?

— ჯერჯერობით — არა...

— შინაგან საქმეთა ახლახან გადამდგარი მინისტრი, ალექსანდრე ჭიკაიძე თავის დროზე ამბობდა, ქვეყანაში დესტაბილიზაციის რეალური საფრთხე არსებობსო. ეს რიტორიკა, პირდაპირ თუ ირიბად, შს ახალმა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმაც გაიზიარა... ბატონო რამაზ, თქვნი აზრით, რა სახის დესტაბილიზაციას უნდა ველოდოთ?

— ყველაფერი — ელექტროენერგიის გათიშვიდან დაწყებული, კრიმინალის გამძაფრებით დამთავრებული — შეიძლება, დესტაბილიზაციად ჩაითვალოს.

— მთავრობის მიერ გაზის ტარიფის გაზრდაც დესტაბილიზაციის ნიშანია?

— დესტაბილიზაციას უკმაყოფილება კი არა, პრობლემების პროვოცირება აჩენს, რის შემდეგაც ხალხმა შესაძლოა, ჩვეულებრივი ცხოვრების რეჟიმზე უარი თქვას და ქუჩაში გამოვიდეს.

— ანუ, ხელისუფლებას ხალხის რისხვის შეეშინდა და გაზის გაძვირება ამიტომ გადაიფიქრა?

— ღმერთმა ქნას, ხალხის უკმაყოფილების ყველა მთავრობას ეშინოდეს!

საერთოდ, ეკონომიკური საკითხების მოუგვარებლობა ხალხის უკმაყოფილების ტალღის დაძვრის ერთ-ერთი კარგი საშუალებაა.

— ვახტანგ გომელაურმა განაცხადა, მსოფლიოში დესტაბილიზაციის მომხრე ჯგუფები მრავლად არიან, თუმცა ამაში „ნაციონალურ მოძრაობას" არ ვგულისხმობო. აბა, ვიღა რჩება — ბურჯანაძე და პრორუსული პარტიები?

— ალბათ, ჯობდა, ბატონ მინისტრს სათქმელი ბოლომდე ეთქვა.

— ისე, ახალი შს მინისტრი მოგწონთ?

— ვნახოთ... ბოლომდე მივიდეს.. შეფასებებს ვჩქარობთ ხოლმე.

— შსს კანონპროექტს ამზადებს, რომლის მიხედვითაც, აზრის გამოთქმა შეიძლება, პიროვნული შუღლის გაღვივებად ჩაითვალოს...

— ვნახოთ, ამ კანონს რა ფორმულირება მიეცემა. ფაქტია, რომ მკვლელობების 80 პროცენტი შელაპარაკებების შედეგია...

— მოდით „სითი პარკის" პრობლემებსაც შევეხოთ...

— საერთოდ, ვერ გავიგე მერიის დამოკიდებულება ამ საკითხზე. შთამბეჭდავი დაპირებები იყო, მერე აღმოჩნდა, რომ „სითი პარკი" თავის უფლებებს ინარჩუნებს. მანქანების გაჩერების აკრძალვებს ღიმილიანი კომენტარები მოჰყვა. გვარწმუნებენ, რომ სადგომებს ააშენებენ. ხომ არ ჯობდა, ჯერ აეშენებინათ და მერე აეკრძალათ?

— ასე გროვდება პატარ-პატარა პრობლემები... დაიშლება თუ არა „ოცნება"?

— არა და არც ისეთი დრამატული ბედი ელოდება, როგორსაც უწინასწარმეტყველებენ. მართალია, უამრავი პრეტენზიაა და, დიდწილად, ჩემი აზრით, სამართლიანი, მაგრამ 2016 წელს ყველაზე სწორი არჩევანი ისევ „ქართული ოცნების" არჩევა იქნება, ოღონდ მისი პოლიტიკური სივრცე სხვა პარტიებით უნდა იყოს დაბალანსებული. კონკურენცია პოლიტიკაში ისევე მომგებიანია, როგორც — ეკონომიკაში. „ოცნება" ცუდისკენ მიდრეკილი მთავრობა არაა, გვახსოვს „ნაციონალების" მილიონიანი კორუფციული გარიგებები, რომლებიც ქვეყანას აზარალებდა.

— ახლაც ლაპარაკობენ ჩინოვნიკთა კორუფციულ და ნეპოტისტურ მიდრეკილებებზე...

— ეს წვრილმანებია, რომელთა გამოსწორების ბევრი პოზიტიური ნიშანი არსებობს.

— ამასთან, ვიდრე იური ვაზაგაშვილი არ მოკლეს, პროკურატურამ ქმედითი ნაბიჯები არ გადადგა...

— ხომ შეიძლება, რეაგირება მკვლელობის მერეც არ ყოფილიყო?

— ალბათობის თეორიით, ყველაფრის დაშვება შეიძლება, მაგრამ მოლოდინი ყველა ზღვარს გადასცდა.

— მერე რა?! არ ვყოფილვართ მომსწრენი, როცა მოთმინების ფიალა ივსებოდა, მაგრამ გვაიძულებდნენ და ვყლაპავდით. „ოცნებამ" ეს გზა არ აირჩია, ამისთვის რატომ არ ვართ მადლობელნი?

— გინდათ თქვათ, რომ ქართული პოლიტიკა გაიზარდა და ბუდიდან ბარტყის გადმოგდებას თავი დაანება? ეს „ოცნების" წინასაარჩევნო პიარი ხომ არაა?

— დავუშვათ, ასეა. მერე?

— რაღა მერე? — ხალხს პიარი მობეზრდა, სამართლიანობის აღდგენა უნდა!

— ვფიქრობ, აზრზე არ ვართ, რა ტიპის სახელმწიფოში ვცხოვრობთ და რა ქვეყანაში ვართ. გვგონია, გამოსავალი, როგორც საუკუნეების განმავლობაში იყო, იქნება კეთილი მეფე, ან კეთილი პრემიერი, რომელსაც ხალხისთვის სიკეთე უნდა.

— ბატონო რამაზ, ზღაპრების აღარავის სჯერა...

— გამოსავალი დემოკრატიული სისტემაა, რომელიც ხელისუფალს აიძულებს, ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეები გააკეთოს. ჩვენ გაცნობიერებულიც არ გვაქვს, თუ რა ბერკეტებს ვფლობთ, ამიტომ ყოველთვის ერთ პარტიას ვაძლევთ ძალაუფლებას.

— ან ერთ ლიდერს.

— კი, ერთ პოლიტიკურ სუბიექტს, რასაც შედეგი, რა თქმა უნდა, არ მოაქვს და მერე, სულ ვტირით და ვწუწუნებთ, ამ ერთ სუბიექტს არ ვუყვარვართო.

— ის, რომ ხელისუფლებას ხალხის აგრესიის ეშინია, დადებითია?

— რა თქმა უნდა. ფეოდალიზმში არ ვართ, არჩევნებიც იმისთვის ტარდება, რომ ადექვატური საპარლამენტო სტრუქტურა შეიქმნას. ნორმალურ ქვეყანაში ხალხი სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებს ირჩევს, ჩვენ კი, უგულვებელვყოფთ პოლიტიკურ პლურალიზმს და ერთ პარტიას მონოპოლისტად ვაქცევთ ხოლმე და მერე უკმაყოფილონი ვართ. არჩევნებზე მეზობელს ვეკითხებით, რომელ პარტიას მივცეთ ხმა. მერე, ვინმემ რომ გვითხრას, ცხვარი ხარო, გავბრაზდებით, არადა, ცხვრებივით ვიქცევით. ხმა იმ პარტიას უნდა მივცეთ, რომელსაც საქმის გაკეთების რეალური ასპარეზი აქვს.

— როგორ უნდა გავარკვიოთ, პარტია „საქმის მკეთებელია" თუ არა?

— პარტიები თვითმმართველობის არჩევნებში უნდა გამოვცადოთ — ვნახოთ, როგორ მოუვლიან რეგიონებს.

— უკრაინაში გადაბარგებულ „ნაციონალებისგან" „ოცნებას" რამე ემუქრება?

— უკრაინის მთავრობაში მოკალათებული „ნაციონალებისგან" საფრთხეს, ამ ეტაპზე, ვერ ვხედავ. უკრაინას თავისი გასჭირვებია — კორუფციაში იხრჩობა, ამიტომაც პოლონეთიდანაც წაიყვანა კადრი, მაგრამ თუ აღმოჩნდა, რომ საქმეს ვერ გააკეთებენ, ყველაფერი მათ კისერზე გადატყდება. ისე, უკრაინაც გაუგებარ გზას ადგას.

— ჩვენ რა გზას ვადგავართ, ბატონო რამაზ?

— რამდენი გასაჭირი გამოვიარეთ და უცხოეთიდან მინისტრი არ ჩამოგვიყვანია.

— სალომე ზურაბიშვილი გვყავდა საგარეო საქმეთა მინისტრად....

— ნაკლებად სარწმუნოა, რომ უკრაინაში ჩასულ სხვა ქვეყნის ყოფილ მაღალჩინოსნებს უკრაინაზე გული შესტკივათ. მიმაჩნია, რომ უკრაინაზე სწორი გზით მივდივართ.

— ასეა თუ ისე, ვერ დავლაგდით.

— პოლიტიკოსებს მოევლება, მაგრამ საზოგადოება დემოკრატიული წყობის ელემენტებსაც ვერ ფლობს. მახსოვს, ერთხელ, ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციამდე", მოხუც ქალს ჰკითხეს, ხმას ვის აძლევო? უპასუხა, მეფესო. დღეს საარჩევნო სუბიექტი ვინმემ შეიძლება, ასე არ მოიხსენიოს, მაგრამ იგივე დამოკიდებულება გვაქვს.

— ახალგაზრდობაზე რას იტყვით?

— ახალგაზრდობა მეტწილად აპოლიტიკურია და დიდი ნაწილი იმისთვის სწავლობს, რომ ქვეყნიდან წავიდეს. კიდევ ერთი ღიმილისმომგვრელი კანონი შემოვიღეთ: ქუჩაში ნაგვის დაყრაზე ჯარიმები დაწესდა. იქნებ, ამის მერე მაინც ვიყოთ დაცულნი მოქალაქეების უკულტურო გამოხტომებისგან. რა გასაკვირია, ახალ თაობას სუფთა და მოვლილი ევროპის ქალაქები მოსწონდეთ. მათი უმეტესობა უკან არ დაბრუნდება, თუ ქვეყანა არ განვითარდა. ერთი-ორი კაცი კი, რეალობას ვერ შეცვლის.

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲜᲐᲗᲘᲐ ᲒᲝᲒᲘᲢᲘᲫᲔ

ᲡᲢᲝᲞᲙᲐᲓᲠᲘ

ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲐᲛ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲗᲛᲝᲑᲘᲚ ᲥᲝᲜᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲩᲘᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐᲐᲡᲠᲣᲚᲐ

მთავარმა პროკურატურამ იძულებით დათმობილ ქონებასთან დაკავშირებით უწყებაში შესული საჩივრების შესწავლა-იდენტიფიცირება დაასრულა.

პარლამენტში არსებული ინფორმაციით, ქონებრივ დავებთან დაკავშირებულ საკითხებზე და ამ მიმართულებით პრობლემის გადაჭრის გზებზე მთავარი პროკურატურის მესვეურებმა პარლამენტის წევრებთან და მთავრობის წარმომადგენლებთან კონსულტაციები გამართეს.

კონსულტაციებში მონაწილეთა შორის იყო პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე, რომლის განმარტებითაც, საქმე ეხება ქონებას, რომელთან დაკავშირებითაც საუბარია მისი იძულებითი წესით ჩუქებაზე ან გასხვისებაზე.

„ამ ხნის განმავლობაში პროკურატურამ ყველა იმ საჩივრის იდენტიფიცირება დაასრულა, სადაც იყო პრეტენზია იძულებით ნაჩუქრობაზე, იძულებით მიყიდვაზე. საქმეები კატეგორიებად დაიყო. შეფასდა, რა ოდენობის ზიანზეა საუბარი, იძულებით გადაცემული თუ მიყიდული ქონებიდან რამდენია სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩენილი, რამდენია გასხვისებული. ამის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ითქვას, თუ რას და რამდენს მოერევა სახელმწიფო. ეს საქმე დასრულებულია. ახლა უნდა დაიწყოს ყველა კონკრეტულ შემთხვევაში საქმის სამართლებრივი შესწავლა-გამოძიება იმის დასადგენად, მაგალითად, კონკრეტულ პირს აიძულეს თუ არა ქონების სიმბოლურ ფასად ვინმესთვის მიყიდვა, რაც სახელმწიფოს არ გადასცემია. ასეთ შემთხვევაში ქონებრივი დავა შეიძლება ორ სუბიექტს შორის იყოს, მაგრამ ის, ვინც აიძულა, მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა უნდა დაიწყოს. თუ გაიძულეს, რომ ქონება სახელმწიფოსთვის საჩუქრად გადაგეცათ, სისხლის სამართლის დევნა უნდა დაიწყოს მის მიმართ, ვინაც ეს გაიძულათ. აქ უკვე ქონებრივი დავა კონკრეტულ პირსა და სახელმწიფოს შორის იქნება და თუ ქონება დღესაც სახელმწიფოს საკუთრებაშია, შეიძლება დაბრუნდეს. თუ სახელმწიფომ ასეთი ქონება გაასხვისა და დადგინდა, რომ ჩუქება იძულებით იყო განხორციელებული, მაშინ სახელმწიფომ ზიანი უნდა აანაზღაუროს. ეს ყველაფერი შესწავლას საჭიროებს. მოხდა ამის შესახებ ინფორმაციის მოსმენა, იყო გეგმაზე საუბარი. შეხვედრა ნაყოფიერი იყო“, — განაცხადა ვახტანგ ხმალაძემ.

მთავარი პროკურატურისა და პარლამენტის წარმომადგენლებს შორის გამართული შეხვედრის შესახებ ინფორმირებულია საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნოდარ ებანოიძე.

„აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციები მიდის. ქონების დაბრუნების ნაწილში არის დასაანგარიშებელი, რა მოლოდინები გვაქვს. პროკურატურაში ამ მიმართულებით უამრავი განაცხადია შესული. იხილება იურიდიული თემები. ამ ყველაფერს დათვლა სჭირდება“, — აცხადებს დეპუტატი.

როგორც ცნობილია, საქართველოს მთავარ პროკურატურაში სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი იქმნება.

„საქართველოს პროკურატურაში შესულია ათასობით განცხადება სამართალწარმოების განხორციელების პროცესში მოქალაქეების მიმართ ჩადენილი წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის, იძულების, აგრეთვე ქონების იძულებით დათმობის სავარაუდო ფაქტების არსებობის შესახებ. აღნიშნულ ფაქტებზე სწრაფი და ეფექტური რეაგირება საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთ უმთავრეს ვალდებულებას წარმოადგენს, სწორედ ამ ვალდებულების შესასრულებლად იქმნება ხსენებული დეპარტამენტი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ახლად შექმნილი დეპარტამენტი უზრუნველყოფს, როგორც ზემოთ მითითებული სავარაუდო დანაშაულის ფაქტების გამოძიებას, ასევე გამოძიების პროცესში საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელებასა და საქმის სასამართლოში წარმართვის შემთხვევაში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას“, — ნათქვამია პროკურატურის ინფორმაციაში.

თებერვალში გაიმართება საჯარო პრეზენტაცია, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, მთავრობისა და პარლამენტის წევრები დაესწრებიან.

„ᲘᲜᲢᲔᲠᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ“

ᲘᲜᲒᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲐᲜ ᲒᲖᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐ

ინგუშეთის მთავრობაში ინგუშეთსა და საქართველოს შორის საავტომობილო გზისა და რკინიგზის მშენებლობის საკითხი განიხილეს. ამის შესახებ სააგენტო „რეგნუმი“ მთავრობის პრესსამსახურზე დაყრდნობით იუწყება.

სამუშაო ჯგუფის სხდომის დროს, რომელსაც პრემიერ-მინისტრი აბუბაქარ მალსაგოვი უძღვებოდა, განიხილეს რეგიონული მნიშვნელობის საავტომობილო გზების განვითარების სისტემების სხვადასხვა ვარიანტი, ასევე სუბიექტის ტერიტორიაზე ახალი რკინიგზის მშენებლობის თემა საქართველოსთან დასაკავშირებლად. სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, შეიქმნას საექსპერტო ჯგუფი, რომელიც ამ საკითხებზე იმუშავებს და საქართველოს ხელისუფლებასთანაც განიხილავს ამ საკითხს.

„ᲘᲜᲢᲔᲠᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ“

10 № 6 (270) 11-17 თებერვალი 2015

ქართული ენა

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

სამოქალაქო აქტივისტი

„ნაციონალების“ პირველი მტრები ვართ!“



„ᲩᲕᲔᲜᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔ ᲝᲤᲘᲡᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘᲗ ᲕᲥᲘᲠᲐᲝᲑᲗ. ᲛᲔᲢᲡ ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲨᲔᲛᲝᲒᲕᲔᲓᲐᲕᲔᲑᲘᲐᲜ – ᲡᲮᲕᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐᲓ, ᲓᲘᲓᲘ ᲤᲣᲤᲣᲜᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ. „ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ“ ᲡᲐᲛᲐᲡᲐᲛᲓᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲩᲐᲛᲓᲒᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲕᲐᲠᲗ“.

ნინო ბუჩუკური „თავისუფალი თაობის“ ხელისუფლებასთან კავშირს უარყოფს

ნინო ბუჩუკური საზოგადოებამ მას შემდეგ გაიცნო, რაც „თავისუფალი თაობის“ ერთ-ერთი აქტიური წევრი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ საინტერესო ბეგრაუნდი აქვს – თავის დროზე ძალიან აქტიური პოლიტიკური წყვილის – კობა ბუჩუკურისა და მარინა მოლოდინის შვილია, ნინო თვლის, რომ ყოფილ ხელისუფლებასთან მისი დაპირისპირება რევანშისტული არაა. „კობა და მარინას შვილი კი არა, უბრალოდ, ნინო რომ ვიყო, ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, იმ უსამართლობაზე, რაც „ნაციონალურმა“ ხელისუფლებამ ქვეყანაში დაამკვიდრა, თვალს მაინც ვერ დახუჭავდი“, – ამბობს „თავისუფალი თაობის“ ერთ-ერთი ლიდერი ნინო ბუჩუკური.

– ნინო, „თავისუფალი თაობის“ აქტივისტი როგორ გახდი?

– „თავისუფალი თაობა“ დაარსების დღიდან აქტიური ორგანიზაციაა. ერთხელ, ტელევიზიით „თავისუფალ თაობასა“ და „თავისუფალ ზონას“ შორის მომხდარი დაპირისპირების კადრები ვნახე და გადავწყვიტე, ამ ორგანიზაციაში მოვსულიყავი. „თავისუფალი თაობის“ თითოეულ წევრს ქვეყნის მომავალზე გული, მართლაც, შეგვტკივა და ეს საქმე, ბევრი სხვა ორგანიზაციისაგან განსხვავებით, ჩვენთვის გასართობი სულაც არაა.

– კი ბატონო, მაგრამ პოლიტიკური სტარტისთვის, როგორ ფიქრობ, „თავისუფალ თაობაში“ მისვლა სწორი გადაწყვეტილებაა?

– ვთვლი, რომ მართლაც, გამიმართლა და ზუსტად იქ მოვხვდი, სადაც მინდოდა.

– საზოგადოებრივი აქტიურობა ჟურნალისტობით დაიწყე – წერილებს „ქართულ სიტყვაში“ აქვეყნებდი. ჟურნალისტობაში შენი თავი ვერ „იპოვე“?

– ჟურნალისტიკა მხოლოდ ჰობის დონეზე მაინტერესებდა. იურიდიულ ფაკულტეტზე ვსწავლობ, სამართალი ძალიან მაინტერესებს და მომავალშიც ჩემი მთავარი საქმიანობის სფეროც, ალბათ, სწორედ ეს იქნება. ყველაფერი სხვა კი, შეიძლება, მხოლოდ პრაქტიკისთვის გამოვიყენო, თუმცა ჩემს ცხოვრებაში პოლიტიკა შემოიჭრა...

– პოლიტიკოსთა შვილები პოლიტიკას, როგორც წესი, გაურბიან. შენს შემთხვევაში კი, პირიქით მოხდა. პოლიტიკამ არ დაგღალა?

– თუკი ცხოვრებაში გამმართლებია, ერთ-ერთი ისაა, რომ კობა ბუჩუკურისა და მარინა მოლოდინის ოჯახში დავიბადე. ამან საშუალება მომცა, სწორი ფასეულობები ჩამომყალიბებოდა. როცა მშობლები პოლიტიკოსები ჰყავს, ბევრს უჩნდება პროტესტის განცდა, რადგან ამ დროს ბავშვობა ადვილი არაა. ჩემი მშობლები ყოველთვის დაკავებულები იყვნენ და ამ პროცესებში ბავშვობიდან მეც აქტიურად ვიყავი ჩართული. ვიდრე მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი გახდებოდა, მამა დუშეთის გამგებელი იყო და, მახსოვს, თუ როგორ ვიჯექი მის კაბინეტში და შეხვედრებს ვესწრებოდი... ბავშვობის წლები დედასთან, პარლამენტში მაქვს გატარებული. ერთი სიტყვით, პოლიტიკოსების გარემოცვაში გავიზარდე და ამას ჩემში აგრესია არ გამოუწვევია. აქედან გამომდინარე, ბავშვობიდან ქვეცნობიერში ჩადებული მქონდა, რომ მოვიდოდა დრო, როცა ჩემი მშობლების საქმის ღირსული გამგრძელებელი გავხდებოდი.

– მშობლები შენს პოლიტიკურ აქტიურობას როგორ შეხვდნენ?

– უპრობლემოდ. ჩემი პირველი მრჩევლები სწორედ ისინი არიან – ყველა ნაბიჯს უყურებენ და აფასებენ, თუმცა ჩემს საქმეში არასდროს ერევიან. მე ნინო ბუჩუკური ვარ, ჩემი ცხოვრება მაქვს და ჩემი მშობლების რჩევა უმნიშვნელოვანესია, მაგრამ დამოუკიდებელი ადამიანი ვარ!

– თვლი, რომ სამართლიანობისთვის იბრძვი?

– ერთ-ერთი მთავარი მიმართულება, რისთვისაც ეს ორგანიზაცია შეიქმნა, სამართლიანობის აღდგენაა. ვთვლი, რომ ამ ქვეყანაში ჩვენ ვართ ერთ-ერთი ის ორგანიზაცია, ვინც სამართლიანობისთვის იბრძვის!

– „თავისუფალი თაობის“ მხრიდან არასამთავრობო სექტორის კრიტიკასაც სამართლიანად თვლი?

– საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა. ყოველ შემთხვევაში, მინდა, ამის მჯეროდეს. ჩვენს ქვეყანაში თითოეულ ადამიანს უნდა ჰქონდეს საკუთარი აზრი და ნებისმიერ აზრს, რომელიც საზოგადოებაში გაჩნდება, განვითარების გასაქანი უნდა მივცეთ, თუმცა, ახლა ჭორებსა და შეგნებულად აგორებულ პროვოკაციაზე არ ვლაპარაკობ.

როცა საზოგადოებაში ჩნდება კითხვის ნიშანი, ყველას აქვს უფლება, ინფორმირებული იყოს და შეკითხვებზე პასუხი მიიღოს. მეც გამიჩნდა შეკითხვები, ეს ორგანიზაციები რას და როგორ საქმიანობენ. აქედან გამომდინარე, მაქვს სურვილი, რომ ამ შეკითხვებს პასუხები გაეცეს. ყველაზე დიდი ეჭვი მაშინ მიჩნდება, როცა მათ რეაქციას ვხედავ. რისი ეშინიათ?

– მსგავსი კამპანია „თავისუფალი თაობის“ წინააღმდეგ რომ აგორდეს, დავიჯერო, რეაქცია არ გექნება?

– არ გვეშინია! ჩვენი ორგანიზაციის მიმართაც დიდი ინტერესია და ყველას შეუძლია, მოვიდეს და ყველაფერი, რაზეც ეჭვი გაუჩნდება, გადაამოწმოს!

– პიროვნებების კვლევაც გამართლებულად მიგაჩნია?

– მით უმეტეს, ეს რატომაა ვიღაცისთვის პრობლემა? ვისაც უნდა, გამოიკვლიოს ნინო ბუჩუკური, ოღონდ ეს არ უნდა ეხებოდეს ჩემს პირად ცხოვრებას, მაგრამ როცა ლაპარაკი ნინო ბუჩუკურზეა, როგორც საჯარო პირზე და ჩემს საქმიანობაზე, ნებისმიერი დაინტერესებული უფლებამოსილია, ყველაფერი გამოიკვლიოს. სწორედ ამის გამო კიდევ უფრო მეტი კითხვის ნიშანი მიჩნდება: თუ პრობლემა არ აქვთ, ასე რატომ დაიძაბნენ?

– კითხვის ნიშნები გასაგებია, მაგრამ მინიმუმ, უხერხულია, არასამთავრობოები ერთმანეთის საქმიანობით რომ ინტერესდებით...

– რატომ? უფრო ალოგიკური არ იქნება, არასამთავრობოს საქმიანობით ვინმე ექიმი რომ დაინტერესდეს? ნებისმიერს – ექიმი იქნება თუ მეცენატი, აქვს უფლება, ამ თემით დაინტერესდეს – ისიც ხომ საზოგადოების ნაწილია?!

– რა თქმა უნდა, მაგრამ როცა არასამთავრობოებს ყოფილი პრემიერი აკრიტიკებს, მისაღებია?

– რა თქმა უნდა. ამ შემთხვევაში, ბიძინა ივანიშვილი საუბრობს, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი და არა – როგორც პოლიტიკური ფიგურა. ის არ ლაპარაკობს, როგორც ყოფილი პრემიერ-მინისტრი და ამიტომ მისი განცხადებები, ჩემი აზრით, ასეთი რეზონანსული არ უნდა ყოფილიყო. ეს პროტესტი იმ არასამთავრობოებმა დაიწყეს, ვისაც უნდა, ის პროცესები, რაც მათ გარშემო მიმდინარეობს, ასეთი პროვოკაციით გადაფარონ.

– ნინო, შენი აზრით, არასამთავრობო ორგანიზაციები ხელისუფლების მომხრე და მოწინააღმდეგეებად რატომ დაიყვნენ? სინამდვილეში, მესამე სექტორი იმიტომ გქვიათ, რომ თქვენი ფუნქცია ხელისუფლების კონტროლია. „თავისუფალ თაობაზე“ ამბობენ, რომ ხელისუფლების ერთ-ერთი ფრთა აფინანსებს...

– ეს ქართული რეალობაა: ნებისმიერი პიროვნება თუ ორგანიზაცია რომელიღაც ძალასთან ასოცირდება. ასე იყო წინა ხელისუფლების დროს: ხელისუფლების მხარდაჭერის გარეშე, განვითარების საშუალება არც ორგანიზაციას ჰქონდა და არც – პიროვნებას. ამიტომ გაჩნდა საზოგადოებაში აზრი, რომ თუ ხელისუფლებას ვაკრიტიკებ, აუცილებლად „ნაციონალების“ მომხრე ვარ და თუ არ ვაკრიტიკებ, აუცილებლად ხელისუფლებისგან ვარ მართული. ჩვენი ორგანიზაცია სტუდენტურია, რომელიც ქვეყნის ინტერესებს იცავს. თუ ჩემი ქვეყნის ინტერესი ხელისუფლებასთან იკვეთება, რატომაც არა? – ჩვენ მისი გამტარები ვიქნებით. ჩვენი ორგანიზაცია არავისგან იმართება. ხელისუფლებასთან შეხება არ გვაქვს, თუმცა „ნაციონალების“ პირველი მტრები ვართ. ჩვენ ვართ ის ახალგაზრდები, ვისაც გვინდა, დავანგრიოთ სტერეოტიპი, რომ საქართველოში ყველა მართულია.

– რაც შეეხება ფინანსებს, შეიძლება, თქვენი დაფინანსების წყაროებიც გამოიკვლიონ...

– ჩვენი ყველაზე დიდი სიმდიდრე ოფისია, რომელსაც საკუთარი ხარჯებით ვქირაობთ. მეტს ვერაფერს შემოგვედავებიან – სხვა არასამთავრობოების მსგავსად, დიდი ფუფუნება არ გვაქვს. „თავისუფალი თაობა“ სამასამდე ადამიანს აერთიანებს და ყველაფრის სულის ჩამდგმელები ჩვენ თვითონ ვართ.

– ამას წინათ, „ნაციონალთა“ შვილების სია გამოაქვეყნეთ და მოუწოდეთ, რომ უკრაინაში საბრძოლველად წავიდნენ. ეს ეთიკურია – შვილები რა შუაში არიან?

– აბსოლუტურად კორექტულია. „ნაცმოძრაობა“, რომელიც ოპოზიციაშია და რომლის წევრთა უმეტესობა უკრაინაშია გადაბარგებული და იმედია, აქ დატოვებული „კუდებიც“ მალე მიჰყვებიან, მოგვიწოდებს, წავიდეთ და უცხო ქვეყნის მიწაზე ვიბრძოლოთ. მიჩნდება ლოგიკური შეკითხვა: როცა საქართველო ებრძოდა ოკუპანტს, მაშინ ხელისუფლება რას მიკეთებდა? მას ჰქონდა ბერკეტი, უფლებამოსილება და, პირველ რიგში, ვალდებულება, დაეცვა საკუთარი ტერიტორიები.

– ნინო, ეს სხვა თემაა, შვილებზე გკითხე...

– ახლა, ეს ხალხი უკრაინაში გადაბარგდა. უნდა, საკუთარი ბუდე გაითბოს და ცდილობს, მასაზე ითამაშოს და პოზიციები ქართველი ხალხის დახმარებით გაიმყაროს. თუ ასეთი პატრიოტები არიან, ომში საკუთარი შვილები წაიყვანონ – მომცენ მაგალითი, რომ ხვალ ბრძოლის სურვილი მეც გამიჩნდეს... სხვათა შორის, „ნაციონალთა“ შვილების, მინიმუმ 28-კაციანი სია გავაკეთეთ – ისინი ახლა საზღვარგარეთ არიან და ძალიან ძვირადღირებულ უნივერსიტეტებში სწავლობენ.

– ღიად გეტყვი: შენი ასეთი განწყობა ზოგმა, შეიძლება, „ნაციონალების“ მიმართ გარკვეულ რევანშად აღიქვას...

– ყოფილ ხელისუფლებაში ჩვენი ოჯახის ძალიან ბევრი ახლობელია, იგივე ჩემი ნათლიები, მაგრამ ეს არაა დაპირისპირება პერსონებს შორის. ესაა დაპირისპირება იდეოლოგიებს შორის და იმ რეალობას, რასაც „ნაცმოძრაობა“ ჰქვია – ის იყო სისხლიანი, კრიმინალური რეჟიმი, რომლის მიმართაც პროტესტი ნებისმიერ საღად მოაზროვნე ადამიანს უჩნდება. მე რომ გვარს – „ბუჩუკური“ არ ვატარებდე და უბრალოდ, ნინო ვიყო, პროტესტი მაინც გამიჩნდებოდა! „ნაციონალების“ მიერ დაწყებული ნგრევის პროცესი, საბედნიეროდ, შეჩერდა, მაგრამ ახლა კრიტიკული მომენტია და მობრუნებას, სამწუხაროდ, წვრილ-წვრილი არასამთავრობო ორგანიზაციების საშუალებით ცდილობენ. „თავისუფალი თაობა“ იმიტომაც შეიქმნა, რომ ამ პროცესს წინ აღუდგეს.

ესაუბრა ნათია ვერძეული

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

11-17 თებერვალი 2015 | № 6 (270) | 11

ქართული სიტყვა

ლიტერატურა. ენელიტერატურა. ჟურნალისტიკა

ურემი

აშშ-ის მოქალაქე „ნაციონალური ოცნების“ პროკურატურის წინააღმდეგ აქციებს იწყებს — „ლაით ჰაუსის“ სკანდალი!

ეს ამბავი, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ოჯახური დრამაა — ორმა ძმამ, რომელთაგანაც ერთ-ერთი აშშ-ში ცხოვრობდა და იქაური მოქალაქეც გახდა, ქონება ვერ გაიყვეს და ერთმანეთს, როგორც იტყვიან, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდნენ, მაგრამ მოგეხსენებათ, ეშმაკები დეტალებში სხედან. ჰოდა, თუკი ამ საქმის „ეშმაკებს“ კარგად გავშიფრავთ, შეიძლება, მივიდეთ დასკვნამდე, რომ აშშ-ის მოქალაქე ვალ ირელს, იგივე ვალერიან გაგნიძეს სამშობლოში ყოფილი თუ მოქმედი ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლები პრობლემას „ამერიკული ნიშნით“ არ უგვარებენ... სხვათა შორის, საქმეში ახალი თუ ძველი ძალოვანები ოფიციალურად არ ფიგურირებენ, მაგრამ კვალი შს მინისტრის ყოფილ მოადგილესა და სოდ-ის ექსშეფამდე მიდის. ოფიციალურად კი, მთავარი ფიგურანტი „ლაით ჰაუსის“ მფლობელი, ბიზნესმენი ვაჟა გორდიაშვილია. მართალია, ვალ ირელი აქცენტს საკუთარ ძმაზეც აკეთებს, რომელიც ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური თანამებრძოლია, მაგრამ „ქართული სიტყვა“ ოჯახურ კონფლიქტში გარევას არ აპირებს და საქმის მხოლოდ პოლიტიკურ და საგამოძიებო დეტალებს გაგაცნობთ, მით უმეტეს, რომ ლაპარაკია აშშ-ის ეთნიკურად ქართველ მოქალაქეზე, რომელიც ამბობს, რომ თუკი საქართველოში სამართალს ვერ იპოვის, იძულებული გახდება, მსოფლიოს გასაგონად მწვავე განცხადებები გააკეთოს, რაც უპირველესად, ისევ საქართველოს ავნებს! აქვე, ხაზგასასმელია, რომ ვალ ირელის საწინააღმდეგო არგუმენტები აქვს მეორე მხარეს. ყოველ შემთხვევაში, ვაჟა გორდიაშვილის ადვოკატი, ნუგზარ გაზდელიანი ერთ-ერთ საგაზეთო კომენტარში აცხადებს, რომ ვალ ირელი ვაჟა გორდიაშვილს, ვალის გადაუხდელობის საბაბით, 74 ათას დოლარს ედავებოდა, მაგრამ „საბოლოოდ, დადგინდა, რომ ვაჟა გორდიაშვილს არც ერთი კაპიკი გადასახდელი არ აქვს“. ასევე, არსებობს ირელის ძმის საგაზეთო კომენტარი, რომლის მიხედვითაც, ოჯახმა მისი ბიზნესიდან გაყვანა მოინდომა.

ვინ არის ვალ ირელი, რას ედავება ვაჟა გორდიაშვილს და რატომ ფიგურირებენ საქმეში ზვიად ჯანყარაშვილი, გენინსპექციის უფროსი სოსო გოგაშვილი, ამირან მესხელი და სოდ-ის ყოფილი შეფი

— ვალ, აშშ-ში სახელი და გვარი რატომ შეიცვალეთ?

— არ შევიცვალე. ვალერიანი მქვია და სახელი, უბრალოდ, შევამოკლე, ირელი კი, ჩემი სოფლის სახელია. ასე გავხდი ვალ ირელი.

— შენობა, სადაც ახლა ჭაღების მაღაზია „ლაით ჰაუსი“ მდებარეობს და რომელზეც დავა მიმდინარეობს, თქვენ ააშენეთ თუ ოჯახმა?

— ჩემი თანხებით, ოჯახთან ერთად.

— პრობლემა როდის და რატომ გაჩნდა?

— ამ შენობის პირველი სართული 1996 წელს ავაშენე და ნაწილობრივ საკუთარი ხარჯებით გავარემონტე კიდეც.

— რა სახსრებით ააშენეთ?

— ბიზნესი გვქონდა, თან სახსრები მაინცდამაინც არ დამჭირვებია — ამ შენობის უკან მდებარე ნაკვეთზე, რომელზეც, ასევე დავა მაქვს, სახლის აშენება მინდოდა, მაგრამ მაშინ ეს იდეა ვერ განავახორციელე და ნაყიდი სამშენებლო მასალა მთლიანად ამ შენობას მოვახმარე. მიწის ის ნაკვეთი, 400 კვ/მ-მდე, სადაც „ლაით ჰაუსია“ აშენებული, თავის დროზე მიწის განაწილების კომისიამ დედაჩემს საკუთრებაში გადასცა...

— ეს ნაკვეთი დღეს ისევ დედათქვენის მფლობელობაშია?

— არა. 2010 წლის აპრილიდან, მხოლოდ საკარმიდამო კი არა, მთელი ქონების ერთპიროვნული მესაკუთრე ვარ — დედამ მაჩუქა, დისგან კი, შევისყიდე. ჩემს ძმას შენობაში თანხმები უნდა ჩაედო, მაგრამ ეს ვერ, ან არ მოახერხა... აშშ-ში რომ წავედი, შენობის ნაწილი გავაქირავეთ — რესტორანი გაიხსნა, მაგრამ მეიჯარემ ქირის გადახდა ვერ შეძლო და შენობა ისევ გათავისუფლდა. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ჩემმა ოჯახმა რესტორანი „რაჭა“ გახსნა... 2001 წელს, დედაჩემმა დამირეკა, შვილო, ბიზნესი ისე განვითარდა, რომ ხალხი დარბაზს ითხოვს და თუ საშუალება გაქვს, გავფართოვდეთო. დავთანხმდი, თუმცა დავინტერესდი, იმ თანხიდან, რომელსაც წლების განმავლობაში აშშ-დან ვაგზავნიდი და რომლითაც ბიზნესი ვითარდებოდა, დანაზოგი რამდენი ჰქონდათ. დედაჩემმა, დანაზოგი საერთოდ არ გვაქვსო...

— ვალ, მაპატიეთ, მაგრამ ყველაფერი, რასაც ყვებით, ძალიან ოჯახურია და საზოგადოებას ნაკლებად აინტერესებს. კონკრეტულად მითხარით, ყოფილი ხელისუფლება თქვენი ბიზნესით, ანუ შენობით, სადაც ახლა „ლაით ჰაუსია“ განთავსებული, როდის და რატომ დაინტერესდა?

— წართმევამდე დიდი დროა... მოკლედ, დედაჩემმა რომ მთხოვა, აშშ-დან 20 ათასი დოლარი გამოვაგზავნე. ჩემი ძმა ამბობდა, მეც მოწილე ვარო, მაგრამ მისი თანხები არ ჩანდა. ბოლოს, როგორც გადმოცემით ვიცი, ბანკიდან 17 თუ 20 ათასი დოლარის კრედიტი აიღო და გარანტორად, როგორც მიწის და ბიზნესის მესაკუთრეები, დედა და და დაიყენა. სხვათა შორის, რესტორნის დირექტორი დედაჩემი იყო... მართალია, ბიზნესი მუშაობდა, მაგრამ ჩემმა ძმამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ სესხი არ დაფარა და ბანკს, შენობა რომ არ გაეყიდა, დედას მეორე ნაკვეთი გააყიდინა... 2004 წლის დასაწყისში კი, დედა ბიზნესიდანაც უხეშად გამოაგდო...

— როგორც ვხვდები, ეს წმინდა ოჯახური დავაა და არ მესმის, ყოფილ ხელისუფლებას ბრალს რაში და რატომ სდებთ?.. სპეცსამსახურებმა, ბიზნესი რომ წაერთმიათ, ოჯახური კონფლიქტი გამოიყენეს?

— დიახ, ასეა, თან ჩემს ძმას, ასე ვთქვათ, პიროვნული პრობლემაც ჰქონდა — ბურჯანაძის პარტიის წევრია.

— ესე იგი, მთელი ეს ვაკჰანალია „ნაციონალების“ კისერზეა?

— დიახ, ჩვენ — ოჯახის თითოეული წევრი სისტემის მსხვერპლნი ვართ, რაც ფაქტობრივი მტკიცებულებებიდანაც ჩანს.

— რა ფაქტობრივ მტკიცებულებებს გულისხმობთ?

— ვაი ექსპერტების მიერ ყალბი დასკვნების საფუძველზე გამოტანილ სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებას. ასევე, პროკურატურის სირაქლემის პოზას. შეიძლება, დაზარალებული 5 წელი საქმის დახურვას ითხოვდეს და თუკი დანაშაულის ნიშნები არ იკვეთება, რატომ არ უნდა დახურონ?

— საქმე რა მუხლით და ვის წინააღმდეგაა აღძრული?

— თაღლითობის...

— საქმე ვისი ინიციატივით აღიძრა?

— საქმე, დედაჩემის განცხადების საფუძველზე, 2010 წლის დეკემბერში აღიძრა, თუმცა მანამდე, 2010 წლის ოქტომბერში, ჩემმა ძმამ სასამართლოში დავა იმაზე დაიწყო, რომ დედამ და დამ 2007 წლის ოქტომბერში თითქოს ხელი მოაწერეს რაღაც არარსებული ვალის აღიარების ხელშეკრულებას.

— ეს ხელმოწერები მართლა არსებობს?

— რა სისულელეა! ხელმოწერები არსებობს, მაგრამ გაყალბებულია. ასევე, გაყალბებულია ამასთან დაკავშირებული ექსპერტიზის დასკვნა. სხვათა შორის, ექსპერტის გაყალბებულ დასკვნაზე სასამართლომ ახალი ექსპერტიზა იგივე ესპერტს გააკეთებინა, რაც აშკარა მიკერძოებაა.

— დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარება თქვენც ხომ შეგეძლოთ?

— ექსპერტიზისთვის დედანია საჭირო, მაგრამ ეს დედანი ხელში მე კი არა, პროკურატურამაც, როგორც თვითონ ამბობდნენ, ვერ ჩაიგდო.

— რატომ?

— ჩემი ე.წ. ძმა და მისი ადვოკატი გამოძიებას უნდობლობას უცხადებდნენ და ამბობდნენ, რომ დედანს მხოლოდ სასამართლოს წარუდგენდნენ და თუ სასამართლო თანახმა იქნებოდა, გამოძიება დედნის აღებას მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებდა.

— ყველაფერი ეს 2012 წლის არჩევნების მერე ხდება თუ მანამდე?

— ეს ამბები 2010 წლის დეკემბრიდან 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებამდე ხდებოდა, თუმცა დღესაც „წარმატებით“ გრძელდება.

— დედათქვენმა საქმის აღძვრა ვის წინააღმდეგ მოითხოვა?

— ჩემი ე.წ. ძმის, მისი მეორე მეუღლისა და იმ ნათესავის, რომელმაც დედაჩემის და ჩემი დის ხელმოწერები გააყალბა.

— ანუ, სახელმწიფო ჩინოვნიკებთან პრეტენზია ეჭვის დონეზეც არ გქონდათ?

— ეჭვი თავიდანვე მქონდა...

— ვისზე?

— მოგახსენებთ... 2008 წელს, ახალი მეიჯარე, ვაჟა გორდიაშვილი გამოჩნდა. ეს პიროვნება, როგორც მეიჯარე, ოჯახში ჩემმა ძმამ მოიყვანა და ამბობდა, რომ თითქოს მისი დიდი ხნის მეგობარი იყო.

— გორდიაშვილი თქვენს შენობაში თავიდანვე „ლაით ჰაუსის“ გახსნას გეგმავდა?

— არა. თავდაპირველად ლაპარაკი იყო, რომ ჟან პოლ გოტიეს საფირმო ავეჯის სახლი უნდა გახსნილიყო. იმხანად დიღმის ეს ტერიტორია სავაჭრო კუთხით უკვე მიმზიდველი გახლდათ.

— გორდიაშვილმა იცოდა, რომ ძმებს ცუდი ურთიერთობა გქონდათ?

— დიახ და ამის შესახებ სასამართლოზეც განაცხადა, ანუ ისე გამოიყვანა, რომ როგორც მოიჯარე, თითქოს ოჯახური კონფლიქტის მსხვერპლი გახდა.

— ვალ, ეჭვობთ, რომ მოიჯარე „ნაციონალებმა“ მოგიგზავნეს?

— თავიდან მოგზავნილი, შეიძლება, არ იყო, მაგრამ შემდეგ, დარწმუნებით გეუბნებით, „დაკრიშეს“ და დღემდე „კრიშავენ“...

— გისმენთ და ვერ გამიგია: თუ ეს მოიჯარე არ მოგწონდათ, ურთიერთობა რატომღა დაიწყეთ? ფართის მიქირავებას ვინმე გაიძულებდათ?

— ლაპარაკი არმოწონებაზე არ ყოფილა.

— აბა, რაზე იყო?

— 2008 წელს შევთანხმდით, რომ შენობას თავისი გემოვნებით გაარემონტებდა და 2009 წლის პირველ იანვარს ჟან პოლ გოტიეს საფირმო მაღაზიას გახსნიდა.

— ავეჯის ბიზნესში წილი თქვენც გქონდათ?

— არა.

— თქვენთვის მთავარი იჯარის თანხა უნდა ყოფილიყო და არა — ის, თუ როდის დაიწყებდა მოიჯარე ბიზნესსაქმიანობას...

— მოლაპარაკების საგანი სწორედ ქირის თანხა და გადახდის ვადები იყო.

— ანუ, მოიჯარე ამბობდა, რომ ქირის გადახდას შენობის გარემონტების შემდეგ დაიწყებდა?

— იცით, როგორ იყო? ვიდრე გაარემონტებდა, თვეში, პირობითად, 2 ათასი დოლარი უნდა გადაეხადა, გარემონტების შემდეგ კი, — 4 ათასი, თან ქირა, ყოველ წელს, 1000 დოლარით უნდა გაზრდილიყო.

— ეს პირობა დაარღვია?

— დიახ.

— მერე, ხელშეკრულება შეგეწყვიტათ.

— მე აშშ-ში ვიყავი. ჩემმა ძმამ კი, დედაჩემს უთხრა, მოიჯარეს ჟან პოლ გოტიესთან კონფლიქტი მოუვიდა, საფირმო მაღაზიას ველარ ხსნის და რემონტი ეწელებაო. მოკლედ, შევთანხმდით, რომ ვიდრე რემონტს დაამთავრებდა, 2 ათასს გადაიხდიდა და ეს ცვლილებები ხელშეკრულებაში ხელნაწერის სახით შევიტანეთ...

— ვალ, თქვენი მონათხრობიდან, ყველაფერი რიგზე უნდა იყოს. პრობლემა სადაა?

— ხელშეკრულებაში, რომელსაც ხელი შეგნებულად არ მოეწერა, რათა ოფიციალური სახე მისცემოდა, წერია, რომ შენობა 5-წლიანი იჯარითაა გაცემული, მოიჯარე კი ამბობს, ათი წლით ვიქირავეო, ანუ მოიჯარემ ჩემს ძმას სიტყვიერად ვითომ „აჭამა“...

— როგორც ვხვდები, დავა 4 ათასის საბაბით დაიწყო. ეს ის თანხაა, რის გამოც დედმამიშვილთან დაპირისპირება ღირს?

— როცა საკუთარ სისხლსა და ხორცზეა ლაპარაკი, 4 ათასი სახსენებელი არაა. უბრალოდ, ჩემმა ძმამ დედა, და და მე მოგვატყუა, ანუ მოიჯარეს, პირადი ფინანსური ინტერესის გამო, სხვა პირობებზე მოელაპარაკა, ჩვენამდე კი, სხვა პირობები მოიტანა.

— ტყუილის თქმა ხელისუფლებამ აიძულა?

— არ ვიცი, თავიდან აიძულეს თუ არა, მაგრამ მერე, ამ იძულების დეტალები გამოჩნდა...

— მაინც, რა დეტალები?

— მოიჯარე დარწმუნებული იყო, რომ ჩემზე ზემოქმედების ბერკეტი ჰქონდა. ეს კი არადა, მითხრა, მანქანის გამოცვლას ვაპირებ — უფრო მაგარი მანქანა მინდა. თუ მაგარი მანქანა გყავს, შანსი არაა, სოდ-მა არ გადმოგსვას, მაგრამ იქ ხალხი მყავსო... სხვათა შორის, ჩემი ძმა, როგორც მისგან ვიცი, სოდ-მა სამჯერ დააკავა და სამივეჯერ საქმე უპრობლემოდ მოაგვარა.

— სოდ-ის რომელიმე მაღალჩინოსნის გვარი ახსენა?

— არა. თქვა, რომ პროკურატურაში ბიძაშვილი თუ ვიღაც ნათესავი ჰყავდა. მახსოვს, მითხრა, მაგარი „აუდი“ მყავდა, დამეწვა და პოლიცია „მაწვებოდა“, ძალით დაწვი, დაზღვევის ფული რომ აგეღოო, მაგრამ ჩემმა ნათესავმა დარეკა და თავი დამანებესო. როგორც ჩანს, სერიოზული მფარველები ჰყავდა და ამით ჩემს ირიბ დაშინებას ცდილობდა...

— არ შეეცადეთ, გაგერკვიათ, სოდ-სა თუ პროკურატურაში მოიჯარეს მფარველი მართლა ჰყავდა თუ არა?

— რომც დავინტერესებულიყავი, ვინ მეტყოდა?

— მაშინ შეიძლება, არავის ეთქვა, მაგრამ ახლა სხვა რეალობაა და ინფორმაცია ვერსიის დონეზე მაინც მოგეპოვებინათ...

— ვერსიას გეტყვით: საქართველოში ახალი ჩამოსული ვიყავი და ამ კაცთან შეხვედრის შემდეგ, დავინტერესდი, სოდ-ის ხელმძღვანელი ვინ იყო, მითხრეს, დევი ჭელიძეო, მაგრამ ეს სახელი და გვარი არაფერს მაძლევდა, თუმცა ისიც გავიგე, რომ ჭელიძე ამირან მესხ-

გაგრძელება მე-12 გვ.

12 № 6 (270) 11-17 თებერვალი 2015

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲦᲛᲔᲑᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენ[illegible]
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქა

ᲣᲠᲔᲛᲘ

ᲛᲔ-11 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ელის პროტეჟე იყო... ვანო, გინდ დაიჯერეთ, გინდ – არა: ყველას, ვისთანაც ჭელიძე და მესხელი ვახსენე, სახე შეეცვალათ. მეხუმრნენ კიდეც, ეროვნულ ვალუტას ვერ შემოგთავაზებენ და შენს ბიზნესს ერთ დოლარად დაგათმობინებენო.

– დათმობის მცდელობა ჰქონდათ?

– მცდელობა არა, მაგრამ მინიშნება იყო.

– ვისგან და რა ფორმით?

– იმ რაიონის პოლიციის უფროსმა, სადაც განცხადება შევიტანეთ, მეგობრული ლაპარაკი დამიწყო, ახლადშექმნილი სახელმწიფოა, უჭირს და ბევრი ბიზნესმენი ქონებას ნებით თმობს, რის სანაცვლოდაც, სახელმწიფო სხვა ბიზნესში დაეხმარება და უფრო ბევრ ფულს აშოვინებსო. გამეღიმა. საერთოდ, ყველაფერ ამას ირონიულად ვუყურებდი.

– ამ ირონიის საფუძველი ის ხომ არ იყო, რომ აშშ-ის მოქალაქე ხართ?

– ირონიის საფუძველი ჩემი სიმართლეა!

– დაჭერის არ გეშინოდათ?

– არა!

– აშშ-ის საელჩო საქმის კურსში არ ჩააყენეთ?

– მაგ ეტაპზე – არა.

– რატომ?

– საელჩოს მაშინ მივმართე, როცა საქმე აუქციონზე მიდგა... საერთოდ, იმისთვის, რომ აშშ-ის მოქალაქე ვარ, ხაზი არასოდეს გამისვია. გარდა ამისა, როცა საელჩოს დასახმარებლად მიმართავ, მყარი არგუმენტები უნდა გქონდეს. თავდაპირველად კი, არგუმენტი არ არსებობდა, თან საქმე ისე იყო თეთრი ძაფით შეკერილი, რომ თითქოს პატიოსანი მოიჯარე, რომელმაც შენობა გაარემონტა, დედაჩემმა, როგორც „არაპატიოსანმა“ მესაკუთრემ, მოატყუა – ხელშეკრულებას აღარ გაუფორმა და საიჯარო ფართიდან გაგდებაც დაუპირა.

– ესე იგი, დედათქვენს მოიჯარე უჩიოდა?

– დიახ და ეს დაშინების ბერკეტი იყო. სხვათა შორის, გამაფრთხილეს, რომ ყველაფრისთვის მზად უნდა ვყოფილიყავით.

– რა ყველაფრისთვის?

– თუნდაც პროკურატურისთვის...

– ჭელიძე და მესხელი ღიად არ გამოჩენილან?

– არა, თუმცა შსს გამოძიების მიმართ ძალიან დიდ ყურადღებას იჩენდა – დედაჩემის დაკითხვას ლამის პოლიციის უფროსიც ესწრებოდა. მერე, დაკითხვაში მეც ჩავერთე, რაც არ უნდოდათ, მაგრამ ავუხსენი, ამჟამად ქონების 50 პროცენტის მესაკუთრე ვარ-მეთქი და მოწმის სახით დაკითხვა მოვითხოვე.

სხვათა შორის, ჩემს ძმას საჩივარი თაღლითმა მოიჯარემ დააწერინა და 5 მოწმეც მოაყვანინა, თუმცა მანამდე ისევ მე შემხვდა და მითხრა, თქვენთან სალაპარაკო აღარ მაქვს, ასი ათას დოლარს დამიბრუნებთო.

– რა ასი ათასს გთხოვდათ?

– ეს შეკითხვა მეც დავუსვი და მითხრა, 50-60 ათასამდე რემონტი დამიჯდა, დანარჩენი კი, ის თანხაა, რაც 2008-დან 2010 წლამდე იჯარაში გადავიხადეო. მოიჯარე დედაჩემს დაემუქრა, თუ თქვენ არ გადამიხდით, ამ ფულს თქვენი შვილის, რამაზის კისრიდან ამოვიღებ – მან ჩემი შესაძლებლობები კარგად იცის და მადლობა თქვას, რომ ციხეშიც არ გავაშვებინოო...

მოკლედ, 2010 წელს, როგორც ადეიშვილსა და, საერთოდ, წინა ხელისუფლებას სჩვეოდა, დედაჩემი დაკითხვაზე ზუსტად საკუთარ დაბადების დღეზე, 26 აპრილს დაიბარეს. გამომძიებელ ალეკო ბათიაშვილს ავუხსენი, წლებია, დედაჩემის დაბადების დღეზე არ ვყოფილვარ და ხომ შეიძლება, დაკითხვა ხვალისთვის გადავდოთ-მეთქი. მტკიცედ მიპასუხა, არაო...

– თვლით, რომ ეს ზეწოლის ერთ-ერთი ფორმა იყო?

– აბა, რა?! „სიურპრიზებს“ ჩემს დაბადების დღეებზეც მიკეთებდნენ...

– ბოლოს და ბოლოს, დედათქვენი საკუთარ დაბადების დღეზე დაკითხეს?

– დიახ. არადა, ქალმა მანამდე ისიც კი არ იცოდა, პოლიცია სად იყო.

– ადვოკატი არ გყავდათ?

– გვყავდა, მაგრამ ჯერ არ ვიცოდი, რომ დედაჩემს, ასე ვთქვათ, სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლით უჩიოდნენ. გამომძიებელმა დედაჩემს უთხრა, შვილმა, მაზლისშვილმა და მათმა ძმაკაცებმა თქვენს წინააღმდეგ როგორ გაილაშქრესო. დედაჩემი გაოცდა – კონსერვატორიადამთავრებულია, მუსიკოსი, სულ სხვა ინტერესები აქვს და უცებ, ასეთ ფსიქოლოგიურ დარტყმას აყენებენ. აი, სწორედ ამ დროს მოვითხოვე, რომ მეც დავეკითხე. ჯერ დაიწყეს, დაკითხვას ვერ გავწყვეტთო, მაგრამ მერე, წინააღმდეგობა ვეღარ გამიწიეს და დამკითხეს...

– ვალ, ძმა გიყვართ?

– რას ჰქვია, არ მიყვარს? თან, განვიცდი, რომ ოჯახის წინააღმდეგ გამოიყენეს.

– ხომ არ გეჩვენებათ, რომ ეს, ერთი შეხედვით, ოჯახური დავა, ირიბად, ორი – დასავლური და ჩრდილოეთური ღირებულების ორთაბრძოლაა, ანუ აშშ-ის მოქალაქე რომ არ იყოთ, პრობლემა უფრო მარტივად მოგვარდებოდა?

– შეიძლება, ასეთი ნიშნებიც წავიკითხოთ, მაგრამ მეორეცაა, თუკი ასეა, მაშინ საკაშვილის მთავრობა, რომელიც პროამერიკულობას იბრალებდა, ამ კონფლიქტს რატომ არ მოერიდა? სხვათა შორის, 2005 წელს, საქართველოში რომ ჩამოვედი, ხალხში აშშ-ის მიმართ ზიზღის ელემენტები დავინახე. 2010 წელს კი, როცა უკვე აშშ-ის მოქალაქეობა მქონდა, პირდაპირ მიმანიშნებდნენ, აღარ მოგვწონხარ, რადგან აშშ-ის, ანუ იმ ქვეყნის მოქალაქე ხარ, რომელმაც საქართველო, მიშასთან ერთად, დააქციაო. ხალხს ვუხსნიდი, 12 წელია, აშშ-ში ვცხოვრობ, იქაური სამართლიანობა ვიცი და ისიც, თუ როგორი მიდგომა აქვს სახელმწიფოს თითოეული მოქალაქის მიმართ და აშშ-ით მიშა და მისი კრიმინალური დაჯგუფება მხოლოდ „სპეკულიანტობენ“-მეთქი...

– იმედოვნებდით, რომ 2012 წლის პირველი ოქტომბრის შემდეგ, რამე შეიცვლებოდა?

– კი, ძალიან დიდი იმედი მქონდა... სხვათა შორის, ერთხანობას მთავაზობდნენ, რომ ორმაგი მოქალაქეობა მიმეღო, მაგრამ ამას „ნაციონალები“ სხვანაირად გამოიყენებდნენ და ამის მინიშნებებიც არსებობდა.

– რას გულისხმობთ?

– ძალიან შინაურებმა გამაფრთხილეს, ვალ, ქუჩაში გასვლას მოერიდე, შეიძლება, ვიღაცამ შეგაგინოს, შენ დაარტყა და დაგიჭირონო. ისიც ვიცი, რომ სოდ-მა მთელი ჩემი კართოტეკა შეისწავლა – ვინ ვიყავი აშშ-ში წასვლამდე, კრიმინალთან რამე შეხება მქონდა თუ არა, მაგრამ თვითონვე თქვეს, ისეთი ისტორია აქვს, როგორც სუფთა წყალიო... ვერც ნარკოტიკების ჩადებაზე წავიდნენ – ბოლოს და ბოლოს, აშშ-ის მოქალაქე ვარ, რაც დიდი სკანდალი იქნებოდა... სხვათა შორის, პილიციის ის უფროსი, წეღან რომ გითხარით, თავდაპირველად ცოტა პროვოკაციულად და მძიმედ გამესაუბრა, მაგრამ ხმა დავაწევინე, მერე, თხოვნაზე გადმოვიდა...

– მთელი სახელმწიფო მანქანა ამ საქმით რატომ დაინტერესდა?

– იმიტომ, რომ ქონება წაერთმიათ.

– ვალ, წეღან გკითხეთ, მაგრამ არ დააკონკრეტეთ: დედათქვენმა გამოძიების სისხლის სამართლის კუთხით წარმართვა რატომ მოითხოვა?

– 2010 წლის დეკემბერში, დედაჩემმა განცხადება დაწერა, რომ კალიგრაფიული ექსპერტიზა გაყალბებულია.

– დღეს რას დავობთ?

– ყველაფერი, რაც სასამართლომ დამაკისრა, ყალბია.

– სასამართლომ რა დაგაკისრათ?

– 150 ათასი – ერთი.

– ეს 150 ათასი რისაა?

– რემონტის. ამასთან, თითქოს შენობაში წყალი არ იყო და მოიჯარემ, რემონტის დროს, 50 ათასი ლარის, ანუ 80 ტონა წყალი გახარჯა. არადა, ხელთ მაქვს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ორი აქტი, რომლითაც დასტურდება, რომ მოიჯარეს წყალი ნამდვილად მიეწოდებოდა, თუმცა დამოუკიდებელმა „ექსპერტმა“ დავით რობაქიძემ დაწერა, რომ შენობას წყალი თითქოს არ მიეწოდებოდა, რასაც ერთვოდა შპს „თელიზის“ დირექტორის, ლიანა ლოლაშვლსა და მოიჯარეს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომ თითქოს „თელიზისგან“ წყალს ყიდულობდა... ამ გაყალბებული დოკუმენტის საფუძველზე, წყლის დავა სამ ეტაპადაა განაწილებული. ამ კუთხით, უზრუნველყოფაში ჩემი სახლი და ნაკვეთია ჩადებული და თუ უსამართლოდ დაკისრებულ თანხებს არ გადავიხდი, გამომასახლებენ. გამოსახლებას ერთხელ, 2014 წლის მაისში გადავრჩი – ახლობლებმა თანხა, რომელიც არ უნდა გადამეხადა, გადაიხადეს. გარდა ამისა, სასამართლომ, ჩემი ძმის სარჩელის საფუძველზე, თითქოს შენობა მილიონი ღირდა და 50 პროცენტი მისი საკუთრება იყო, კიდევ 500 ათასი დოლარი დამაკისრა. საერთო ჯამში, სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხა 700 ათას დოლარს უახლოვდება.

2010 წლიდან მოყოლებული, პროკურატურას განცხადებით არაერთხელ მივმართე და აღვნიშნე, რომ სასამართლო პროცესები გაყალბებულ დოუმენტებზე იმართება, რასაც მოსამართლის მიერ არასამართლიანი განაჩენის გამოტანა მოჰყვებოდა, მაგრამ პროკურატურამ არ მომისმინა.

– განცხადებით „ოცნების“ პროკურატურასაც მიმართეთ?

– დიახ, ბადაშვილთან შეხვედრა მოვითხოვე. პროკურატურისა და შსს-ს გენინსპექციებსაც მივმართე, რომ პროკურორები და დეტექტივ-გამომძიებლები არაფერს აკეთებენ და სირაქლემის პოზაში არიან, ანუ არ კითხავენ ჩემს მიერ დასახელებულ პირებს: სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტებს – მაია ნინიძეს, მაკა ვადაჭკორიას, ბესარიონ ბარბაქაძეს, ასევე, დამოუკიდებელი ექსპერტიზა „ვექტორის“ ექსპერტს, რომელმაც ყალბი კალიგრაფიული ექსპერტიზა ჩაატარა და, ასევე, „ექსპერტ“ დავით რობაქიძეს და „თელიზის“ დირექტორ ლიანა ლოლაშვილს...

– ხელისუფლება შეიცვალა. მოიჯარეს მფარველები „ოცნებაშიც“ ჰყავს?

– დიახ, ამას მტკიცებით ფორმაში ვამბობ!

– ვინ მფარველობს?

– სხვათა შორის, პროკურატურას „ნაციონალური ოცნების“ პროკურატურა 2014 წლის მარტში პირველად მე ვუწოდე – იგივე საქმეებს იგივე პიროვნებები იძიებენ, ანუ საქმე „ნაციონალური კარუსელით“ მიდის.

– არც იმის იმედი გაქვთ, პროკურატურაში გამოძიების დროს დაშვებული ხარვეზების შემსწავლელი განყოფილება რომ შეიქმნა?

– არა, რადგან ეს განყოფილება მხოლოდ გახმაურებულ საქმეებს გამოიძიებს, თან ქონება ჩემთვის ჯერ არ წაერთმევიათ! წართმევის პროცესია და პრეცედენტი იქნება, თუკი „ნაციონალური ოცნების“ პროკურატურა და სასამართლო აშშ-ის მოქალაქის წინააღმდეგ „ნაციონალებისგან“ დაწყებულ მზაკვრულ ჩანაფიქრს სისრულეში მოიყვანენ!

– ვალ, ბიძინა ივანიშვილთან დაკონტაქტება არ გიცდიათ?

– გზა ვერ გამოვნახე, თუმცა მოქმედ პრემიერს წერილი ორჯერ მივწერე... 2013 წლის დეკემბერში, შსს-ს გენინსპექციის ამჟამინდელ უფროს სოსო გოგაშვილს ველაპარაკე, რომელმაც დახმარება აღმითქვა, ანუ გოგაშვილს, რომელიც მაშინ ზვიად ჯანყარაშვილის მოადგილე იყო, ვკითხე, ამ ამბის შესახებ ბატონი ზვიადი თუ გაიგებს-მეთქი და მიპასუხა, რა თქმა უნდა, იმიტომაც შეგხვდით, რომ ზუსტად მცოდნოდა, საქმე რას ეხებაო, მაგრამ არაფერი შეცვლილა.

– რას აპირებთ?

– სასამართლოს ყველაზე მძიმე გადაწყვეტილებას დაველოდები, რომელიც 500 ათას დოლარს უკავშირდება და ამის შემდეგ, მთავარ პროკურატურასთან, აშშ-ის საელჩოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების ოფისებთან შეიძლება, საპროტესტო აქციებიც გავმართო, რაც საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოსვლაზე პირდაპირ იმოქმედებს! არც იმას გამოვრიცხავ, რომ საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს გაყალბებში მონაწილე ინდივიდებისა და მათი ლობისტების პერსონა ნონ გრატად გამოცხადება მოვთხოვო! სხვათა შორის, მედიაში აქამდეც ვაქტიურობდი, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია!

– თქვენი ქვეყანა რომელია – აშშ თუ საქართველო?

– ეთნიკურად ქართველი ვარ, მაგრამ აშშ-ის მოქალაქე ვარ! დღეს საქართველოში ტურისტი ვარ – ვიზას ვიგრძელებ, არადა, იმაზე მეტი ქართველი ვარ, ზოგიერთი პოლიტიკაში რომაა და ქვეყნისთვის თითქოს კარგს აკეთებს!

– წეღან მითხარით, რომ ფარულად გითვალთვალებენ და გისმენენ. ასეთი განცდა რატომ გაქვთ?

– ეს ლოგიკურიცაა...

– ისე, ლოგიკით, ყველაზე მეტად რუსული სპეცსამსახურებისთვის უნდა იყოთ მიუღებელი...

– პირდაპირ გეტყვით: შეუძლებელია, პროამერიკელი, პროევროპელ და პროდემოკრატთა მხარდამჭერი არ ვიყო. ჩემი ხათრით, „ქართულ ოცნებას“ ხმა ბევრმა მისცა, პირველ რიგში, ჩემი ოჯახის წევრებმა – „ოცნების“ ირიბი აგიტატორიც ვიყავი, მაგრამ დღეს „თავისუფალ დემოკრატებსა“ და „რესპუბლიკურ პარტიის“ ზოგიერთ წევრს უფრო სიმპათიით ვუყურებ, ვიდრე ბურჯანაძისა და პრორუსულ პარტიებს.

– ერთი არაეთიკური შეკითხვა უნდა დაგისვათ: რა სახსრებით ცხოვრობთ?

– ისე ვცხოვრობ, როგორც სოციალურად დაუცველი – 2011 წელს სასამართლომ პირადი ანგარიშიც დამიბლოკა. აქამდე აქაური თუ ამერიკელი მეგობრები მეხმარებოდნენ. მე, დედაჩემი და ჩემი დაც მოვალეთა რეესტრში ვართ...

– არ გინდათ, აშშ-ში წახვიდეთ და ყველაფერი დაივიწყოთ?

– თაღლითებს ეგონათ, რომ შემეშინდებოდა და გავიქცეოდი, მაგრამ საქართველო რომ არ მიყვარდეს, აშშ-ში აწყობილ საქმეს არ მივატოვებდი და აქ ბიზნესის განსავითარებლად და ღირსების დასაცავად არ დავბრუნდებოდი! სხვათა შორის, საქართველოში, სხვადასხვა სფეროში, ჩემი ამრიკელი მეგობრები თავის დროზე 5-მილიონამდე ინვესტიციის ჩადებას გეგმავდნენ და ეს თანხა თანდათან გაიზრდებოდა, მაგრამ როცა ჩემი თავგადასავალის შესახებ გაიგეს, აქეთ გამოხედვაც აღარ უნდათ. არადა, დღევანდელი ხელისუფლება ინვესტორებს ფულის ჩადებას სთხოვს. ყველამ, ვინც მიცნობს, იცის, რომ ჩემთვის თავმოყვარეობა და ღირსება ყველაფერზე მაღლა დგას! დღეს ორ ფრონტზე ვიბრძვი – ოჯახის ღირსებასაც ვიცავ და ქონებასაც! ასე რომ, უფლება არ მაქვს, ყველაფერ ამაზე უარი ვთქვა და აშშ-ში წავიდე. ამდენი საქმე ავადმყოფ დედას დავუტოვო თუ იმ თაღლითებს, რომლებსაც მხოლოდ ყოფილი კი არა, ახალი მთავრობაც აშკარად ლობირებს?! მოკლედ, ჯანსუღ ჩარკვიანის თქმისა არ იყოს, ვერ გამიგია, ვისი ვიოლინო ვის როიალშია, რაზეც გული მტკივა. სხვასავით, მეც, ნათესაური ნეპოტიზმის მსხვერპლი ვარ!

ესაუბრა ᲕᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

11-17 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ 2015 | № 6 (270) | 13

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲢᲞᲣᲠᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

ᲓᲔᲜᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲩᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲡ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲐᲕᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲡ

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ, ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲓᲔᲜᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲤᲮᲕᲠᲔᲚᲐᲓ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ ᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡᲗᲐᲜ“ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡᲐᲡ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲕᲘᲓᲠᲔ ᲗᲐᲛᲐᲠ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲐᲠᲪ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔ ᲐᲛᲐᲦᲚᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲐᲠᲪ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲡ:

– 2013 წლის 26 დეკემბერს, პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა ხელი მოაწერა ბრძანებას პროფესიული სწავლების სტრატეგიის შესახებ და 2020 წლამდე მისი დებულებაც დამტკიცდა. სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, განათლების სამინისტროს, ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და პროფკავშირს მთელი რიგი ღონისძიებები უნდა განეხორციელებინათ. პირველ რიგში, განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრს 2014 წელს 100 პროფესიული სტანდარტი შეემუშავებინა, შემდეგ კი, ხანგრძლივი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პილოტირება მოეხდინა.

– ბატონო დენის, ეს სტანდარტები რას ითვალისწინებდა?

– სხვადასხვა სპეციალობის, მაგალითად, მკერავის, ან ელექტროშემკეთებლის მომზადებას, ანუ კოლეჯის დამთავრების შემდეგ, კურსდამთავრებულს უნდა შესძლებოდა ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში მუშაობა. პროფესიული სტანდარტის გარდა, 2014 წელს ამ მოდულური პროგრამების მიღებაც უნდა მომხდარიყო. ამისთვის განათლების სამინისტრომ, პარლამენტსა და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმების საფუძველზე, ბიუჯეტიდან განათლების ეროვნული ცენტრის დირექტორი, ელენე ჯიბლაძე დააფინანსა, რომელმაც თანხები საჭიროებისამებრ არ გამოიყენა. კარგია, რომ დღეს ის თანამდებობაზე აღარაა.

– კარგი რატომაა?

– ამასაც მოგახსენებთ. დღემდე არც ერთი პროფესიული სტანდარტი არაა დამტკიცებული – ეს პროგრამები ისეთ კონდიციამდე ვერ მიიყვანეს, რომ 2014 წელს დაწყებულიყო მოდულირებული პროგრამების პილოტირება.

რაც შეეხება ელენე ჯიბლაძეს, ამ ქალბატონმა მოიფიქრა, მოდი, თვალში ნაცარს შევაყრი პრემიერ-მინისტრს, პარლამენტს, საზოგადოებას, სოციალურ პარტნიორებსო და უეცრად, შეთანხმების გარეშე, 2014 წლის 5 ნოემბერს დაავალა რიგ საჯარო პროფესიულ კოლეჯებს, რომ განეხორციელებინათ მცირევადიანი კურსების მოდულების პილოტირება. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, სამინისტროს ხელშეწყობით, მხოლოდ 2014 წელს გაანაავა ბიუჯეტიდან გამოყოფილი 1,6 მილიონი ლარი. ამის შემდეგ, როგორ გგონიათ, ელენე ჯიბლაძემ პასუხი არ უნდა აგოს?

– თუ მართლაც ასეა, განათლების სამინისტროსაც მოეთხოვება პასუხი. ისე, ბატონო დენის, ეს საკმაოდ მძიმე ბრალდებაა და ამის დამადასტურებელი საბუთები გაქვთ?

– რა თქმა უნდა, მაქვს, აბა, უდანაშაულო ადამიანს ცილი რატომ უნდა დავწამო? ფაქტი სახეზეა: პროფესიული განათლების ხარისხის დონე დაბლა იწევს და თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, კოლეჯებმა მუშაობა შეწყვიტონ. თბილისის საქალაქო სასამართლომ, 2014 წლის 28 ნოემბერს, 48-ე ბრძანების მოქმედება შეაჩერა, მაგრამ ყველას ისიც კარგად ახსოვს, რომ დეკემბერში, პროექტის პრეზენტაციის დროს, ჯიბლაძე და განათლების მინისტრის მოადგილე ნატრიაშვილი ტრაბახით არწმუნებდნენ კოლეჯის სტუდენტებს, რომ იანვრიდან აღდგებოდა სასამართლოს მიერ შეჩერებული მცირევადიანი მოდულური კურსების პილოტირება, თუმცა დაპირება დაპირებად დარჩა. მოიზიდეს ვითომ დამსაქმებლის წარმომადგენლები და დაავალეს, შექმენით ჯგუფები საამშენებლო ორგანიზაციებიდანო. როგორც ვიცი, მშენებლებს სათავეში პროფესიით ექიმი ჩაუყენეს, მისი ხელმძღვანელობით უნდა შემუშავებულიყო პროფესიული სტანდარტი სამშენებლო საქმისთვის. მსგავსი შემთხვევა არაერთი იყო... მოკლედ, ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფულით კარგი დრო ატარეს.

– რას გულისხმობთ?

– მაგალითად, 20-კაციან ადმინისტრაციაზე 1 600 ლარი ისე გაწერეს, რომ პრემიერის ბრძანება ვერ განხორციელდა. ეს აფერისტობაა. ამიტომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მივმართეთ, რომელმაც ჩვენი სარჩელი წარმოებაში მიიღო და 688-ე ბრძანების მოქმედება შეაჩერა.

– ეს გადაწყვეტილება ბევრს გააბრაზებდა...

– დიახ, ამის მერე ატყდა ერთი ამბავი, გამოიძახეს კოლეჯის დირექტორები. დაუმორჩილებელ დირექტორებს სათავეში ბატონი კახა ერაძე ჩაუდგა და განაცხადეს, რომ არ ემორჩილებიან სასამართლოს და პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებას. გარდა ამისა, ერაძემ სხვა კოლეჯის დირექტორებსაც შესთავაზა, ჩემს ბიზნეს-აკადემიაში გავაგრძელებ შეჩერებული პილოტირების განხორციელებასო.

– ამის შემდეგ მოვლენები როგორ განვითარდა?

– 2014 წლის 3 დეკემბერს, კოლეჯების დირექტორებმა ბრიფინგი ჩაატარეს და მიმართეს პარლამენტს, სახალხო დამცველს, გვიშველეთო. ესენი არიან მენეჯერები, რომლებმაც, წესით, კარგად უნდა იცოდნენ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას ყველა ემორჩილება. განათლების ეროვნულმა ცენტრმა კი, პრემიერის ბრძანება უნდა შეასრულოს, ანუ უნდა მოხდეს ხანგრძლივი პილოტირება და არა – ორთვიანი სწავლება.

– კარგა ხანია, არსებულ დარღვევებზე ხმამაღლა საუბრობთ. პრემიერ-მინისტრს წერილიც კი მისწერეთ. რეაქცია არ ყოფილა?

– პრემიერ-მინისტრმა სამი მინისტრის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანდასწრებით ორჯერ განმიცხადა, ქალბატონმა სანიკიძემ გუშინაც მომატყუაო.

– რა მოატყუა?

– ტყუის სანიკიძე, როდესაც აღნიშნავს, რომ დანიშვნიდან მოკლე დროში შეასრულა წინა მთავრობის მიერ ვერშესრულებული ევროკავშირის ყველა ვალდებულება. ის ამბობს, რომ გასამმაგდა პროფესიული განათლების ბიუჯეტი. არადა, ცნობილია, რომ 2015 წელს ბიუჯეტი შემცირებულია 2,2 მილიონი ლარით. სანიკიძე პრემიერს უმტკიცებს, რომ 2013 წლიდან, სახელმწიფო სრულად აფინანსებს პროფესიულ განათლებას, სინამდვილეში, ამ მხრივ საქმე ადრე უფრო კარგად იყო: წინა წლებში, ბიუჯეტი აფინანსებდა მოსწავლეებისა და სტუდენტების კვებას, აძლევდა სტიპენდიას. ასევე სარგებლობდნენ უფასო საერთო საცხოვრებლით. ეს შეღავათები აღარ არსებობს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სანიკიძე დადებითად აფასებს მათ მიერ შემუშავებული დაფინანსების ახალ მოდელს, რომელსაც მრავალი ხარვეზი აქვს.

– კერძოდ?

– ამგვარი დაფინანსება ვერ უზრუნველყოფს პედაგოგების ერთგვაროვან ხელფასს, ზოგს საათში 8 ლარს უხდიან, ზოგს კი, – 22, ეს სამართლიანი მოპყრობაა პედაგოგების მიმართ? სანიკიძეს თავი მოსწონს, 2013-14 წლებში უფასო პროფესიული განათლებით 18 000-მდე პირმა ისარგებლაო, მაგრამ რაც მთავარია, იმაზე დუმს, ე.წ. პროფესიული ტესტირების შედეგად, 28 000 მსურველიდან 10 000 კოლეჯის მიღმა რომ დარჩა. ევროპის ქვეყანაში, ბავშვებს კოლეჯში მისაღებად გამოცდებს არ უტარებენ. ამათ კი, ამდენი გამოცდის მოწყობით, ბავშვები დააშინეს. კერძო კოლეჯების დირექტორებს სანიკიძე და ნატრიაშვილი კარგა ხანია, ატყუებენ, რომ ნაწილობრივ საბიუჯეტო დაფინანსებაზე გადაიყვანენ. სრული ქაოსი და განუკითხაობაა, ზოგიერთ კოლეჯში სასწავლო წელი არც დაწყებულა, თუმცა ეგ გასაკვირი არცაა, რადგან დღემდე ერთი პროფესიული სტანდარტიც არაა დამტკიცებული. მეორე წელია, განათლების სამინისტრომ ვერ შეიმუშავა შენიშვნები და დამატებები პროფესიული განათლების კანონისთვის. ამგვარ დარღვევებზე უსასრულოდ შეიძლება ლაპარაკი, თან ყველაფერი ეს დასაბუთებულია დოკუმენტებით და ეს მასალები პრემიერ-მინისტრს პირადად გადავეცი. მან საქმის მოკვლევა ადმინისტრაციას დაავალა, რომელიც დამიკავშირდა და ყველა საკითხი განვიხილეთ, მაგრამ ამდენი ხნის განმავლობაში, სამართლიანობა მაინც არ აღმდგარა. სანიკიძე ვერ ხვდება, რომ კოლეჯის ამოქმედებისთვის მხოლოდ მისი გახსნა არაა საკმარისი. საქმე გვაქვს ჩამოყალიბებულ ცრუპენტელებთან. განათლების მინისტრი სანიკიძე და მისი მოადგილე, ნატრიაშვილი არაფერს აკეთებენ. როგორც ჩანს, ჯერ იმის დრო არ დამდგარა, რომ პრემიერ-მინისტრმა სანიკიძე გაუშვას, თუმცა განაცხადა, თუ იქნება არგუმენტირებული მტკიცებულებები, მაშინ გადაწყვეტილებას მივიღებო. სანიკიძის წინააღმდეგ საკმარისი მტკიცებულებები მაქვს!

– როგორც ჩანს, პრემიერის ადმინისტრაცია თქვენს მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს ჯერ ისევ სწავლობს...

– არ ვიცი, იქ რა ხდება, მაგრამ მინდა, პრემიერს კიდევ ერთხელ შევახსენო, რომ მისი ბრძანების საწინააღმდეგოდ განათლების სამინისტრომ, ნებით თუ უნებლიეთ, დაუმორჩილებლობა გამოუცხადა და პრემიერის სახელი შელახა!

2014 წლის 6 დეკემბერს, პრემიერმა ხელი მოაწერა მთავრობის დადგენილებას ეროვნული პროფესიული საბჭოს დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. მას გაყალბებული ოქმი წარუდგინეს, ვითომ ეროვნული პროფესიული საბჭოს სხდომაზე მოხდა მსჯელობა და მიიღეს დებულების ცვლილებები. ეს მტკნარი სიცრუეა. ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია კანცელარიაში უკვე წარვადგინე. გარდა ამისა, 31 დეკემბერს, პრემიერს ხელი მოაწერინეს მთავრობის განკარგულებაზე, რომ მოწონებული ყოფილიყო პროფესიული კოლეჯის კონცეფცია. ეს რომ წავიკითხე, ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. 17 ნოემბერს საკრებულოს ახალ დარბაზში მოხდა განათლების ახალი სტრატეგიის პრეზენტაცია, რომელიც 2025 წლამდეა გათვლილი. ამ ღონისძიებას ვესწრებოდი, დაავალეს მთელ საზოგადოებას, რომ აგვისტოს ბოლოს დამტკიცებულიყო ახალი სტრატეგია და ამის შემდეგ, დავიწყოთ მუშაობა სამოქმედო გეგმაზეო, თუმცა დღემდე ერთი დოკუმენტიც არაა მიღებული. ასე იხანგრძლივებენ თანამდებობას სანიკიძე და მისი მოადგილე.

– ბატონო დენის, გამოსავალს რაში ხედავთ?

– თამარ სანიკიძის პირობებში, ამ სისტემას არაფერი ეშველება. განათლების სამინისტროში ისევ კოჰაბიტაციის პროცესი მიმდინარეობს – „ნაციონალების“ კადრები ისევ მუშაობენ, უფრო მეტიც, ისინი დაწინაურებულები არიან და საკვანძო თანამდებობებს იკავებენ. ამიტომაც ამუხრუჭებენ კოლეჯების პედაგოგებისთვის ხელფასების მომატებას, ბიუჯეტი ისეა დამტკიცებული, რომ 2015 წელს ასაშენებელი სახელოსნოების ერთი პროექტიც არაა დადებული. ერთადერთი გამოსავალი ისაა, რომ სანიკიძე მარგველაშვილმა უკან, „ჯიპა“-ში დააბრუნოს. ჯერ იყო და, განათლების სისტემა მარგველაშვილმა დაღუპა, ახლა კი მის გზას სანიკიძე და ნატრიაშვილი აგრძელებენ!

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲜᲐᲗᲘᲐ ᲚᲔᲒᲐᲜᲘᲫᲔ

14 № 6 (270) 11-17 თებერვალი 2015

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲒᲐᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲞᲔᲪᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲔᲢᲐᲚᲔᲑᲘ ᲐᲤᲠᲐᲡᲘᲫᲔᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐᲨᲘ

2004 წელს, 24 მარტს, სვანეთში, სოფელ ეცერში „ნაციონალურმა“ ხელისუფლებამ სამაგალითო სპეცოპერაცია ჩაატარა – დილით ადრე, მთელი საქართველო უყურებდა ფილმს „ბოევიკებზე“, სადაც მთავარ როლს შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრი გიორგი ბარამიძე ასრულებდა. ორი მოკლული, ერთი მძიმედ დაჭრილი, შოკისგან გარდაცვლილი მეზობელი ქალბატონი, მასიურ დაბომბვას და ტყვიების წვიმას სასწაულად გადარჩენილი დამფრთხალი, დაშინებული ბავშვები, რომელთა დედაც ფსიქიურად შეირყა, გადამწვარი სახლ-კარი, ღია ცის ქვეშ დარჩენილი მოხუცი ქალი და ოთხი ბავშვი, ოც წლამდე პატიმრობაშეფარდებული ოჯახის გადარჩენილი მამაკაცები – ასე დამთავრდა ეცერში ჩატარებული სპეცოპერაცია, რომელიც „ნაციონალებმა“ წარმატებულად მონათლეს... საქმეში ჩახედულნი ამბობენ, რომ სწორედ იმ დღიდან დაიწყო საქართველოს მოსახლეობის დაშინება-დაშანტაჟება... ზურა ვაზაგაშვილის მკვლელობის გახსნის შემდეგ, გაჩნდა მოლოდინი, რომ მალე შესაძლოა, „აფრასიძეების საქმეც“ გაიხსნას. ამასთან, კულუარებში მუსირებს აზრი, რომ მთავარი პროკურატურა დღედღეზე პარლამენტს მიმართავს და გია ბარამიძისთვის იმუნიტეტის მოხსნას მოითხოვს... „ქართული სიტყვა“ აფრასიძეების ადვოკატ ირმა ჭკადუას ესაუბრა, რომელიც ირწმუნება, რომ „არავის არაფერი შერჩება“...



სად არის პატიმროებიდან გათავისუფლებული ვოვა მურავიოვი, რომელმაც აფრასიძეები „ჩაუშვა“

„...ᲐᲤᲠᲐᲡᲘᲫᲔᲔᲑᲘᲡ ᲔᲖᲝᲨᲘ ᲝᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲘᲓᲒᲐ... ᲡᲞᲔᲪᲠᲐᲖᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲓᲐᲜ ᲘᲡᲠᲝᲓᲜᲔᲜ, ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲘ ᲔᲕᲒᲔᲜᲘ ᲐᲤᲐᲠᲐᲡᲘᲫᲔ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲛᲐ ᲨᲘᲜ ᲨᲔᲐᲗᲠᲘᲔᲡ, ᲒᲝᲩᲐ ᲐᲤᲠᲐᲡᲘᲫᲔᲛ ᲫᲛᲘᲡᲨᲕᲘᲚᲘ, 10 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲘᲭᲘ ᲤᲐᲜᲯᲠᲘᲓᲐᲜ, ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲘᲡ ᲔᲖᲝᲡᲙᲔᲜ ᲒᲐᲓᲐᲘᲡᲠᲝᲚᲐ... ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲝᲩᲐ ᲓᲐ ᲨᲛᲐᲒᲘ ᲐᲤᲠᲐᲡᲘᲫᲔᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ ᲓᲐ ᲝᲠᲚᲝᲑᲔᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲐᲧᲔᲜᲔᲡ – ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲘᲡ ᲯᲔᲠᲘᲗ ᲓᲐᲪᲮᲠᲘᲚᲔᲡ. ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ, ᲔᲥᲘᲛᲛᲐ ᲩᲐᲛᲝᲘᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲛᲝᲐᲩᲘᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲓᲘᲐᲚᲐᲒᲐᲓᲐᲤᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲒᲝᲩᲐᲡ ᲞᲣᲚᲡᲘ ᲔᲡᲘᲜᲯᲔᲑᲝᲓᲐ. ᲯᲔᲠ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ, ᲪᲘᲮᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲧᲕᲐᲜᲘᲚ ᲒᲝᲩᲐ ᲐᲤᲠᲐᲡᲘᲫᲔᲡ ᲐᲮᲚᲝ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲘᲓᲐᲜ Ე.Წ. ᲨᲢᲘᲙ-ᲜᲝᲩᲘᲗ ᲤᲘᲚᲢᲕᲨᲘ ᲨᲔᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲝᲠᲘ ᲒᲐᲛᲭᲝᲚᲘ ᲭᲠᲘᲚᲝᲑᲐ ᲐᲦᲔᲜᲘᲨᲜᲔᲑᲝᲓᲐ. ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ ᲐᲡᲔᲗᲘᲐ: ᲒᲝᲩᲐᲡ ᲛᲘᲖᲐᲜᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ... ᲗᲐᲕᲡ ᲓᲐᲔᲡᲮᲜᲔᲜ ᲥᲐᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲪᲘᲠᲔᲬᲚᲝᲕᲐᲜ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ, ᲘᲜᲢᲔᲜᲡᲘᲣᲠᲘ ᲡᲠᲝᲚᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ, ᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓᲐᲪ, ᲨᲘᲨᲘᲡ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲖᲔ, ᲛᲔᲖᲝᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ. ᲔᲕᲒᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ ᲬᲐᲣᲙᲘᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲨᲘ�გ ᲐᲛᲝᲘᲬᲕᲐ“.

– ირმა, აფრასიძეების საქმის გააქტიურება წინასაარჩევნო ფაციფუცი ხომ არ არის?

– არა, ნამდვილად არა. 2012 წლის 1 ოქტომბრის მერე, მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა – შემთხვევის ადგილის დათვალიერება, სხვადასხვა სახის ექსპერტიზა, რამდენიმე ათეული ადამიანიც დაიკითხა, მაგრამ ძიება შეჩერდა და ბოლო დროსღა გაგრძელდა. სულ რამდენიმე საგამოძიებო პროცედურაა დარჩენილი, რისი შესრულებაც კლიმატურ პირობებს უკავშირდება.

– რას ნიშნავს „კლიმატური პირობები“?

– ახლა სვანეთში დიდი თოვლია. მართალია, სოფელ ეცერში აფრასიძეების ნამოსახლარიღაა, მაგრამ დღესაც მოიძებნება სამხილები და მტკიცებულებები, რაც გამოძიებას წაადგება. ვიმეორებ, რამდენიმე საგამოძიებო პროცედურა და აფრასიძეებზე თავდასხმის საქმე გახსნილად გამოცხადდება. სხვათა შორის, ეს საქმე, თავისი მასშტაბითა და რეზონანსულობით, ერთადერთი და უპრეცედენტოა, რადგან ყველას ახსოვს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის განცხადება, რომელიც 2009 წელს, „რედისონ ბლუ ივერიის“ გახსნისას, ყაზახი სტუმრების თანდასწრებით გააკეთა, ჩაცხრილვის ბრძანება მე გავეცი.

– ამ განცხადებამ საქმეში რა შეცვალა?

– რა და, გამოძიების ოფიციალური ვერსია თავდაყირა დააყენა. როგორც ხელისუფლება აცხადებდა, აფრასიძეები იმის გამო დახოცეს, რომ დაკავების დროს წინააღმდეგობა გაუწიეს და ძალოვანებმა საპასუხო ცეცხლი გახსნეს. მიხეილ სააკაშვილმა კი განაცხადა, რომ აფრასიძეების ლიკვიდაციის ბრძანება თავად გასცა. ეს ქვეყნის პრეზიდენტმა ისე თქვა, რომ შეკითხვაც არავის დაუსვამს.

– ამ საქმის გამომძიებელი ბათუ საღინაძე ამტკიცებდა, რომ გატაცებული ლევან კალაძე და მარიამ გოგინაშვილი აფრასიძეებთან ცხოვრობდნენ.

– ბათუ საღინაძის მოსაზრებები არ დადასტურდა, თუმცა სპეცოპერაციის შემდეგ მთავარი პროკურორიც ამტკიცებდა, გათხრების შედეგად, აფრასიძეების საგვარეულო სასაფლაოზე ლევან კალაძისა და მარიამ გოგინაშვილის გვამები იპოვესო.

– საფლავების გათხრის შედეგად, ექსპერტიზამ სინამდვილეში, რა დაადგინა?

– ექსპერტიზამ არ დაადასტურა, რომ იქ კალაძისა და გოგინაშვილის გვამები იყო. საგვარეულო საფლავიდან ორმოცზე მეტი გვამი ამოიღეს, ტომარაში მოათავსეს და თბილისში ჩამოიტანეს. მოგვიანებით კი, ექსპერტიზის მერე, ეცერის მისასვლელთან დაყარეს – ისიც არ იკადრეს, რომ დაეკრძალათ. მოსახლეობამ დაასაფლავა.

რაც შეეხება აფრასიძეების გვამებს, მათ ექსპერტიზა არ ჩატარებია.

– „ნაციონალები“ და, განსაკუთრებით, გიორგი ბარამიძე, რომელიც მაშინ შს მინისტრი იყო და სპეცოპერაციას ხელმძღვანელობდა, დღემდე დაჟინებით ამტკიცებენ, რომ ეცერის სპეცოპერაცია კანონის ფარგლებში ჩატარდა. ამასთან, ბარამიძის თქმით, არაფერს ნანობს...

– „ნაციონალებთან“ კანონზე, ზნეობასა და მორალზე ლაპარაკი ძალიან ძნელი იყო და ახლაც ასეა!

აფრასიძეების ეზოში ორი სახლი იდგა... სპეცრაზმელები ყველა სახის იარაღიდან ისროდნენ, დაჭრილი ევგენი აფარასიძე შვილებმა შინ შეათრიეს, გოჩა აფრასიძემ ძმისშვილი, 10 წლის ბიჭი ფანჯრიდან, მეზობლის ეზოსკენ გადაისროლა... სახლიდან გოჩა და შმაგი აფრასიძეები გამოიყვანეს და ორღობესთან დააყენეს – ავტომატის ჯერით დაცხრილეს. ბრძოლის დამთავრების შემდეგ კი, ექიმმა ჩამოიარა და აღმოაჩინა, რომ ადიალაგადაფარებულ გოჩას პულსი ესინჯებოდა.

– გოჩა გადარჩა...

– ჯერ ქუთაისის და მერე, ციხის საავადმყოფოში გადაყვანილ გოჩა აფრასიძეს ახლო მანძილიდან ე.წ. შტიკ-ნოჟით ფილტვში შემავალი ორი გამჭოლი ჭრილობა აღენიშნებოდა. დასკვნა ასეთია: გოჩას მიზანმიმართული დაზიანება განხორციელდა.

ამასთან, თავს დაესხნენ ქალებს და მცირეწლოვან ბავშვებს, ინტენსიური სროლა მიმდინარეობდა ორივე სახლის მიმართულებით, რის შედეგადაც, შიშის ნიადაგზე, მეზობელი ქალბატონი გარდაიცვალა. ევგენის სახლს ცეცხლი წაუკიდეს და ჯერ კიდევ ცოცხალი კაცი შიგ ამოიწვა.

აფრასიძეების რძალი, ინდირა ამ ამბის გამო ფსიქიურად დაავადდა – მისი ვაჟი ბაბუასთან იძინებდა ხოლმე და ეგონა, ისიც ბაბუასთან ერთად იწვოდა. სპეცრაზმელმა ქალი შინ არ შეუშვა... დღეს ინდირა ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტია – ხანდახან ოჯახში ბრუნდება, მაგრამ მისი მდგომარეობა იმდენად სავალალოა, რომ ბავშვებთან მისი ახლოს ყოფნა საშიშიცაა.

სროლა შეწყდა... სპეცრაზმელები ძარცვას შეუდგნენ – სახლიდან ტომრები გაიტანეს... გარდაცვლილ ომეხ აფრასიძეს გულზე ფეხი დააბიჯეს და ოქროს ჯაჭვი ისე ააგლიჯეს. თითიდან ბეჭედი რომ ვერ წააძვრეს, თითი მოაჭრეს. შემდეგ, შსს-ში ეს ოქროს ნივთები შმაგის აჩვენეს... ყველაფერ ამას, ბავშვთან ერთად, მთელი სოფელი უყურებდა... 80 წლის მოხუცი ქალბატონი ქუჩაში დარჩა ავადმყოფ რძალსა და ოთხ შვილიშვილთან ერთად. დაპატიმრებული გოჩა აფრასიძე ლამის დაბრმავდა, რადგან თვალზე ოპერაცია მანამ არ გაუკეთეს, ვიდრე ევროსასამართლოს წარმომადგენლებმა არ მიუთითეს.

– ირმა, თქვენი ვერსიით, ამ სპეცოპერაციის ნამდვილი მიზანი რა იყო?

– ვერ გეტყვით... ოჯახი არასოდეს უარყოფდა, რომ ომეხი ნასამართლევი იყო, მესტიაში ჩვეულებრივად გადაადგილდებოდა, ნარკოტიკებს მოიხმარდა და ხშირად მანქანაში ეძინა. მის დაკავებას, რეალურად, ორი პოლიციელიც ეყოფოდა. ერთი თვით ადრე, მასთან მოლაპარაკებებს ბატონი ვახტანგ ჯაფარიძე, შს მინისტრის ყოფილი მოადგილე აწარმოებდა და ამ მოლაპარაკებებისას, ომეხი კალაძის საქმეში მონაწილეობას უარყოფდა.

ცოცხალი ომეხი არ სჭირდებოდათ – როგორც ჩანს, ვიღაცას სიმართლე არ უნდა გაეგო. ამიტომაც დაასწრეს და სპეცოპერაცია ჩაატარეს. აპირებდნენ, ამოეხოცათ აფრასიძეები და კალაძე-გოგინაშვილის საქმე გახსნილად გამოეცხადებინათ, თუმცა იმ აზრისგან, რომ კალაძის საქმე გახსნილია, შორს ვარ.

სვანებს სხვა ტრადიციები აქვთ, სხვაგვარი ადამიანური პატივისცემა იციან. ყაჩაღობაში, გაუპატიურებასა და მკვლელობაში ბრალი აფრასიძეების ოჯახის ერთ წევრსაც არ დასდებია. ომეხი ხულიგნობისთვის იყო ნასამართლევი. ევგენი აფრასიძე კი ისე მოკლეს და საკუთარ სახლში დაწვეს, რომ წინააღმდეგობის გაწევა არ დაფიქსირებულა.

– როგორც ვიცი, ეს საქმე ევროსასამართლომ განხილვაში მიიღო...

– დიახ, ევროსასამართლოში დევს საქმე – „აფრასიძეები საქართველოს წინააღმდეგ“, რომელშიც მოცემულია ფაქტები, თუ როგორ გაუნადგურა სახელმწიფომ მოქალაქეს კერძო საკუთრება და მოხუცი ქალი ოთხი ბავშვით ღია ცის ქვეშ, კომპენსაციის გარეშე დატოვა... დოდო აფრასიძე მეზობლის ძროხას უვლიდა, რათა ბავშვებისთვის, რომელთაც ბაბუა და ბიძა მოუკლეს, დაუპატიმრეს, დედა კი ამდენი უბედურებით ჭკუიდან შეიშალა, ერთი ჭიქა რძე მიეტანა...

– მიხეილ სააკაშვილის ზემოხსენებული განცხადების მერე, ევროსასამართლოში საჩივარი ხელახლა შეიტანეთ?

– როგორც კი სააკაშვილმა განცხადება გააკეთა, მისი გამოსვლა, როგორც აღიარებითი ჩვენება, საქმეს დავურთეთ და სტრასბურგის სასამართლოს ხელახლა მივმართეთ. პარალელურად პრეზიდენტის იმპიჩმე-

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-15 ᲒᲕ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

11-17 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ 2015 | № 6 (270) | 15

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲢᲣᲤᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გახმაურებული სპეცოპერაცია

მე-14 გვერდიდან

ნტი მოვითხოვეთ.

როგორ წარმოგიდგენიათ, აშშ-ის ან ევროპის რომელიმე პრეზიდენტმა მსგავსი განცხადება რომ გააკეთოს და აღიაროს, სპეცოპერაციის ბრძანება გავეცი, რაც დამნაშავის დაკავებას კი არა, მიზანმიმართულ განადგურებას ნიშნავს, რა მოხდება?

— ევროსასამართლოში სარჩელის შეტანის მერე დიდი დროა გასული. სათანადო რეაგირება კი ჯერ არ მომხდარა. რატომ?

— ევროსასამართლომ სარჩელი მიიღო, განიხილა და საქართველოს სახელმწიფო დაავალდებულა, რომ გოჩა აფრასიძისთვის სამედიცინო დახმარება გაეწია, რომელსაც მხედველობის შესანარჩუნებელი მკურნალობა სჭირდებოდა. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის, სოზარ სუბარის მეცადინეობით, გოჩა კლინიკაში გადაიყვანეს, მაგრამ სამწუხაროდ, მეორე თვალის შენარჩუნება ვერ მოხერხდა.

— მიხეილ სააკაშვილსა და სპეცოპერაციის ჩამტარებლებს მკაცრად ჩამოყალიბებული აზრი აქვთ. ადვოკატებს თუ გამოგხმაურებიან?

— სააკაშვილი არა, მაგრამ მისი გარემოცვა პრესით აჟღერებდა, აფრასიძეების ადვოკატებს კბილებში მოხვდებათო. იყო სატელეფონო და პირდაპირი მუქარებიც. ყველაზე დიდი ზეწოლა კი ის გახლდათ, რომ სასამართლო პროცესები არასწორად მიდიოდა — ჩვენი საჩივრები, პრაქტიკულად, არ კმაყოფილდებოდა.

ქუთაისის სასამართლომ კი, უპრეცედენტო განაჩენი გამოიტანა — აღნიშნული პირები დაცვის გარეშე დატოვა და ადვოკატების გარეშე გაასამართლა, ანუ აფრასიძეებსა და მათ ოჯახში მცხოვრებ რუსი ეროვნების პირს, ვოვა მურავიოვს, რომელიც მასპინძლებს დანაშაულში ამხელდა, ერთი სახაზინო ადვოკატი იცავდა.

— მურავიოვი რას ამბობდა?

— ჩვენებაში წერდა, რომ აფრასიძეების სახლში ცოცხალი ლევან კალაძე და მარიამ გოგინაშვილი ნახა და სამართალდამცავებს ვითომ მათი სამარხიც აჩვენა.

— მურავიოვი ახლა სადაა?

— საპატიმროდან გათავისუფლდა.

— ისევ საქართველოშია?

— დიახ, საქართველოშია — წალკაში აფრასიძეებთან ცხოვრობს.

— რას ამბობთ? აფრასიძეებმა შეუნდეს?

— მურავიოვი მსხვერპლი იყო, აფრასიძეები ისეთი სისხლისმსმელები არ არიან, როგორც ამას „ნაციონალების“ ლიდერები ამტკიცებდნენ, რომ მათი შიშით სვანეთში თითქოს ჩიტებიც ვერ დაფრინავდნენ. დიახ, შეუნდეს. დოდო ციხეში, როგორც ბიჭებს, ასევე, მურავიოვსაც აკითხავდა.

— მურავიოვს თქვენც შეხვედრიხართ?

— როცა პატრიარქმა რუსთავის კოლონიაში პატიმრები მოინახულა, უწმინდესს მეც ვახლდი და ვნახე მურავიოვი. სამოცი წლის მამაკაცია, საკმაოდ მხნედ გამოიყურება.

— განახლებულ გამოძიებაში ისევ ის პროკურორები ფიგურირებენ?

— არა... სულ სხვა პროკურორები გვპირდებიან, რომ განაჩენი მალე დადგება.

— როგორ ფიქრობთ, ირმა, მთავრობა მოტივირებულია, რომ ეს გახმაურებული საქმე გამოიძიოს?

— პროკურატურის ადვოკატად არ გამოვდგები, მაგრამ შემიძლია, ვთქვა, რომ ეს ის შემთხვევაა, როცა პროკურატურა მტკიცებულებების მოსაპოვებლად ყველა ხერხს მიმართავს.

— გამოძიებას მიხეილ სააკაშვილის ჩვენება დასჭირდება?

— მის დაკითხვას 2009 წლის მერე, როცა ოფიციალური ვერსია თავდაყირა დააყენა, ვითხოვთ. ვიმეორებ: სააკაშვილმა ამ თემაზე ლაპარაკი ისე დაიწყო, რომ შეკითხვა არავის დაუსვამს, მაგრამ ეტყობა, ეცერის ტრაგედია შინაგანად აწუხებდა და ლაპარაკი სპონტანურად დაიწყო. ვფიქრობ, უფალს ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყავს ადამიანები სიმართლემდე და დანაშაულს აღიარებინებს.

— გიორგი ბარამიძე ყველა ბრალდებას თავიდან იცილებს და ავადსახსენებელი კუბდარის ისტორია დღესაც ცუდ განწყობაზე აყენებს...

— დაახლოებით, ორმოცდაათი ადამიანია კუბდარის ამბის მომსწრე და თვითმხილველი. ხალხს ისიც კი ახსოვს, ბარამიძეს რა ეცვა, ხელებს როგორ იფშვნეტდა, მერე კი, ცეცხლზე ითბობდა. ბოლოს, იქვე შეკრებილთ გადახედა და თქვა, აქ კარგი კუბდარი და სულგუნი იცით, წადით და ახლავე მოიტანეთო.

— თავის დროზე ბარამიძე ამბობდა, აფხაზეთის ომის მერე, მთელი სვანეთი იარაღითაა გაძეძგილიო. აფრასიძეებს იარაღი ჰქონდათ?

— სისხლის სამართლის საქმეში აფრასიძეების წინააღმდეგ არც ერთი სახის იარაღი არ ფიგურირებს.

— არც სანადირო თოფი?

— არც სანადირო თოფი. საინტერესოა, რითი გაუწევდნენ წინააღმდეგობას? შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების ქვედანაყოფების 1 200 კაცი და თორმეტი ვერტმფრენი ავიდა სოფელ ეცერში სპეცოპერაციის ჩასატარებლად. ადგილზე იყვნენ შს მინისტრი გიორგი ბარამიძე, გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი და ვანო მერაბიშვილი. ოფიციალური მონაცემებით, ტამიშის ბრძოლებში მონაწილეობას რვაასი ადამიანი იღებდა. აფრასიძეების წინააღმდეგ კი, შინაგან საქმეთა სამინისტროს და უშიშროების ქვედანაყოფები მონაწილეობდნენ. საქართველოში არსებული ყველა ძალოვანი სტრუქტურის დემონსტრირება მოახდინეს სოფელში, სადაც სულ თხუთმეტი ოჯახი ცხოვრობს...

— ოპერაციის მონაწილეთაგან მოწმის სტატუსით ვინმე დაიკითხება?

— აუცილებლად. გამოძიება, პრაქტიკულად, ადგილზე იყო გაყინული, ზღვა სამუშაოები ჩატარდა. სპეცოპერაციის დამთავრების მერე, სოფლის 16 წელს ზემოთ მამაკაცები სატვირთო „კამაზებში“ ჩაყარეს და ზუგდიდში ჩაიყვანეს, საპყრობილეში შეყარეს და მათი დამუშავება დაიწყეს. ვინც ვერ დაითანხმეს, ნარკოტიკი ჩაუდეს, დაემუქრნენ, დააშანტაჟეს და გააფრთხილეს, მომხდარის შესახებ ის ეთქვათ, რასაც ეტყოდნენ.

— სპეცოპერაციის შემდეგ, სოფელი ვინმემ ხომ არ დატოვა?

— არა...

ციხიდან გამოსულ აფრასიძეებს გადამწვარი და გაუდაბურებული სახლ-კარის აღდგენა სურდათ, მაგრამ თითზე გადასახვევი არაფერი დარჩათ, სახლში ყველაფერი დალეწილია, ქვაბებიც კი დახვრეტილია, ჭურჭელიც. ტყვიამფრქვევებით „მუშაობდნენ“.

— სააკაშვილი ამ სპეცოპერაციას თავისი მოღვაწეობის „გმირულ ფურცლად“ მიიჩნევდა...

— „ნაციონალებს“ ისეთი პიარი ჰქონდათ, რომ ასეთ რამეებს კარგად „ჰყიდდნენ“ — ხალხი მათი „გმირობით“ მონუსხული იყო. ევროკავშირისა და დიპლომატიური კორპუსების წარმომადგენლები კი, აღშფოთებას არ გასცდენიან. ხომ წარმოგიდგენიათ, ასეთი ტიპის სპეცოპერაციები და ყოველ მეორე ოჯახში პატიმარი, ან პრობაციონერი რომ ყოფილიყო ევროკავშირის ქვეყნებში, რა განწყობაზე იქნებოდა იქაური მოსახლეობა?!

— საპარლამენტო უმცირესობა დროდადრო ყიჟინას სცემს და კატეგორიულად მოითხოვს გახმაურებული საქმეების გამოძიებას...

— არა მარტო მოგვიწოდებენ, არამედ, გვასწავლიან კიდეც, თუ როგორ გამოვიძიოთ გახმაურებული საქმეები. „ქართული ოცნება“ აცხადებდა, რომ ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნა სამართლიანობის აღდგენისა თუ დამკვიდრების პროცესს ხელს შეუწყობდა. მიმაჩნია, რომ თუ ეს კომისია არ შეიქმნა, მთავრობა ცუდად დაამთავრებს. მართალია, პოლიტპატიმრები აღიარეს, მაგრამ მათი უკანონო განაჩენების გადახედვა არ მომხდარა.

— აფრასიძეების საქმე „ნაციონალების“ სახეა?

— რასაკვირველია. ამით დაიწყო „ნაცმოძრაობის“ ტერორისტული აქტების განხორციელება საქართველოს მოსახლეობაზე, ქუჩური ომები, სახლებში „შევარდნები“ და ნახევრად შიშველი ადამიანების დაპატიმრება. მართალია, მთავრობას მძიმე მემკვიდრეობა ერგო, მაგრამ დამნაშავეებთან კოჰაბიტაცია ქვეყანას და სამართალს არ წაადგება.

— რა სამართალი უნდა აღდგეს აფრასიძეების საქმეში?

— სწორად უნდა დაკვალიფიცირდეს, ეს მიზანმიმართული სპეცოპერაცია იყო თუ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და გადაჭარბება. ასევე, ლაპარაკია საკუთრების ხელყოფაზე.

— საქმის გარშემო ახალი გარემოებები გამოიკვეთა?

— ბევრი ახალი გარემოება და მოწმეცაა, მაგრამ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ამაზე ლაპარაკის უფლება არ მაქვს.

— აფრასიძეები არ გაბოროტებულან?

— რომ გაბოროტებულიყვნენ, სხვა შედეგი იქნებოდა. იმაზე მეტი რა უბედურება უნდა დამართნოდათ, რაც დაემართათ? — ჯალათები და სისხლისმსმელები რომ ყოფილიყვნენ, შურს იძიებდნენ, მაგრამ გამოძიების შედეგებს მშვიდად და მოწიწებით ელიან.

ესაუბრა ნათია გოგიტიძე

„ოჯახი არასოდეს უარყოფდა, რომ ომეხი ნასამართლევი იყო, მესტიაში ჩვეულებრივად გადაადგილდებოდა, ნარკოტიკებს მოიხმარდა და ხშირად მანქანაში ეძინა. მის დაკავებას, რეალურად, ორი პოლიციელიც ეყოფოდა. ერთი თვით ადრე, მასთან მოლაპარაკებებს ბატონი ვახტანგ ჯაფარიძე, შს მინისტრის ყოფილი მოადგილე აწარმოებდა და ამ მოლაპარაკებებისას, ომეხი კალაძის საქმეში მონაწილეობას უარყოფდა... ცოცხალი ომეხი არ სჭირდებოდათ — როგორც ჩანს, ვიღაცას სიმართლე არ უნდა გაეგო. ამიტომაც დაასწრეს და სპეცოპერაცია ჩაატარეს. აპირებდნენ, ამოეხოცათ აფრასიძეები და კალაძე-გოგინაშვილის საქმე გახსნილად გამოეცხადებინათ, თუმცა იმ აზრისგან, რომ კალაძის საქმე გახსნილია, შორს ვარ“.

16 № 6 (270) 11-17 თებერვალი 2015

ქართული ენა

ლიტერატურა. ენალიტერატურა. ჟურნალისტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ჩვენი ფოსტიდან

ყოვლისშემძლე სუს-ი, „ყაჩაღი“ ნაცპროფესორები და დასახურად განწირული თელავის უნივერსიტეტი

კარგა ხანია, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი საინფორმაციო საშუალებებში – პრესასა თუ ტელევიზიაში გაკილვის საგნადაა ქცეული. ლოგიკურად ისმება შეკითხვა: აქვს თუ არა მომავალი სასწავლებელს? ეს შეკითხვა მხოლოდ სტუდენტებსა და პროფესორებს არ აღელვებთ. საზოგადოების გონიერი ნაწილი, რომელსაც კარგად ესმის რეგიონალური უნივერსიტეტის მნიშვნელობა რაიონისა და, ზოგადად, ქვეყნის განვითარების საქმეში, ერთგვარი შიშით ადევნებს თვალს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებს. სამწუხაროდ, ეს შიში საფუძველს მოკლებული არ არის: წლიდან წლამდე იკლებს სტუდენტთა კონტინგენტი, რაც უარყოფითად აისახება სასწავლებლის ფინანსურ გამართულობაზე – სახსრების გარეშე დარჩენილი უნივერსიტეტი ხარისხიან განათლებას ვერ შესთავაზებს სტუდენტებს. შეფერხებულია უნივერსიტეტის განვითარების პროცესი. ეს ერთგვარი ნეგატიური ჯაჭვი მოჯადოებულ წრეს ქმნის, რომლის გარღვევაც სერიოზულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. როგორც თანამშრომლები და სტუდენტები პირად საუბრებში აღნიშნავენ, არაფერი განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი უნივერსიტეტში არ ხდება, ყველაფერი თვითდინებაზეა მიშვებული და რა იქნება მომავალში, ამის წარმოდგენაც უჭირთ! როგორია ასეთ დროს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს როლი, რას აკეთებს უწყება (ან საერთოდ, აკეთებს თუ არა რამეს) უნივერსიტეტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით და რა ფონს ქმნიან გარე თუ შიდა ძალები უნივერსიტეტის გარშემო?

თუ თვალს მივადევნებთ უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებს, რაც საინფორმაციო საშუალებებიდანაც კარგად ჩანს (2012 წლიდან მოყოლებული, როცა ხელისუფლება შეიცვალა და უნივერსიტეტში არასწორად გაკეთებულმა საქმეებმაც იჩინა თავი), დავინახავთ, რომ უნივერსიტეტი ბედის ანაბარაა მიტოვებული და ჭეშმარიტი გულშემატკივარი ხელისუფლების მხრიდან არ ჰყავს: არც სამინისტროს, არც გუბერნიის, არც მაჟორიტარი დეპუტატისა და არც სხვა რომელიმე სახელისუფლებო შტოს სახით. სამინისტრო ცდილობს, თავისი ლობირებული ადამიანები ჰყავდეს წამყვან თანამდებობებზე და ამის გამო არეულობასაც არ ერიდება!

ერთ-ერთ ვიდეოში ასახულ სიუჟეტში, რომელსაც ჰქვია „კვირის თემა: თელავის უნივერისტეტი – კადრები, რომელიც არ გინახავთ“ (https://www.youtube.com/watch?v=8Lf6PSnevt0) უნივერსიტეტის თანამშრომელი ნოდარ ლათიბაშვილი ღიად და თამამად ბრალს სდებს სამინისტროს ზეწოლაში და უნივერსიტეტის საქმეებში უხეშ ჩარევაში ადანაშაულებს! საინტერესოა, რომ მინისტრის პირველი მოადგილე, გიორგი შერვაშიძე, მაჟორიტარი დეპუტატი გელა სამხარაული, სამინისტროს ერთ-ერთი მაღალჩინოსანი პაატა ბერიაშვილი, რომლებიც უნივერსიტეტს რატომღაც საღამოს საათებში ეწვივნენ და ამის შესახებ ინფორმაციას პიარის სამსახურიც არ ფლობდა, ერთხმად აცხადებდნენ, რომ ისინი უნივერსიტეტის მეოთხე კორპუსის დასაფინანსებლად ჩამოვიდნენ. დაბნეულობა სიუჟეტში თითოეულ მათგანს ეტყობა და მათი დაბნეულობის მიზეზი გასაგებია: დღემდე მეოთხე კორპუსის შესაკეთებლად გამოყოფილი თანხები არ ჩანს, მაგრამ ჩანს მათი ჩამოსვლის ვიზიტის შედეგები: ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ჰამლეტ რაზმაძის ვადამდე ერთი წლით ადრე წასვლა პირადი განცხადების საფუძველზე, რათა გზა გახსნოდა სამინისტროს მიერ ლობირებულ ალეკო ყვირალაშვილს, ამის შემდეგ დატრიალებული ვნებათაღელვა და სამინისტროს მარცხი ამ კონტექსტში.

უნივერსიტეტში იმასაც ამბობენ, ღელაღუტაშვილს სამინისტროს გენინსპექციამ, რომლის უფროსიც ზემონახსენები ყვირალაშვილის მეგობარი ონოფრიშვილია, დავალების შეუსრულებლობა არ აპატიაო, თუმცა მან აკადემიური საბჭოს სხდომებზე ორივეჯერ ყვირალაშვილის კანდიდატურას დაუჭირა მხარი და ასევე, ორჯერ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე აკადემიური საბჭოს მიერ შერჩეული კანდიდატის გასვლის საკითხი. ღელაღუტაშვილი სხვა მხრივაც იყო მიზანში ამოღებული, მისი რექტორობა არ ეპიტნავებოდა უშიშროების სამსახურს, რომელიც, როგორც ამბობენ, ძალ-ღონეს არ იშურებს თავისი კადრების გასაყვანად!

როგორც უნივერსიტეტის თანამშრომლები ადასტურებენ, ძალოვანი სტრუქტურები უხეშად ერევიან უნივერსიტეტში მიმდინარე არჩევნების პროცესში, ღამღამობით სახლებში სიარულსა და სტუდენტებისა თუ მათი მშობლების, აგრეთვე, თანამშრომლების დაშანტაჟებასაც არ ერიდებიან. მათი მთავარი ამოცანაა, „ნაციონალების“ მხარდამჭერი კადრების დაწინაურება. ასე მოახერხეს მათ სტუდენტთა თვითმმართველობის პრეზიდენტად ახალგაზრდა გულანთებული „ნაციონალის“, ზურა გრიშიკაშვილის „არჩევა“, რომელსაც, როგორც საქმეში ჩახედული ადამიანები ამბობენ, „ნაციონალი“ გიორგი ბოტკოველი და ძმანი მისნი აფინანსებდნენ, მათ კი ზურგს, რა თქმა უნდა, უშიშროების თანამშრომლები უმაგრებდნენ.

ადგილობრივ ხელისუფლებაში წამყვან თანამდებობებზე მოკალათებული „მეოცნებე“ „ნაციონალები“ – „ნაციონალთა“ პარტიიდან თუ მათი მხურვალე გულშემატკივართა რიგებიდან „მეოცნებეთა“ რიგებში გადმოპორტირებულები – უშიშროების დახმარებით, ცდილობენ „ნაციონალების“ გავლენების გაძლიერებას. კახეთის უშიშროების სამსახურის მთელი შემადგენლობა და შინაგან საქმეთა სამინისტროში მოკალათებული უშიშროების კადრები, 2012 წლის შემდეგ, ფაქტობრივად არ შეცვლილა და ისევ იმ „ნაციონალებით“ არიან დაკომპლექტებულნი, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებსა და სხვაგვარად მოაზროვნეებს რომ სიცოცხლეს უწამლავდნენ. ისინი დღესაც სდევნიან მათ ერთგულ ადამიანებს. საინტერესოა, რომ ისინი არამცთუ ჩანაცვლდნენ პროგრესული კადრებით, არამედ, დაწინაურდნენ კარიერულად და ისევე სდევნიან ჯანსაღ და „ნაციონალების“ მოძულე ადამიანებს, როგორც ამას წინა ხელისუფლების პირობებში დიდი ენთუზიაზმით ახორციელებდნენ. ასეთი ადამიანების დახმარებით მიმდინარეობს ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო ინსტიტუტების წინააღმდეგ ბრძოლა.

ისინი ცდილობენ, უნივერსიტეტშიც „ნაციონალების“ მხარდამჭერი ადამიანები დააწინაურონ. რა თქმა უნდა, მათ არც მათ მიერ ლობირებული ადამიანების პროფესიული უნარ-ჩვევები ანაღვლებთ და არც – უნივერსიტეტის მომავალი.

საზოგადოებას, ალბათ, ახსოვს, 2013 წლის 8 ნოემბერს უნივერსიტეტის რექტორის არჩევნების დღისთვის რა პროცესები განვითარდა თელავის უნივერსიტეტში. 6 კანდიდატიდან ერთმანეთის მიყოლებით მოხსნეს კანდიდატურები რექტორობის მსურველებმა უშიშროების ზეწოლით ერთ-ერთი კანდიდატისთვის მწვანე შუქის ასანთებად და ეს კანდიდატი ქალბატონი ირმა შიოშვილი იყო, რომლის მამაც ათეული წლის განმავლობაში, სამშენებლო ტექნიკუმის დირექტორი გახლდათ, შემდეგ, ეს თანამდებობა მემკვიდრეობით სიძეს – ირმას მეუღლეს გადასცა.

რექტორობის ერთ-ერთმა კანდიდატმა მაშინ ხმამაღლა განაცხადა, რომ ღამის 3 საათზე მასთან, სახლში, მივიდნენ და ზეწოლა განახორციელეს, რათა მეორე დღეს კანდიდატურა მოეხსნა შიოშვილის სასარგებლოდ. აკადემიური საბჭოს ძალისხმევით, მათ მაშინ ვერ შეძლეს სასურველი კანდიდატის გაყვანა, ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მეორე კანდიდატი ავთანდილ ღელაღუტაშვილი, რომელმაც არჩევნები მოიგო, აკადემიური საბჭოს წევრი იყო და თავისი ხმით შიოშვილის ორი ხმა გადასწონა, მაგრამ ავთანდილ ღელაღუტაშვილის წინააღმდეგ მოქმედებები მისი რექტორად არჩევის დღიდანვე დაიწყო და ამ მარათონის შედეგი ის არის, რომ ის დღეს რექტორი აღარ არის და მის მოვალეობას ირმა შიოშვილი ასრულებს. უშიშროებას თავისი ემისრები ჰყავს უნივერსიტეტში, რომლებიც მთელი ამ ერთი წლის განმავლობაში ღაღადებდნენ და პროფესორებს უჩიჩინებდნენ, რომ თუ შიოშვილი არ იქნებოდა რექტორი, უნივერსიტეტის საქმე წინ ვერ წავიდოდა, რადგან ხელისუფლება მას უჭერდა მხარს და სხვას არ გაახარებდნენ.

როგორც თანამშრომლები ამბობენ, საქმის წინ წაწევის ნიშანწყალი არ ეტყობა უნივერსიტეტს და ყველაფერი ისევ ისე მდორედ მიმდინარეობს, როგორც მანამდე იყო. თუ ჩემს მიერ მითითებულ ვებგვერდის მისამართებს მოინახულებს მკითხველი

(https://www.youtube.com/watch?v=PcILcNrGo3M;

https://www.youtube.com/watch?v=BQM3qTcHmto

https://www.youtube.com/watch?v=93y-0zqz8fk;

https://www.youtube.com/watch?v=zcRU3SRgDBY

https://www.youtube.com/watch?v=FuiW_D5_Vow;

https://www.youtube.com/watch?v=9FQZekytZW0) დაინახავს, რომ საინფორმაციო საშუალებების პრიზმაში უნივერსიტეტი შიოშვილის დამსახურებითაც მოექცა, სწორედ ის იყო დეკანი იმ ფაკულტეტისა, რომლის ერთ-ერთ სპეციალობაზე სტუდენტებს სტატუსი შეუჩერდათ პროგრამის აკრედიტაციის ვადის გასვლის გამო და 140-მდე სტუდენტი ბედის ანაბარა დარჩა. სამი თვის განმავლობაში, ლექციებს შიოშვილის ფაკულტეტზე სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს უტარებდნენ. ეს ამბავი შემთხვევით გაიგეს სტუდენტებმა და აქციები მოაწყვეს – თავიანთი თავის შველა თვითონვე გადაწყვიტეს. დღეისთვის, უშიშროების ძალისხმევით, სკოლის კურსდამთავრებული მოსწავლე კახეთში ერთი ოჯახური კლანის ხელში ვარდება – კოლეჯის დირექტორი დოლიძე, ხოლო უნივერსიტეტის რექტორი – მისი მეუღლე. განათლების სისტემას განვითარების რა პერსპექტივები აქვს ამ რეგიონში, მკითხველმა განსაჯოს. და ეს ხდება „ქართული ოცნების“ პირობებში.

ზემოთ კითხვა დავსვი: შიდა ძალები რა ფონს ქმნიან უნივერსიტეტში? ერთ-ერთ ვიდეოში კარგად ჩანს, უნივერსიტეტის სპიკერს ნუნუ გელდიაშვილს მთელი სერიოზულობით ეპარება ეჭვი, 21-კაციან საბჭოში უმრავლესობა 11 კაცია თუ 12 და ამ საკითხის გარკვევას იურისტს ანდობს. მის გვერდით პროფესორები არიან და არც ერთი მათგანი არ ეუბნება, რომ კითხვა აბსურდულია. წარმომადგენლობით საბჭოს რომ ასეთი თავკაცი ჰყავს, რომლისთვისაც ელემენტარული საკითხი ურთულეს, თითქმის გადაუჭრელ ამოცანადაა ქცეული და ამას დახმარების გარეშე ვერ ახერხებს, თავად საბჭო კი პარალიზებულია, რამდენადაც მის წევრთაგან ერთიც არ ეკამათება, ხოლო ვინც ეკამათება (უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი გიორგი გოცირიძე), მას სპიკერი ეუბნება, რომ ის საბჭოს წევრი არ არის და მას განცხადების გაკეთების უფლება არ აქვს. გამოდის, რომ სამინისტრო, უშიშროება და შიგნით გელდიაშვილის მსგავსი კადრები საერთო ფონს ქმნიან იმისთვის, რომ უნივერსიტეტის მომავლის საკითხი ძალიან მწვავედ დაისვას!

ლეო ლიჩელი

ᲩᲘᲠᲗᲚᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

11-17 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ 2015 | № 6 (270) | 17

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲢᲧᲣᲜᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲛᲘᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ

1 3 5

ᲡᲐᲑᲐᲙᲐᲚᲐᲕᲠᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘ

- ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲐ
- ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲐ
- ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲐ
- ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ
- ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲝᲚᲝ�გᲘᲐ
- ᲐᲒᲠᲝᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲘᲐ
- ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ
- ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ
- ᲡᲐᲡᲣᲠᲡᲐᲗᲝ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲔᲑᲘ

ᲡᲐᲑᲐᲙᲐᲚᲐᲕᲠᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲘᲗᲘ ᲛᲝᲓᲣᲚᲔᲑᲘ

- ᲛᲔᲜᲔᲯᲛᲔᲜᲢᲘ
- ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘ
- ᲡᲐᲑᲣᲦᲐᲚᲢᲠᲝ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ
- ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ
- ᲰᲘᲓᲠᲝᲛᲔᲚᲘᲝᲠᲐᲪᲘᲐ
- ᲡᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ
- ᲡᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲣᲠᲡᲐᲗᲝ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲙᲐᲚᲐᲕᲠᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲖᲔ *ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ, ᲐᲘᲠᲩᲘᲝᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐ ᲠᲝ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ (minor ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲐᲨᲘ, ᲐᲜ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲨᲘ)*

ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘ

- ᲛᲔᲜᲔᲯᲛᲔᲜᲢᲘ
- ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘ
- ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ
- ᲡᲐᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ
- ᲡᲣᲠᲡᲐᲗᲘᲡ ᲣᲕᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ
- ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲐ

მოდულის არჩევითი კურსები – 60 ECTS კრედიტი, ან დამატებითი სპეციალობები (*minor*) – 60 ECTS კრედიტი.

შეთავაზებული დამატებითი პროგრამებიდან სტუდენტს შეუძლია, აირჩიოს აგრარული მიმართულები:

- **ᲡᲣᲠᲡᲐᲗᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲐ** – Food Technology - **0104**
- **ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲘ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ** – Production and primary processing of raw animal products – **0103)**
- **ᲐᲜ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲘᲡ** *minor*

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘ 2250 ᲚᲐᲠᲘ

18 | № 6 (270) | 11-17 თებერვალი 2015

ქართული ოცნება

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲐᲠᲐ-ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ



82 ᲬᲚᲘᲡ „ᲝᲡᲙᲐᲠᲝᲡᲐᲜᲘᲡ“ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ

82 წლის ჯოელ გრეიმ, რომელმაც სახელი თავის დროზე „კაბარეთი“ გაი-
თქვა, ერთ-ერთ ინტერვიუში სკანდალური განცხადება გააკეთა.
„არ მომწონს იარლიყები, მაგრამ თუ გსურთ ამ იარლიყის მოწებება, მაშინ
გეი ვარ! ამის შესახებ ჩემმა მეგობრებმა და ნათესავებმა დიდი ხანია, იციან,
მაგრამ საჯაროდ არასოდეს მილაპარაკია“, – განაცხადა 82 წლის მსახიობმა.
სხვათა შორის, ჯოელ გრეის ერთ-ერთი შვილიც ვარსკვლავია – ჯენიფერი
ფილმ „ბინძურ ცეკვებში“ ბების როლს ასრულებს.
როცა ჟურნალისტებმა მამის არატრადიციულ ორიენტაციაზე ჰკითხეს,
ჯენიფერმა განაცხადა: „ბედნიერი ვარ, რადგან მამა თავისი ცხოვრების იმ
წერტილში მივიდა, სადაც თავს იმდენად უსაფრთხოდ და კომფორტულად
გრძნობს, რომ თავისი ორიენტაციის შესახებ საჯაროდ აღიარა“.
შეგახსენებთ: მიუზიკლი „კაბარე“ ეკრანებზე 1972 წელს გამოვიდა და ფი-
ლმში შესრულებული როლისთვის ჯოელ გრეიმ „ოსკარიც“ დაიმსახურა.

25 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲓᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ 82 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲔᲠᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

82 წლის რიჩარდ ლუგნერი ავსტრიელი მილიარდერია, რომელიც წელიწადზე მეტია, 25 წლის მოდელ ქეით შმიტზზეა დაქორწინებული.
მართალია, მამაკაცი ქალზე 57 წლით უფროსია, მაგრამ წყვილი თავს ბედნიერად გრძნობს და ამბობს, რომ სიყვარულმა ასაკი არ იცის.
„ქეითი ჩემი მეხუთე ცოლია. მეოთხე ცოლს რომ გავშორდი, გადავწყვიტე, რომ აღარასოდეს დავქორწინდებოდი, რადგან ქალები ძალიან საშიშები
არიან, მაგრამ ქეითი გავიცანი თუ არა, განზრახვაზე ხელი ავიღე, თან ახალგაზრდა გოგონებთან ურთიერთობა მომწონს“, – ამბობს მილიარდერი.
რაც შეეხება ქეითს, მისი თქმით, 57 წლით უფროს მამაკაცს ცოლად ფულის გამო არ გაჰყვა: „მდიდრული ცხოვრება, რა თქმა უნდა, მშვენიერია, მა-
გრამ ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი არაა...“
სხვათა შორის, ავსტრიელი მილიარდერი იმითაცაა სახელგანთქმული, რომ ჰოლივუდელებს, ოღონდ მის გევრდით ერთი ღამე გაატარონ და, სოლ-
იდურ გასამრჯელოს უხდის. ასე, მაგალითად, თავის დროზე კიმ კარდაშიანს 500 ათასი დოლარი უფეშქაშა, თუმცა მოგვიანებით აღიარა, რომ კარდა-
შიანმა ვერ მოხიბლა. მეტიც, კიმს „მომაბეზრებელი“ უწოდა...

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲐᲠᲐ-ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲛ ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲐ

ჯეიმ დორნანს, რომელიც ფილმის — „ნაცრისფერის 50 ჩრდილი“ გმირია, გავლენიანმა ბრიტანულმა გამოცემა „გლამურმა“ მსოფლიოში ყველაზე სექსუალური მამაკაცის ტიტული უბოძა, რასაც მსახიობ ბენედიქტ კამბერბეტჩის თაყვანისმცემელთა სერიოზული უკმაყოფილება მოჰყვა. არადა, ბენედიქტის ფანებს სანერვიულო, მართლაც, არაფერი აქვთ, რადგან შარშან, ანალოგიურ გამოკითხვაში, მათი კუმირი მესამე პოზიციაზე იყო, წელს კი, მეორეზე გადაინაცვლა. რაც შეეხება მესამე ადგილს, ის ტომ ჰიდლსტონმა დაიკავა.

„გლამურის“ სექსუალური მამაკაცების რეესტრში, ასევე, მოხვდნენ: რობერტ პატინსონი, თეო ჯეიმსი, ჰარი სტაილსი, ჯარედ ლეტო, ფარელ უილიამსი და ჯეიმი კემპბელ ბაუერი, რომელმაც მსოფლიო დიაცთა გულის მოგება ფილმში — „სიკვდილის იარაღი: ძვლების ქალაქი“ განსახიერებული როლით მოახერხა.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲩᲜᲓᲐ ᲮᲔᲚᲯᲪᲝᲮᲘ

შეიძლება, არ დაიჯეროთ, მაგრამ ხელჯოხი, ანუ ტროსტი, რომელსაც ხანდახან „მესამე ფეხსაც“ ეძახიან, ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში არსებობდა. ყოველ შემთხვევაში, ისტორიულ წყაროებში აღნიშნულია, რომ ძველი ეგვიპტელები ღმერთ ოსირისის ხელჯოხის საპატივსაცემოდ სპეციალურ დღესასწაულს აწყობდნენ.

ასევე, ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ თანამედროვე ხელჯოხის „წინაპარი“ ფარაონ ტუტანჰამონის ტროსტია — არქეოლოგიური გათხრებისას, ფარაონის სამარხში ძვირფასი ქვებით, ფერადი ბუმბულითა და შუშით მორთული უამრავი ხელჯოხი აღმოაჩინეს. ერთ-ერთ ხელჯოხს კი, ასეთი წარწერა ამშვენებს: „ბამბუკი, რომელიც ბრწყინვალემ და დიდებულმა საკუთარი ხელით მოჭრა, ეკუთვნის ღვთიურს!“

მე-17-დან მე-19 საუკუნის ჩათვლით, „ტროსტი“ ელიტის მთავარ ატრიბუტად ითვლებოდა. მეტიც, ადამიანის სტატუსი სწორედ ხელჯოხების რაოდენობითა და ნაკეთობით განისაზღვრებოდა. ყველაზე ძვირფასად შავი ხისგან დამზადებული ხელჯოხი მიიჩნეოდა.

თავის დროზე ე.წ. სამალავიანი ტროსტებიც არსებობდა, სადაც საწამლავს ინახავდნენ. ზოგიერთ ხელჯოხს კი, საათი ჰქონდა.

ᲗᲐᲚᲚᲘᲗᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲞᲝᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ

ჯერემი მიქსი, რომელსაც ციხეში 2 წლის გატარება მოუწევს, არცთუ დიდი ხნის წინ, ჩვეულებრივი კრიმინალი და თაღლითი იყო — ინტერნეტით ახალგაზრდა ქალბატონებს „აბამდა“, თუმცა 31 წლის მამაკაცი ციხეში ქალთა გულების დაპყრობის კი არა, იარაღის უკანონო ტარებისა და აკრძალული პრეპარატების მოხმარების გამო აღმოჩნდა.

ხომ იცით, ზოგი ჭირი მარგებელიაო. ჰოდა, მიქსი დაიჭირეს თუ არა, ინტერნეტში მისი ფოტო გავრცელდა, რომელმაც, რამდენიმე დღეში, 96 ათასი მოწონება და 12 ათასი კომენტარი დაიმსახურა.

ერთი სიტყვით, 31 წლის კრიმინალის პოპულარობამ პიკს მიაღწია და ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ საპყრობილიდან გამოსულ მიქსს გარანტირებული სამუშაო ექნება — ერთ-ერთმა სამოდელო სააგენტომ კონტრაქტი უკვე გაუფორმა, რომლის თანახმადაც, ყოველთვიურად, ჯამაგირის სახით, 30-დან 100 ათას დოლარამდე აიღებს.

76 ᲬᲚᲘᲡ ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ ᲒᲐᲗᲮᲝᲕᲓᲐ

ეს ამბავი ზღაპარი კი არა, რეალობაა, რომელიც მოხუცთა თავშესაფარში მოხდა: 76 წლის დიაცს თავისზე ათი წლით უმცროსი მამაკაცი შეუყვარდა. ქალის მიმართ გულგრილი არც ვაჟი აღმოჩნდა და... მოხუცებმა იქორწინეს. მთელ ამ ამბავში ყველაზე უცნაური ისაა, რომ 76 წლის პატარძალი, როგორც თავად ამბობს, ქალწულია.

„ჩემი ქმარი ძალიან კარგი ადამიანია — არ სვამს, არ ეწევა, ყველაფერში მეხმარება. რამდენჯერმე, ავადმყოფობის გამო, ლოგინში წოლა მომიხდა, ის გვერდიდან არ მომცილებია — სველ ტილოს მადებდა და ლიმონიანი ჩაი მოჰქონდა... ახალგაზრდობაში, როცა ხელის სათხოვნელად მოდიოდნენ, დედა მამაკაცებს სახლიდან ყრიდა და ამბობდა, იმიტომ გაგაჩინე, რომ მომიაროო. ამასობაში, წლები გავიდა და კინაღამ ქალწული მოვკვდი“, — ღიმილით ამბობს 76 წლის პატარძალი.

ᲫᲐᲚᲚᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲫᲐᲮᲔᲑᲐᲡ ᲮᲐᲜᲫᲐᲠᲘ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ

ბრიტანეთის ქალაქ კონსეტში მცხოვრებმა დედა-შვილმა „უიჯას დაფით“ გარდაცვლილი ძაღლის სულის გამოძახება სცადეს, მაგრამ ეს მცდელობა ლამის ტრაგედიით დამთავრდა, თან ნიშანდობლივია, რომ მოსალოდნელი ტრაგედიის შესახებ დედა-შვილი თავად „უიჯას დაფამ“ გააფრთხილა.

ერთი სიტყვით, „სულის გამოძახებას“ ხანძარი მოჰყვა. მართალია, დედა-შვილმა გვარიანი დამწვრობები მიიღეს, მაგრამ პოლიციამ საქმე მაინც მათ წინააღმდეგ აღძრა, რამეთუ არსებობს ეჭვი, რომ „მჩხიბავებმა“ ხანძარი განზრახ გააჩინეს.

რაც შეეხება ძაღლს, როგორც მეზობლები ამბობენ, ძაღლი საკუთარი სიკვდილით არ გარდაცვლილა და ის, რამდენიმე წლის წინ, ოჯახის უფროსმა, აბაზანაში დაახრჩო.

ᲢᲘᲛᲐᲢᲘ ᲰᲝᲚᲘᲕᲣᲓᲨᲘ ᲮᲣᲚᲘ�გᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲡ

მართალია, რუსი რეპერის, ტიმურ იუნუსოვის, იგივე ტიმატის დაკავების თაობაზე ოფიციალური ინფორმაცია არ გავრცელებულა, მაგრამ თავად ტიმატი ირწმუნება, რომ რამდენიმე საათი ლოს-ანჟელესის პოლიციაში გაატარა.

რეპერის თქმითვე, ინციდენტი მას შემდეგ დაიწყო, რაც ჰოლივუდის ცნობილ გორაზე რუსეთის დროშა ააფრიალა. სხვათა შორის, ტიმატი, რომელიც ჩეჩნეთის პრეზიდენტის, რამზან კადიროვის მეგობარია, თავისი ზემოხსენებული საქციელით ამაყობს და მას „გმირობას“ უწოდებს.

ჩვენი ფოსტიდან

დემნა და გოგია

მორიდებით
უთხრა დემნამ გოგიას,
— შენი შვილი
ნაღდი დემაგოგია.
გოგიამ კი,
უპასუხა დემნასა:
— რაც მითხარი,
მართლა ძაან მევასა.

ჯონდო ბურჯალიანი

გამოიცანი

შენ კაცობით არ გარჯილხარ,
ბარგი ხარ და ბაგაჟი ხარ,
ბოლმით სავსე „ბალონი“ ხარ
და „კა-გე-ბე“-ს პაროლი ხარ.
გსურდა, ერი დაგენგრია,
გაქვს ქართველთა ალერგია,
ყველაფერი შენი გენით,
სიყვარულით შეიგენი.

ტოტო ჯიმშელეიშვილი

საქართველოს გამყიდველს!

ვინ დაგარქვა სიტყვა „ფლიდი“.
შენ გამშვენებს მტრის გესლი,
რადგან საქართველოს ყიდი,
შენ გაქვს დიდი ბიზნესი.

მიხა ჩხეიძე

ძებნილი

შენთან არ მსურს დებატები,
რადგან ნაღდი დებილი ხარ,
რა ვქნა, მაინც მენატრები
იმიტომ, რომ ძებნილი ხარ.

ჩიორა შოშიაშვილი

დღეს

დღეს ყველაფერი არის უაზრო,
დღეს ყველაფერი არის აბსურდი,
ერთი მითხარით, აბა, თუ გახსოვთ,
ორს მივუმატოთ ორი რას უდრის?

თუთა გამეზარდაშვილი

განვადებით

დებილს ვგავდი,
ახლა აღარ ვგავარ დებილს,
ყველაფერი
შევიტენე განვადებით.

ეკა მაზმანიანი

გლამურული ამბები

ჰოლი ბერის, ჯიმ ქერისა და სხვა ჰოლივუდელთა მძიმე წარსული

იყო დრო, როცა ისინი ჩვეულებრივი მათხოვრები იყვნენ — ქუჩაში მშივრები დაეხეტებოდნენ და ღამის გასათევიც არ ჰქონდათ. სამაგიეროდ, დღეს იმდენი ფული აქვთ, რომ აღარ იციან, როგორ და სად დახარჯონ.

ასე, მაგალითად, ჰოლი ბერიმ მსახიობობა რომ გადაწყვიტა, დედა საშინლად გაუნაწყენდა, თუმცა მომავალმა ვარსკვლავმა თავისი არ დაიშალა, ჩიკაგოში წავიდა და მიზნისთვის რომ მიეღწია, უარი არც უსახლკაროთა თავშესაფარში ცხოვრებაზე უთქვამს.

დიდებამდე თითქმის ანალოგიური გზა გაიარა დენიელ კრეიგმაც, რომელიც ღამეს ერთხანობას სკვერში, ხის სკამზე ათევდა.

დალხენილი ბავშვობა არც მე-20 საუკუნის ჯაზმენ ელა ფიცჯერალდს ჰქონდა და „ქუჩის გემო“ მანაც გამოსცადა — დედა გარდაეცვალა თუ არა, მამინაცვალმა მომავალი ვარსკვლავი ქუჩაში გააგდო.

რაც შეეხება ჯიმ ქერის, რომელიც დღეს ერთ-ერთ უმდიდრეს ჰოლივუდელად ითვლება, მართალია, ჯიმს მშობლები ჰყავდა, მაგრამ ოჯახს უჭირდა და ამიტომ, ავტობუსში ცხოვრობდა.

დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024

9 772298 002004 47922

მთავარი რედაქტორი: ჯანსულ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი, მერაბ ბერძენიშვილი, ბაჩანა ბრეგვაძე, თემო გოცაძე, ემზარ კვიტაიშვილი, არმაზ სანებლიძე,

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე, ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძეული, ნათია ლებანიძე.
დიზაინერი და ფოტოკორესპონდენტი: ზურა მეგრელიშვილი.

გაზეთი რეგისტრირებულია რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ. რეგისტრაციის №22851

მისამართი: 26 მაისის მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90
E-Mail: qartulisityva@gmail.com
გაზეთი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით